ზუგდიდის კულტურის განვითარების

სტრატეგია

2022-2026

ქრონოქრონიკული ზუგდიდი ყველანი მოქალაქეებისათვის

ფოტო: "კოლხიშ ნანა"
ფოტოგრაფი: ელგუჯა ხუბუტია

Funded by
the European Union

EU4Culture

ზუგდიდი

ხელოვნების, რეწვისა და გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი

ქემოქმედებითი ზუგდიდი უყოთესი მომავლისათვის

ქალაქსა და მაცხოვრებლებზე დაფუძნებული სტრატეგია

კულტურისა და შემოქმედებითობის ახლებური გააზრება ადგილობრივი განვითარებისათვის

ზუგდიდის ჯეტუჩის განვითარების სტრატეგია შემუშავდა EU4Culture პროექტის ფარგლებში.

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და საქართველოში გოეთეს ინსტიტუტისა და მისი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდება.

სტრატეგიის შინაარსი და მასში წარმოდგენილი მასალა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ევროკავშირის თვალსაზრისს.

საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო
2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45
GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი 20.05.2022 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №56

ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სტრატეგიის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-19 მუხლის „ბ" პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 16 მაისის №24-242213672 და 19 მაისის №24-2422139216 წერილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

1. დამტკიცდეს თანდართული:

1.1. ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია (2022-2026), დანართი №1;

1.2. ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, დანართი №2.

2. განკარგულება გადაგზავნილ იქნეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.ზუგდიდი, რ.ლაღიძის ქუჩა №12).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიგა ფარულავა**

საქრებული SAKREBULO 220418956

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი



ფართობი - 692კმ²


53
ადმინისტრაციული ერთეული
5
ქალაქის შემადგენლობაში მყოფი ადმინისტრაციული ერთეული
48
ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული
58
სოფელი

ზუგდიდში რეგისტრირებული მოსახლეობა



კულტურის საჯარო დაწესებულებები

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი კულტურის დაწესებულებათა რაოდენობა

2
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ს.ს.ი.პ.

- ს.ს.ი.პ. ზუგდიდის „დადიანების სასახლეთა ისტორიული-არქიტექტურული მუზეუმი"
- ს.ს.ი.პ. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

1
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ს.ს.ი.პ.

- ს.ს.ი.პ. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნო პარკი

5
ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებული ა.ა.ი.პ.

- ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"
- ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე"
- ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი
- ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"
- ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"

კულტურის საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულები



საერთო ჯამში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფ კულტურის საჯარო დაწესებულებებში მომუშავე პირთა რაოდენობა, ქალაქში რეგისტრირებულ პირთა 2.85%-ს შეადგენს.

ამავე დაწესებულებებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რეოდენობის 0.61%-ია დასაქმებული.

კულტურის 50 ობიექტი

1
სამხატვრო გალერეა

„მაცი ხორავას სახელოვნების სამხატვრო გალერეა"

2
თეატრი

შალვა დადიანის სახელოვნების სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

„ჩხორრის სამოყვარულო თეატრი"

1
კულტურის ცენტრი

„ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"

4
სახელოვნებო სკოლა

№1 სამუსიკო სკოლა

№2 სამუსიკო სკოლა

სამხატვრო სკოლა

საგუნდო-სამუსიკო სკოლა

10
მუზეუმი

ზუგდიდის "დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი"

9 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმი

31
ბიბლიოთეკა

1 - ცენტრალური

3 - საქალაქო ფილიალი

27 - სასოფლო ფილიალი

იონა მეუნარგიას სახელობის სახლ-მუზეუმი

ვანიონ დარასელის სახელობის სახლ-მუზეუმი

ალექსანდრე საჯაიას სახელობის სახლ-მუზეუმი

სოლომონ ცაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი

კონდრატე თათარაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი

ზვიად გამსახურდიას ოთახ-მუზეუმი

სპორტის მუზეუმი

ზურაბ ნარმანიას სახელობის ოთახ-მუზეუმი

მედია მუზეუმი

უძრავი კულტურული მემკვიდრეობა



9 არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტი

კურორტები და რეკრეაციული ზონები

3 საკურორტო ზონა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 10 ბაღი, პარკი და სკვერი

- ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი
- ზუგდიდის XIX საუკუნის ცენტრალური ბულვარი
- ზუგდიდის ცენტრალური პარკი ე. წ. „სკეიტ პარკი"
- ზუგდიდის ევროპული პარკი ე.წ. „ფრანგული პარკი"
- იონა მეუნარგიას სახელობის სკვერი
- 9 აპრილის სკვერი
- ზუგდიდის ვეტერანთა ხეივანი და სკვერი
- განმუხურის ბულვარი და აკვა-პარკი
- ანაკლიის დასვენების პარკი
- სოფელ ოქტომბერში "ემიგრანტთა ბაღი"

უმაღლესი და პროფესიული განათლება

ზუგდიდში 1 უნივერსიტეტი და 2 პროფესიული კოლეჯი ფუნქციონირებს



კულტურული აქტივობები

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ატარებს და მასპინძლობს შემდეგი სახის ფესტივალებს

- „კავკასიის ხალხთა ლიტერატურულ-ფოლკლორული ფესტივალი"
- „ზუგდიდობა"
- „თაფლის ფესტივალი"
- „ვლაძერნობა"
- პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და.."
- „თხილობა"
- კოლხური ღვინის ფესტივალი „დია"
- „ახალგაზრდული ფესტივალი"
- „აჯიკის ფესტივალი"
- „მარწყვის ფესტივალი"
- „ანაკლიობა"
- „ხაჭაპურის ფესტივალი"
- საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - „ART კოლხი"
- თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი "F5"
- ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest (ანაკლია-განმუხური)

2019-2021 წლებში გაყიდული ბილეთების რაოდენობა





კულტურის პროგრამული დაფინანსება

კულტურის მიზნობრივი პროგრამული ბიუჯეტი









მიმდინარე

წინასიტყვაობა	20
თავი 1. შესავალი	21
1.1. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შესახებ	22
1.2. რატომ გვჭირდება კულტურის განვითარების სტრატეგია	25
1.3. რა გამოარჩევს ზუგდიდს	30
თავი 2. მთავარი ხედვა და მისია	31
თავი 3. სტრატეგიული მიზანსწრაფვები	34
3.1. ზუგდიდი: კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი	36
3.1.1. შესავალი	36
3.1.2. ადგილობრივი კონტექსტი	38
3.1.3. გამოწვევები	40
3.2. ზუგდიდი: ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი	44
3.2.1. შესავალი	44
3.2.2. ადგილობრივი კონტექსტი	45
3.2.3. გამოწვევები	46
3.3. ზუგდიდი: გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი	52
3.3.1. შესავალი	52
3.3.2. ადგილობრივი კონტექსტი	54
3.3.3. გამოწვევები	56
3.4. ურთიერთმკვეთი პრიორიტეტები	59
3.4.1. ადამიანური კაპიტალი: უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა	61
3.4.2. აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა	64
3.4.3. თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება	67
3.4.4.კულტურის მართვის გაუმჯობესება	69
3.4.5. შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა	72
3.4.6. კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა	75

მაგისური

დანართი 79

თავი 4. კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი 80

4.1. როგორ შემუშავდა სტრატეგია 81

4.2. სტრატეგიის სამუშაო ჩარჩო 84

თავი 5. ქალაქ ზუგდიდის შესახებ 87

5.1. ზოგადი ინფორმაცია 88

5.2. ზუგდიდის კულტურის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა 89

5.2.1. ზუგდიდის ფორმირება 89

5.2.2. კულტურა და განვითარება XIX-XX საუკუნეებში 90

5.2.3. გამოწვევები XX საუკუნის ბოლოს 94

5.3. ზუგდიდის კულტურული ლანდშაფტი 96

5.3.1. შესავალი 96

5.3.2. კულტურის რესურსები და სერვისები 97

5.3.3. ადამიანური რესურსი 99

5.3.4. კულტურული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა 103

5.3.5. კულტურის ხელშეწყობა და დაფინანსება 103

5.3.6. კულტურის მართვა 104

5.3.7. კულტურული მონაწილეობა და მოხმარება 106

5.3.8. ბუნებრივი რესურსები, მრეწველობა და სტუმარ-მასპინძლობა 107

5.3.9. ბუნებრივი რესურსები, მრეწველობა და სტუმარ-მასპინძლობა 108

5.4. შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების მიმოხილვა 109

5.5. დაინტერესებული მხარეები 112

თავი 6. SWOT ანალიზი 116

თავი 7. საყრდენი პრინციპების შეჯამება 120

თავი 8. სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება 124

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება 126

გამოყენებული წყაროები / ბიბლიოგრაფია 129

წინასიტყვაობა

მამუკა ნონეიია
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი

კულტურა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, განათლების, აზროვნებისა და ესთეტიზაციის, ინტელექტის, სულიერების, ეკონომიკური განვითარების წყარო და ჰარმონიული საზოგადოების ფორმირების საწინდარია.

კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და თანამედროვე ხელოვნების სისტემური განვითარება, ქალაქის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი და ადგილობრივი საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობაა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად დოკუმენტის შემუშავების პროცესი, რომელმაც საშუალება მოგვცა მოგვეხდინა ადგილობრივი სამიზნე და პროფესიული ჯგუფების; საჯარო თუ კერძო კულტურული დაწესებულებებისა და სექტორში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების; სფეროს ექსპერტების; ახალგაზრდა, დამწყები და დამოუკიდებელი ხელოვანების; ადგილობრივი კერძო სექტორის წარმომადგენლების; ინდივიდუალური მეწარმეებისა და სხვა დაინტერესებული პირების აზრთა კონსოლიდირება. მათი აქტიური ჩართულობის წყალობით, ღია და გამჭვირვალე დისკუსია წარიმართა ქალაქში კულტურის ჭრილში არსებულ საჭიროებებსა და გამოწვევებზე, პრიორიტეტულ ამოცანებსა და კულტურის განვითარების მოკლე და გრძელვადიან მიზნებზე.

გლობალური გამოწვევების ფონზე, ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია კულტურის სტრატეგიისდოკუმენტის შექმნა, რაც უპრეცენდენტო მოვლენაა ზუგდიდისა და მთლიანად რეგიონის ისტორიაში.

კულტურის სტრატეგია ფუნდამენტური დოკუმენტია, რომელიც საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამონაწილეობით შეიქმნა, რაც პროგრესული მოვლენაა. ის საზოგადოებისა და ხელისუფლების წარმატებული თანამშრომლობის, გამჭვირვალობასა და თანასწორ პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამედროვე მოდელია.

კულტურის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი, ადგილობრივ ხელისუფლებას და საზოგადოებას ერთად გვავალდებულებს კულტურისა და შემოქმედებითობის განუხრელ მხარდაჭერასა და ხელშეწყობას.

> "გლობალური გამოწვევების ფონზე, ადგილობრივი კულტურის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და მისი თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისთვის, უაღრესად მნიშვნელოვანია კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის შექმნა, რაც უპრეცენდენტო მოვლენაა ზუგდიდისა და მთლიანად რეგიონის ისტორიაში."

დოკუმენტის შემუშავებაში შეტანილი წვლილისთვის და მხარდაჭერისთვის, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია განსაკუთრებულ მადლობას უხდის ევროკავშირს, გოეთეს ინსტიტუტს, ჩეხეთის ცენტრებს, დანიის კულტურის ინსტიტუტს, ფრანგულ ინსტიტუტს, Creative Spark (საქართველო), Creative Strategies Lab (საქართველო), Creativity Lab (ესტონეთი), Culture Venture (მალტა), ასევე ექსპერტ-კონსულტანტებს: ლევან ხარატიშვილს, ელინა გედენიძესა და თამარ მელივას მჭიდრო თანამშრომლობისა და საექსპერტო დახმარებისათვის. მადლობას ვუხდით პროცესში აქტიურად ჩართულ კულტურის საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კულტურის სფეროს პროფესიონალებსა და ხელოვანებს, ასევე, ყველა იმ ადამიანს და ორგანიზაციას, რომელიც პროცესში აქტიურად იყო ჩართული და სტრატეგიის შემუშავებაში შეიტანა წვლილი.



შესავალი

თავი 1

ფოტო: ფოსტის(საფოსტო გზავნილების) ევოლუცია. ბაზრ. 80-იანი წლები. ზუგდიდის ფოსტის შენიშნის კედელი. ზურაბ ნარეთლის სახელოსნო.
ფოტოშრომა: **ნუკრი ბერულავა**

1.1.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შესახებ

ზუგდიდის კულტურის განვითარების 5 წლიანი სტრატეგია, 2022 წლიდან 2026 წლის ჩათვლით, ქალაქის მთავარ კულტურულ და შემოქმედებით თემებს, შესაძლებლობებს, მიზანსწრაფვებსა და პრიორიტეტებს განსაზღვრავს.

სტრატეგია შემუშავდა ევროკავშირის დაფინანსებული EU4Culture[1] პროექტის მხარდაჭერით, რომელიც განხორციელდა გოეთეს ინსტიტუტის, ჩეხეთის ცენტრების, დანიის კულტურის ინსტიტუტისა და ფრანგული ინსტიტუტის მიერ, Creative Spark (საქართველო), Creative Strategies Lab (საქართველო), Creativity Lab (ესტონეთი) და Culture Venture (მალტა) მჭიდრო თანამშრომლობით.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია სრულად არის შესაბამისობაში სფეროს ადგილობრივ და ეროვნულ მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო კონვენციებთან; ეფუძნება ქვეყნის კულტურის სტრატეგიას "კულტურა 2025"[2] და ითვალისწინებს სხვა ადგილობრივ, რეგიონულ თუ ეროვნულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და სამოქმედო გეგმებს; ასევე, ემსახურება არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული რესურსების იმგვარ გამოყენებას, რომ ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია კულტურის სფეროზე ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ფაქტორების ზეგავლენა და მისი მჭიდრო კავშირი კულტურულ ტურიზმსა და რეგიონალურ განვითარებასთან. კულტურისა და კულტურული რესურსების თანმიმდევრული განვითარების და ადეკვატური გამოყენების დაგეგმვით, სტრატეგია ემსახურება ერთი მხრივ ადგილობრივი თემის გაძლიერებას, მეორე მხრივ კი ადგილობრივი კულტურისა და მემკვიდრეობის ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას ევროპული ღირებულებების ჭრილში, რათა წარმატებით მოხდეს მათი მდგრადი ინტეგრაცია პანევროპულ კულტურულ რუკაზე. დღევანდელი გამოწვევების ფონზე, კულტურას სჭირდება "კარგი მმართველობის" პრინციპების შესაბამისი, დიალოგსა და თანამშრომლობაზე დაფუძნებული განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის წარმატების წინაპირობა, სხვადასხვა სექტორს შორის კარგად გააზრებული, მიზნობრივი თანამშრომლობა და პარტნიორობაა. ამასთან, წარმოდგენილი სტრატეგიის ძირითადი საყრდენია ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ქმნიან, ემსახურებიან და მოიხმარენ კულტურას. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი კულტურა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პროცესი და დასაქმების წყარო. აღნიშნული საყრდენი პრინციპები ურთიერთმკვეთი პრიორიტეტების ნაწილშია ასახული, რომელიც დოკუმენტში წარმოდგენილ სტრატეგიულ მიზანსწრაფვებთან ერთად, თანხვედრაშია და პირდაპირ პასუხობს ქვეყნის კულტურის სტრატეგიით გათვალისწინებულ ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს.

ქალაქისთვის კულტურის განვითარების პირველი სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2022 წლის 20 მაისს (განკარგულება №56) იქნა დამტკიცებული და ქალაქში მოღვაწე ხელოვანებისა და ოსტატების, პროფესიული წრეების, კულტურის საჯარო და კერძო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლების, ახალგაზრდობისა და, მთლიანად, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, საჯარო კონსულტაციების დროს იდენტიფიცირებულ გამოწვევებს, აქტუალურ თემებსა და პრიორიტეტებს ეყრდნობა. აღნიშნული საჯარო კონსულტაციები 2021 წლის დეკემბერში დაიწყო და 2022 წლის მაისში დასრულდა.

[1] EU4Culture ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი (2021-2024) პროექტია, რომლის მიზანია კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში. ამ მიზნით, პროექტი მხარს უჭერს ქალაქებს კულტურის განვითარების იმ სტრატეგიების მომზადებაში, რომლებიც ევროპული კულტურული დედაქალაქების მიდგომებს შეესაბამება. პროექტი ასევე უზრუნველყოფს არტისტებისა და კულტურის პროფესიონალების მობილობის პროგრამების დაფინანსებას, ასევე ფესტივალების, კულტურული და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერას. EU4Culture პროექტის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში ონაწილეობა მიიღო 70-მა ქალაქმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნიდან: აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. ზუგდიდი პროექტის ფარგლებში მსოფლიოს 70 ქალაქთა შორის შეირჩა, რაც იმას გულისხმობს, რომ ზუგდიდს შანსი ეძლევა მონაწილეობა მიიღოს კონკურსში საქართველოს სხვა ორ ქალაქთან ერთად, რომელთა შორის გამარჯვებულიც მოიპოვებს 300.000 ევროს კულტურის სტრატეგიის განხორციელების მიზნით.

[2] დამტკიცებულია-კულტურის სტრატეგია 2025-ის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის N303 დადგენილებით 2016 წლის 1 ივლისს

ამ კონსულტაციებმა ცხადყო, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ერთსულოვანია ზუგდიდის გამორჩეული ისტორიული და კულტურული კონტექსტისა და თავისებურებების შეფასებისას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ უნიკალური რესურსის სათანადო განვითარებას, შეფუთვას, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქმა 3 მთავარი თემა და მიზანსწრაფვა განსაზღვრა:

ზუგდიდი:

1. კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი;
2. ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი;
3. გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი.

კონსულტაციების დროს სხვა ურთიერთმკვეთი პრიორიტეტებიც გამოვლინდა, რომლებზეც ქალაქმა უნდა გაამახვილოს ყურადღება, რათა წარმატებული იყოს თავისი სტრატეგიის განხორციელებაში. ეს პრიორიტეტებია:

1. ადამიანური კაპიტალი: უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
2. აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა;
3. თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება;
4. კულტურის მართვის გაუმჯობესება;
5. შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა;
6. კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

სტრატეგია თითოეული თემატური სფეროსთვის კონკრეტულ ქმედებებს შეიცავს, რომლებიც ყოველწლიურად განიხილება და შეფასდება. მნიშვნელოვანია, რომ ეს დოკუმენტი იყოს "ცოცხალი სტრატეგია", რომელიც შეძლებს იყოს მოქნილი და ადაპტირებადი - ქალაქის დინამიურად ცვლასთან ერთად. სტრატეგიის შინაარსი მომდინარეობს კულტურის სექტორიდან და ძირითადი დაინტერესებული მხარეებიდან, რის გამოც, მისი წარმატებული განხორციელება კოლექტიური პასუხისმგებლობაა.

ამ 3 მთავარი მიზანსწრაფვითა და ურთიერთმკვეთი პრიორიტეტების საშუალებით კულტურის განვითარების სტრატეგიას მიეცა შესაძლებლობა წარმოეშვა თავისი შინაარსით ახალი, თუმცა, უკვე ქალაქისა და რეგიონის ცენტრალური ქალაქის განვითარების კონკრეტული ხედვა, რომელიც თავის კულტურულ აქტივებს გამოიყენებს, როგორც კატალიზატორს ინტეგრირებული და ინკლუზიური მომავლის სოციალური და ეკონომიკური წინსვლისთვის. იგი აღასრულებს ზუგდიდის და მისი მაცხოვრებლების გამოვლენილ მისწრაფებებს და, შესაბამისად, ქალაქს და მთელ რეგიონს გამოწვევებით სავსე და რთული წარსულიდან თავდაჯერებულ მომავალში გადაიყვანს.

"ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის წარმატების წინაპირობა, სხვადასხვა სექტორს შორის კარგად გააზრებული, მიზნობრივი თანამშრომლობა და პარტნიორობაა. ამასთან, წარმოდგენილი სტრატეგიის ძირითადი საყრდენია ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ქმნიან, ემსახურებიან და მოიხმარენ კულტურას."

საერთო ჯამში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურული პროცესების სწორად წარმართვისათვის, უნდა მოხდეს კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგის პოპულარიზაცია, წახალისება და განვითარება არა ცალკეულ სეგმენტებად, არამედ, როგორც ერთი მთლიანობა. მაგალითად, თეატრის როლი შეიძლება განხილულ იქნას არა მხოლოდ ტრადიციული თეატრალური დადგმებით, რომელიც უშუალოდ თეატრის შენობაში ხორციელდება, არამედ, თეატრი, თავის მხრივ, გახდეს ერთ-ერთი წამყვანი რგოლი, მასშტაბური ღონისძიებების გამართვის თვალსაზრისით, როგორც თეატრალური დადგმებით, ასევე რეჟისურითა და დეკორაციების მოწყობის თვალსაზრისით. ზემოაღნიშნული საჭიროებები, ნებისმიერი სახის მასშტაბური და, მით უმეტეს, საერთაშორისო ფესტივალის წარმატების, პოპულარობისა და მიმზიდველობის საწინდარია. გარდა თეატრისა, არ უნდა გამოგვრჩეს სახვითი ხელოვნება და მუსიკა, რომელიც ადგილობრივ დონეზე, ასევე, მოითხოვს პოზიციონირებას ახლებური მიდგომების გათვალისწინებით. ეს ყველაფერი კი, აჩენს ახალ შესაძლებლობებსა და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობას.


ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი
კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი
თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება
ადამიანური კაპიტალი: უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა
გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი
აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა
კულტურის მართვის გაუმჯობესება
კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა
შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა

1.2.

რატომ გვჭირდება კულტურის განვითარების სტრატეგია

პირველ რიგში, სტრატეგია გვჭირდება იმის გამო, რომ არასდროს გვქონია ადგილობრივი კულტურის თანმიმდევრული განვითარების ხედვა და გეგმა, რომელიც გასაგები და მისაღები იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისათვის.

წლების განმავლობაში ქალაქში დაგროვებული პრობლემებისა და გამოწვევების ფონზე, ზუგდიდს და მთელ მის საზოგადოებას სჭირდება საკუთარი თავის "ხელახლა გააზრება და გამოგონება", ერთი მხრივ, მისი კულტურული და შემოქმედებითი რესურსისა და აქტივების მაქსიმალურად დატვირთვითა და გამოყენებით და, მეორე მხრივ, მისი აქამდე აუთვისებელი და გამოუყენებელი რესურსისა და პოტენციალის სრულფასოვნად გააზრებითა და განვითარებით.

საქართველოში 90-ანი წლების ეკონომიკური და ინდუსტრიული სტაგნაცია ქალაქ ზუგდიდზეც აისახა ნეგატიურად. ზუგდიდის მაცხოვრებელთა აუთვისებელი და არარეალიზებული პოტენციალი სწორედ ამ პერიოდთანაა დაკავშირებული. მზარდი გარე მიგრაცია, მოსახლეობის დრამატული გადინება ის მთავარი გამოწვევაა, რომელიც ჯერ კიდევ დგას ქალაქის წინაშე.

ისტორიულად ზუგდიდი კულტურული, საზოგადოებრივი თუ სულიერი მდგრადობის მემკვიდრე და ფლაგმანია, რასაც შინაგანი აღიარება, შემოქმედებითი მიდგომა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ესაჭიროება. მხოლოდ ასე დაიბრუნებს ქალაქი ნდობას, მოტივაციასა და სიამაყეს. ეს კი მისი ღირსეული მომავლის შექმნის წინაპირობაა როგორც ადგილობრივ, ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.

სამწუხაროდ, ზუგდიდის კულტურის საერთო კონტექსტი, ამ დრომდე არ ყოფილა სათანადოდ გააზრებული, არსებული ინფორმაცია ფრაგმენტულადაა, ამასთან, მდგრადი განვითარების წარმატებით მიღწევისთვის მნიშვნელოვანია წარსულისა და აწმყოს გაანალიზება და მომავლის დაგეგმვაში გათვალისწინება.

მომავლის ამგვარი პერსპექტივის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია კულტურის განვითარების სტრატეგია, რომელიც, როგორც სექტორთა შორისი, ინკლუზიური, ყოვლისმომცველი დოკუმენტი, განსაზღვრავს

წლების განმავლობაში ქალაქში დაგროვილი პრობლემებისა და გამოწვევების ფონზე, ზუგდიდს და მთელ მის საზოგადოებას სჭირდება საკუთარი თავის „ხელახლა გააზრება და გამოგონება."

ფოტო: საბჭოთა ეპოქის ბოზანიკა, 80-იანი წლები

ქალაქის კულტურულ, საზოგადოებრივ, სოციალურ და ეკონომიკურ ინტეგრირებულ განვითარებას. სტრატეგია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზუგდიდის ყველა მაცხოვრებლისთვის, საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის და ის უნდა იქცეს ინკლუზიური ქალაქის პრაქტიკული აღორძინების ძირითად ვექტორად, რომლის მთავარი პრიორიტეტია საკუთარი აუთვისებელი პოტენციალის განვითარება და გააქტიურება ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

ზუგდიდს ამგვარი პოზიციონირებისათვის ყველა პირობა გააჩნია და ახლა სწორედ ხელსაყრელი დროა იმისათვის, რომ კულტურის განვითარების სტრატეგიის პროცესი გააქტიურდეს. ეს ქალაქისთვის უნიკალური შანსია, გახდეს ლიდერი. ქალაქის მაცხოვრებლებისთვის, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდებისთვის ეს არის შესაძლებლობა, თავად განსაზღვრონ, როგორი უნდა იყოს მათი ქალაქი, იკვლიონ გზები და საშუალებები. სწორედ ამიტომაა ზუგდიდისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი კულტურის სტრატეგიის შემუშავება EU4Culture პროგრამის ფარგლებში ყველა ეტაპზე: როგორც პირველადი ანალიზის, ასევე, მისი შემდგომი განხორციელების პერიოდში.

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ნათლად გამოიკვეთა, რომ კულტურული და ბუნებრივი ფასეულობები, მომავლის პერსპექტივით, მყარ საფუძველს წარმოადგენს, მიუხედავად ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევებისა და პრობლემებისა. ზუგდიდს საკმაოდ გრძელი გზის გავლა მოუწევს, თუმცა, საკუთარი უნიკალური პოტენციალის გათვალისწინებით, ქალაქმა თავად კომპლექსურად უნდა გაიაზროს საკუთარი მომავალი.

შემდეგი მიზანია ამ ახალი მომავლის წარდგენა როგორც საერთაშორისო საზოგადოებისთვის, ისე საქართველოსთვის. ამისთვის აუცილებელია კომუნიკაციისა და წარმოჩენის ეფექტური საშუალებების გამოყენება. ამავდროულად, იდენტიფიცირებული ინიციატივების თანმიმდევრული განხორციელება და ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგის დოკუმენტით განსაზღვრული სტრატეგიული ამოცანების შესრულება. ამ ღონისძიებებს უეჭველად მოყვება ინვესტიცია, მით უმეტეს, თუ გაგრძელდება EU4Culture მხარდაჭერა.

აქედან გამომდინარე, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია კულტურის საერთო ხედვას, სახელმძღვანელო პრინციპებს, ამბიციებსა და მიზნებს აყალიბებს, რომლებიც ქალაქის განვითარების სტიმულირებას და მდგრად განვითარებას შეუწყობენ ხელს.

სტრატეგია წარმოაჩენს ქალაქის კულტურულ რესურსს, ძირითად კულტურულ აქტივებსა და მის პოტენციალს, ასევე, განსაზღვრავს კულტურისა და შემოქმედებითობის მრავალწახნაგოვან როლსა და მნიშვნელობას ზუგდიდის განვითარებისათვის.

“ისტორიულად ზუგდიდი კულტურული, საზოგადოებრივი თუ სულიერი მდგრადობის მემკვიდრე და ფლაგმანია, რასაც შინაგანი აღიარება, შემოქმედებითი მიდგომა და შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა ესაჭიროება. მხოლოდ ასე დაიბრუნებს ქალაქი ნდობას, მოტივაციასა და სიამაყეს. ეს კი მისი ღირსეული მომავლის შექმნის წინაპირობაა როგორც ადგილობრივ, ეროვნულ, ასევე საერთაშორისო მასშტაბით.”

ჩვენი სტრატეგია

წარმოაჩენს ზუგდიდის კულტურულ ბაზას, რესურსსა და აქტივებს

კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, აფასებს კულტურასთან და შემოქმედებით სექტორთან დაკავშირებით არსებულ ადგილობრივ გამოწვევებსა და განვითარების შესაძლებლობებს

განსაზღვრავს კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განსაკუთრებულ ადგილსა და როლს, მოსახლეობის გაძლიერებისა და ზუგდიდის შემდგომი მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონტექსტში

სტრატეგიულ მნიშვნელობასა და პოტენციალს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, ინკლუზიური ზრდისა და არსებულ გამოწვევებთან გამკლავების კრეატიული მიდგომების გენერირების კუთხით

ცხადყოფს ზუგდიდის გამორჩეულ თავისებურებებს და ქმნის შესაძლებლობებს ადგილობრივი კულტურისა და შემოქმედებითობის გზით, ზუგდიდის წარმატებული თანამშრომლობისათვის საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებთან და საერთაშორისო პლატფორმებთან

ქალაქ ზუგდიდს ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსი გააჩნია გამორჩეული და მდგრადი შემოქმედებითი განვითარებისათვის, თუმცა, ამჟამად, მისი პოტენციალის, შესაძლებლობების სრულად გამოყენება და ათვისება ვერ ხერხდება სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის მიზნებისთვის, კულტურა განისაზღვრება მისი ფართო გაგებით, რომელიც მოიცავს ზუგდიდისა და ზუგდიდელების ყოველდღიურ ცხოვრებას, იდენტობას, მეგრულ ენას, მემკვიდრეობას, ტრადიციებს, მუზეუმებს, ადგილობრივ მუსიკალურ დარბაზებს, თეატრებს, ბიბლიოთეკებს, ფესტივალებს, დღესასწაულებს, გამოფენებს, ღონისძიებებს და, რა თქმა უნდა, ადგილობრივ ხელოვანებს - მხატვრებს, ოსტატებს, შემსრულებლებს, მუსიკოსებს, მწერლებს და უფრო ფართო შემოქმედებითი ნიჭის ფონდს.



იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ზუგდიდში კულტურის ღირებულებისა და გავლენის ზრდას და ვუზრუნველვყოთ კულტურის როლის წარმოჩენა ზუგდიდის წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების დაძლევაში, განვსაზღვრეთ სტრატეგიის საერთო ამოცანები:

ხელი შეუწყოს კულტურის როლისა და ღირებულების უკეთ გაცნობიერებას, არსებული ძლიერი მხარეებისა და ახალი პოტენციური მიმართულებების გამოყენების საფუძველზე

დაეხმაროს ადგილობრივი კულტურული რესურსისა და ინვესტიციების სამართლიან გადანაწილებას, რათა ყველას ჰქონდეს კულტურაზე თავისუფალი წვდომა და შეეძლოს კულტურით სარგებლობა

წვლილი შეიტანოს არსებული მემკვიდრეობის (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) აქტივებისა და სტრატეგიული რესურსების აქტიური, კრეატიული და ინოვაციური გამოყენების საქმეში

წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდაში კულტურის, შემოქმედებითი ინდუსტრიების, ტურიზმის, ციფრული სექტორისა და მეცნიერების მეშვეობით

წაახალისოს ჯანსაღი ცხოვრების კულტურა

ხელი შეუწყოს ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას კულტურულ ცხოვრებაში

დაეხმაროს ქალაქსა და რეგიონში მოღვაწე ხელოვანებს, კრეატიული ბიზნესისა და კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლებს პროფესიულ ზრდასა და მდგრადობის უზრუნველყოფაში, რათა ამით ხელი შეუწყოს ახალ შესაძლებლობებსა და აუდიტორიაზე მათ წვდომას

ხელი შეუწყოს ქალაქის გამორჩეული თავისებურებების წარმოჩენასა და ქალაქისადმი მიზიდულობის ზრდას, რითაც ზუგდიდი გახდება კიდევ უფრო დინამიური, საინტერესო და სასიამოვნო ადგილი

ამასთანავე, აღიარება ევროკავშირის EU4Culture პროგრამის მიერ განაპირობებს ქალაქის თვითშეფასების, თავდაჯერებულობის, რწმენისა და მოტივაციის ამაღლებას, ხელს შეუწყობს მასშტაბების მნიშვნელოვან ზრდას და გავლენას იქონიებს გეგმა-გრაფიკზე, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ ჩვენი კულტურის განვითარების სტრატეგიის ამბიციების მიღწევას.

1.3.

რა გამოარჩევს ზუგდიდს

ქალაქ ზუგდიდისთვის კულტურა უნიკალური და უმნიშვნელოვანესი საგანძურია, რომელშიც ტრადიცია და თანამედროვეობა ორგანულადაა შერწყმული, ხოლო თვითგანახლების უნარი უწყვეტი პროცესია, რომლის საფუძველიც ქალაქისა და მთლიანად რეგიონის მდიდარ შემოქმედებით პოტენციალშია. ამას განაპირობებს მუნიციპალიტეტში არსებულ მთელ რიგ ფაქტორთა ერთობლიობა, მათ შორის: კოლხეთის ბრინჯაოს ხანის უძველესი კულტურა, ანტიკური ცივილიზაცია და ქრისტიანული კულტურა, უნიკალური კულტურულ-ისტორიული ძეგლები და მუზეუმები, მღვიმეები და გამოქვაბულები, საჯომარდო და საპიკნიკე ადგილები, ჭარბტენიანი კოლხეთის დაბლობი და მისი იშვიათი ბუნება, უკიდურესად მაღალი ზემო სვანეთის მთები, შავი ზღვის აკვატორია და განვითარებადი კურორტული ზონები.

ზუგდიდი უდავოდ არის ნიჭიერების სამჭედლო. თაობათა წვლილი ზუგდიდში კულტურული განვითარების კუთხით, მარტივად შესამჩნევი და აღსაქმელია. ზუგდიდს გამორჩეული და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა და ლანდშაფტი აქვს, რომელიც, ადგილობრივ ფოლკლორში, ისტორიულ შენობებში, ხელნაკეთობებსა და გასტრონომიაშია კონცეპტუალიზებული. ზუგდიდი მდიდარია შემოქმედებით შთაგონებული ხალხითა და გარემოთი. ეს ის ადგილია, სადაც კულტურასა და შემოქმედებითობას აფასებენ, იცავენ და ავითარებენ.

კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურის ის ელემენტები, რომელთაც ფიზიკური ფორმა არ გააჩნიათ და გამოიხატებიან ცოდნაში, ტრადიციებში, უნარებსა თუ რიტუალებში. ასეთებია, მაგალითად, საშემსრულებლო ხელოვნება, ფესტივალები, საზოგადოებრივი ადათები და ტრადიციები, ფოლკლორი, ენა და დიალექტი, ტრადიციული რეწვა და, რა თქმა უნდა, გასტრონომია.

გასტრონომიას, ტრადიციულ რეწვას, ხალხურ შემოქმედებას, მასთან დაკავშირებულ ტრადიციებსა და პროდუქტებს აქვთ იმის მაღალი პოტენციალი, რომ ხელი შეუწყონ ადგილობრივი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას; ინოვაციური მიდგომების წახალისებას; ახალგაზრდების მოტივაციას, დახელოვნებასა და დასაქმებას; ქალაქ ზუგდიდის ცნობადობასა და პოპულარიზაციას; ქალაქის მიმზიდველობისა და მომხიბვლელობის გაზრდას და მის მნიშვნელოვან ტურისტულ ადგილად ქცევას, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას.

> “კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კულტურის ის ელემენტები, რომელთაც ფიზიკური ფორმა არ გააჩნიათ და გამოიხატებიან ცოდნაში, ტრადიციებში, უნარებსა თუ რიტუალებში.”

აღნიშნულის მიუხედავად, ზუგდიდს არასდროს გააჩნდა ადგილობრივი კულტურის განვითარების დამტკიცებული სტრატეგია. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი კონტექსტისა და სპეციფიურობის, არსებული საჭიროებებისა და გამოწვევების, კულტურული და შემოქმედებითი რესურსისა და პოტენციალის, ასევე, სხვა ადგილობრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო ტენდენციებისა და ფაქტორების გათვალისწინებით, ქალაქ ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება განსაკუთრებით დროული და მნიშვნელოვანია. იგი ჰარმონიაშია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ამოცანებთან და ქალაქის დინამიურ განვითარებას შეუწყობს ხელს. გვჯერა, რომ კულტურას და შემოქმედებითობას შეუძლია გარდამტეხი როლი ითამაშოს ზუგდიდის სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა და სასურველი საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

თავი 2

მთავარი ხედვა და მისია

ფოტო: "კოლხიდ ნანა" ცაიშის სამანდური. ძვ.წ.აღ-ის VIII–VII სს. კოლხური ბრინჯაოს სკულპტურის ასლი ფაღიანების სასახლის ეზოში. რეკლიკის ავტორი მოანდაკე ზუბერ ჯიმა. ასლად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით გაიხსნა 2016 წელს
ფოტოგრაფი: ილია ხუციშვილი

“ზუგდიდი საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც ხელოვნების, რეწვისა და გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი. ქალაქი, სადაც წარსულ ღირებულებებზე შენდება მომავალი და სადაც კულტურა, შემოქმედებითობა და ინოვაციურობა ავითარებს ქალაქის ეკოსისტემას და ყველასთვის უკეთეს საცხოვრებელ გარემოსა და პირობებს ქმნის.”

ფოტოზე: საბჭოთა ეპოქის მოზაიკა 80-იანი წლების დასაწყისი. ფალავ დადიანის სახელობის ზუგდიდის თეატრის სცენრი. ფრაგმენტი
ფოტოგრაფია: ეკა ცუცქირიძე

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია აჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კულტურა, შემოქმედებითობა და ინოვაციურობა ზუგდიდის კეთილდღეობისათვის, ის განსაზღვრავს ზუგდიდში კულტურისა და შემოქმედებითობის სტიმულირების გზებს, აყალიბებს ხედვას, რომელიც აღიარებს შემოქმედებითობის მნიშვნელობასა და კულტურის მრავალწახნაგოვან ძალას. მას შეუძლია შთაგონოს, გაამდიდროს და გარდაქმნას ადამიანების ცხოვრება, საზოგადოება და ჩვენი ქალაქი, ადგილი, სადაც ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ.

კულტურის განვითარების სტრატეგიას შემუშავების პროცესში განსასაზღვრი მთავარი ამოცანა მდგომარეობდა ზუგდიდის ძირითად სტრატეგიულ "უნიკალური გაყიდვის წინადადებებსა" (Unique Selling Points) და სამოქალაქო ღირებულებებში, რომლებთანაც ქალაქის საზოგადოებასა და ლიდერებს პოზიტიური ურთიერთთანამშრომლობა შეეძლებათ როგორც ახლა, ასევე, სამომავლოდ. ბუნებრივია, რომ თავისი უნიკალური, მდიდარი და მრავალმხრივი ისტორიულ-კულტურული პოტენციალით, ზუგდიდი ამ აქტივებს ამოსავალ წერტილად გამოიყენებს.

სტრატეგიაში კულტურა მიჩნეულია ადგილობრივი ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ სფეროდ, რომელმაც პირდაპირ და ირიბად უნდა შეიტანოს წვლილი მის განვითარებაში. შესაბამისად, დოკუმენტში ჩამოყალიბებული მიზანსწრაფვებიც ამ შედეგის მიღწევას ემსახურება, რათა კულტურის სფეროს განვითარება და მემკვიდრეობის დაცვა ორმხრივად სარგებლიანი იყოს - ერთი მხრივ განვითარდეს კულტურის სფერო და უზრუნველყოფილ იქნეს კულტურული მემკვიდრეობის სათანადო დაცულობა, ამავდროულად სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ მოსახლეობას და ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას. რაც საბოლოო ჯამში ქალაქის მდგრად განვითარებასთანაა დაკავშირებული.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, ბიომრავალფეროვნების მხარდაჭერას, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვას, მეგრულის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, ცხოვრების უკეთესი ხარისხის უზრუნველყოფას კულტურული და გასტრონომიული უნიკალურობის შესახებ ცნობიერების ამაღლებით. სტრატეგიის მიზანია, აგრეთვე, ინოვაციური მიდგომებით უზრუნველყოს, რომ ტრადიციები, ფოლკლორი, ეთნო-გასტრონომია, ავთენტური კერძები, ტრადიციული რეცეპტები და ხელნაკეთობები, შესაბამისად იყოს დაცული და წარმოჩენილი.

ზუგდიდში ყველა დაინტერესებული მხარე აცნობიერებს ხელოვნებისა და რეწვის, გასტრონომიისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას ადგილობრივი, რეგიონული და ეროვნული ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისა და ტურიზმის დივერსიფიკაციის მიზნით. აღნიშნული სექტორების განვითარება დადებითად აისახება ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და ზოგად კულტურულ განვითარებაზე.

ამასთან, ქალაქისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია, ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ლიტერატურა, სადადგმო, საშემსრულებლო, მუსიკალური, სახვითი ხელოვნება, ფოტო და ვიდეო ხელოვნება, ასევე მოდა, დიზაინი და არქიტექტურა. ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელება კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგისა და სექტორის თანაბარზომიერი განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს შექმნის.

> “სტრატეგიაში კულტურა მიჩნეულია ადგილობრივი ეკონომიკის ერთ-ერთ მამოძრავებელ სფეროდ, რომელმაც პირდაპირ და ირიბად უნდა შეიტანოს წვლილი მის განვითარებაში.”

[3] შემოქმედებითი ინდუსტრიების კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც NACE rev 2 კლასიფიკაციას ეყრდნობა, გასტრონომია და კულინარიული ინდუსტრია, ისევე, როგორც რეწვა, სხვა სექტორებთან ერთად, შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორებს წარმოადგენენ.

თავი 3

სტრატეგიული მიზანსწრაფვები

ფოტო: სტილიზებული რკინის გადალიული. ძვ. წ. VIII -VII ს.ს. ერებეთა. პერამიკის რეპერტუარ ავსანძის ინტერპრეტაცია "კოლაზურ პანელზე"
ფოტოგრაფი: ნუკრი ბერულავა



ფოტო: little bits-ის საბავშვო ელექტრონიკის ელინანილი
ზუგდიდის ფანტ-პარკი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მართვისა და წარმოჩენის ინოვაციური მიდგომებით, ზუგდიდი ისტორიული და კულტურული ტურიზმით გამორჩეული ქალაქია. ქალაქი, სადაც წახალისებულია პარტნიორობა, რომელიც ხელს უწყობს მისი ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მემკვიდრეობის ობიექტების დანიშნულების ახლებურ გააზრებას, ახალი ისტორიების აღმოჩენისა და ახალი ტიპის კულტურული აქტივობების ინიცირებით.

ზუგდიდი: კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი

3.1.

კულტურული მემკვიდრეობის ინოვაციის ქალაქი

სტრატეგიული მიზანსწრაფვა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მართვისა და წარმოჩენის ინოვაციური მიდგომებით, ზუგდიდი ისტორიული და კულტურული ტურიზმით გამორჩეული ქალაქია. ქალაქი, სადაც წახალისებულია პარტნიორობა, რომელიც ხელს უწყობს მისი ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და მემკვიდრეობის ობიექტების დანიშნულების ახლებურ გააზრებას, ახალი ისტორიების აღმოჩენისა და ახალი ტიპის კულტურული აქტივობების ინიცირებით.

3.1.1.

შესავალი

ზუგდიდის კულტურული მემკვიდრეობა, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური, ჩვენი საერთო სიმდიდრე და საგანძურია. ეს არის მემკვიდრეობა, რომელიც წინა თაობებმა დღემდე შეგვინარჩუნეს და რომელიც წარმატებული მომავლის წინაპირობაა. კულტურული მემკვიდრეობა ასახავს იმას, თუ ვინ ვართ დღეს და ვინ გვინდა ვიყოთ მომავალში.

კულტურული მემკვიდრეობა გვაკავშირებს წარსულთან, გვაძლევს მყარ საფუძველს აწმყოსთვის და გვიჩვენებს გზას მომავლისკენ. ეს არის ცოდნის შეუცვლელი საცავი და ღირებული რესურსი ეკონომიკური ზრდის, დასაქმებისა და სოციალური ერთიანობისთვის.

ჩვენი მემკვიდრეობა ამდიდრებს და ალამაზებს ქალაქის მაცხოვრებელთა ყოველდღიურ ცხოვრებას, არის შთაგონების წყარო ხელოვანების, ახალგაზრდებისა და მეცნიერთათვის და მამოძრავებელი ჩვენი კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის. ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა და ის, თუ როგორ ვინარჩუნებთ, ვავითარებთ და ვაფასებთ მას, არის მთავარი ფაქტორი ზუგდიდის ევროპასა და მსოფლიოში პოზიციონირების, როგორც საცხოვრებლად, სამუშაოდ და მოსანახულებლად მიმზიდველი ქალაქი.

კულტურული მემკვიდრეობა, როგორც საყოველთაო რესურსი და საერთო სიკეთე, შეიძლება იყოს დაუცველი გადაჭარბებული ექსპლუატაციისა და არასაკმარისი დაფინანსების გამო. მაშასადამე, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა ჩვენი საერთო პასუხისმგებლობაა.

ჩვენი მიზანსწრაფვა ხაზს უსვამს მემკვიდრეობის ადამიანურ განზომილებას და ხელს უწყობს მემკვიდრეობის უფრო ფართო გააზრებას. სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, კულტურული მემკვიდრეობა მდგრადი განვითარებისა და ხალხის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების რესურსს წარმოადგენს.

ქალაქის მემკვიდრეობის შესახებ ახალგაზრდებისა და ფართო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, რომელიც ფოკუსირებული იქნება ზუგდიდის როლისა და წვლილის წარმოჩენაზე, როგორც ისტორიაში, ისე ქართული კულტურის განვითარებაში. კერძოდ, ეს პროგრამა შემუშავდება და განხორციელდება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის იგულისხმება ინტერაქტიული ვებსაიტები, აპლიკაციები, კომპიუტერული თამაშები, ვირტუალური ტურები და სხვა.

ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი პროგრამების ინიცირება, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდას მემკვიდრეობაზე ზრუნვის, მისი რე-კონცეფციის, კრეატიული და ინოვაციური გზებით ახლებური გააზრებისა და განვითარების თვალსაზრისით. აღნიშნულის სტიმულირებას კი ხელს შეუწყობს კონკრეტულ მემკვიდრეობის ობიექტებთან მემკვიდრეობის კლუბების შექმნა, რომელიც დააკავშირებს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. კლუბების საქმიანობა ორიენტირებული იქნება როგორც ადგილობრივი ისტორიის კვლევაზე, ასევე მოხალისეობრივ პროგრამებზე, რომელიც საშუალებას მისცემთ ახალგაზრდებს საკუთარი წვლილი შეიტანონ რეგიონული და ქალაქის მემკვიდრეობითი სივრცეების რეაბილიტაციაში.

ზემოთ მოცემულ პროგრამებში, გამოყენებულ იქნება ზუგდიდის უნივერსიტეტის და

სხვა სამეცნიერო ინსტიტუტების პროფესიონალების რესურსები. გარდა ამისა, აღნიშნულ პროცესებში ზუგდიდის საზოგადოების ჩართულობისთვის შემუშავდება ინიციატივები, რომელიც მომზადდება შესაბამისი უმაღლესი განათლების პერსონალისა და სკოლებში ისტორიის მასწავლებლების მიერ. ეს იქნება ადგილობრივი ისტორიისა და მემკვიდრეობის დისტანციური სწავლების აქტივობები, რაც გულისხმობს პოპულარული ენით მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და თვითმყოფადობის გაძლიერებას.

ზუგდიდის კულტურულ-ისტორიული, ურბანული ლანდშაფტი მოიცავს ადგილობრივ ძეგლებს, მუზეუმებს, არტეფაქტებს და არამატერიალურ მემკვიდრეობას (ადგილობრივი ნოუ-ჰაუ, ხალხის პრაქტიკა, ტრადიციები, რიტუალები და ფოლკლორი). ვიზიტორები სულ უფრო აქტიურად ხდებიან ამ ლანდშაფტის მონაწილენი და, ამრიგად, კულტურული მემკვიდრეობა ვითარდება ცოდნის სისტემისკენ, სადაც შერწყმულია წარსულის ცნობები, აწმყოს შემოქმედება და მომავლის ღირებულებები.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მიდგომის ინოვაციურობა ემყარება მემკვიდრეობის ღირებულებისა და პოტენციალის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობას განათლებისა და კვლევის გზით, ახალგაზრდების ჩართვით, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებითა და მემკვიდრეობის განვითარებაზე მსჯელობის პროცესში საზოგადოების ჩართულობის წახალისებით.

შესაბამისად, აღნიშნული მიზანსწრაფვის მთავარი ამოცანაა ხელი შეუწყოს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის რესურსების იდენტიფიკაციას, წარმოჩენას და მათ აქტიურ ჩართვას ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში და ტურისტულ მარშრუტებში; ამ ობიექტებისა და სხვა კულტურული ინფრასტრუქტურის (მაგ. მუზეუმი, ბიბლიოთეკა, თეატრი და სხვა) მულტიფუნქციურ შემოქმედებით სივრცეებად გარდაქმნას, რათა კიდევ უფრო მეტად ხელმისაწვდომი და საინტერესო გახდეს აღნიშნული ობიექტები, რაც დადებითად აისახება მათ ფინანსურ მდგრადობასა და შემდგომ განვითარებაზე.

ქალაქისა და მისი კულტურულ-ტურისტული პროდუქტების ეფექტური ბრენდირებისა და წარმოჩენისათვის პროცესში ადგილობრივი თემების აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფაა საჭირო. ამისთვის კი კულტურისა და მემკვიდრეობის სფეროში პროდუქტის განვითარების, ინოვაციების, ტრენინგებისა და ბიზნეს უნარების შესაძლებლობების განვითარებაა აუცილებელი, რათა კულტურასა და ტურიზმს შორის მდგრადი ხიდები აიგოს.



ფოტო: ეფრემ ლომსაძე: ფოტოგრაფია: ზუგდიდის მერიის ფოტოარქივი

3.1.2.

ადგილობრივი კონტექსტი

დასვენებისა და ტურიზმის განათლების ევროპული ასოციაცია (ATLAS)[4] კულტურულ ტურიზმს განმარტავს, როგორც ადამიანთა მოგზაურობას კულტურული ღირსშესანიშნაობების მიმართულებით (მემკვიდრეობის ძეგლები, ხელოვნებისა და კულტურული მანიფესტაციები, ხელოვნების ნიმუშები) მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში, ახალი ინფორმაციის და გამოცდილების მიღების და კულტურული საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით.

ზუგდიდი კულტურული ტურიზმის კონტექსტში ძალიან საინტერესო მუნიციპალიტეტია, ვინაიდან მისი ტერიტორია მოიცავს როგორც ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს და რესურსებს, ასევე, კურორტებს, გამორჩეულ არქიტექტურას, მუზეუმებს, სახასიათო და ავთენტურ გასტრონომიას, ხელობის მრავალფეროვნებასა და სხვა კულტურისა და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ ობიექტს. ქალაქი ძალიან მრავალფეროვანი და მდიდარია როგორც კულტურული, გასტრო და ეთნო-ტურიზმის, ასევე ეკოტურიზმისა და რელიგიური ტურიზმის პოტენციალის თვალსაზრისით.

2022 წლის ზუგდიდის კულტურული რესურსის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საერთო ჯამში, ზუგდიდში სხვადასხვა ტიპის 50 კულტურული ობიექტი ფუნქციონირებს, გარდა ამისა, მართალია ზუგდიდი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის რესურსებით, თუმცა ამ ეტაპზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის 10 უძრავი ძეგლია, რომელთაგან სამს აქვს ეროვნული კატეგორია განსაზღვრული. ხოლო ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის 2 უძრავი ძეგლია, რომელთაგან ერთს ეროვნული კატეგორია აქვს განსაზღვრული. ძეგლების მცირერიცხოვნება დაკავშირებულია არასათანადო ინვენტარიზაციასთან. ასევე, ზუგდიდი გამოირჩევა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტთა რაოდენობითა და მნიშვნელობით. აღსანიშნავია ისიც, რომ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში დაცულია 55 000-მდე სხვადასხვა სახისა და მნიშვნელობის ექსპონატი და არტეფაქტი. გარდა ამისა, ზუგდიდის ტერიტორიაზე განლაგებულია სამი, ერთმანეთისაგან გამორჩეული კურორტი (ცაიში, ჭკადუაში და ანაკლია).

მიუხედავად თავისი კულტურული და ისტორიული მრავალფეროვნებისა, ტურ-ოპერატორთა აღნიშვნით, ტურის საშუალო ხანგრძლივობა სამეგრელოს რეგიონში, მათ შორის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, დაბალია. კერძოდ, გამოკითხულთა 47%-ი 1 დღე აჩერებს ვიზიტორებს რეგიონში, ხოლო 31%-ი - მხოლოდ კვეთს. ამ შემთხვევაში, ტურიზმის დანიშნულების ადგილი წარმოადგენს შეჩერების /შესვენების ან მხოლოდ სატრანზიტო ადგილს სვანეთისკენ ან აჭარისკენ მიმავალი ვიზიტორებისთვის. შესაბამისად, ვერ ხდება თანხების აკუმულირება რეგიონში, რაც აისახება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზეც.

საინტერესოა ისიც, რომ სამეგრელოს მასშტაბით, ტურების ტიპის მიხედვით მაჩვენებელი შემდეგნაირია: ტურების უმეტესობა კულტურულია (57%), რასაც მოჰყვება სათავგადასავლო ტურები (31%), აგრეთვე აქტუალურია გასტრონომიული ტურები (5%), ხოლო დანარჩენი ნაწილი სხვა ტიპის ტურებითაა დაკავებული.

როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ზუგდიდი მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ქალაქია, სადაც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მართვისა და წარმოჩენის მიზნით, ინოვაციური მიდგომებისა და ინიციატივებისთვის მაღალი პოტენციალია, რომლის ათვისებაც ხელს შეუწყობს ქალაქის მომხიბვლელობის გაზრდას.

[4] The Association for Tourism and Leisure Education and Research (ATLAS) http://www.atlas-euro.org/

ფოტო: ადგილი, საიდანაც დაიწყო ზუგ-დიდი.. "მანცხვარკარი" ტაძარი და გორაკის პანორამა. ფოტოგრაფი: ლევან გაბეჩავა

გამოწვევები

ფოტო: ირი კაფრაში ჩაბეჭდილი ზუგდიდის კულტურული მემკვიდრეობა- ბრინჯაოს ხანიდან საბჭოთა საბოლოოდ.”კოლხიმ ნაცა” ნიკოლაევული სასაბლის ფონზე
ფოტოგრაფი: ელეფუნა ხუხუნია

3.1.3.

გამოწვევები

- ზუგდიდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები და კულტურული ინფრასტრუქტურა ნაკლებად გვევლინება მულტიფუნქციური და/ან შემოქმედებითი სივრცეების ფუნქციით;
- ტურისტულად მნიშვნელოვანი ადგილები არ არის ბრენდირებული და მათი სივრცეები არ არის ათვისებული ახლებური გააზრების კონტექსტში, რომელიც გულისხმობს მათ დამატებითი ფუნქციებითა და სერვისებით დატვირთვას (სუვენირების მაღაზია, კაფეტერია და სხვა);
- ქალაქში ნაკლებად არის განვითარებული კულტურული მარშრუტები და ზუგდიდი არ გვევლინება რომელიმე საერთაშორისო კულტურული მარშრუტის წევრ ქალაქად (მაგ. ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამა);
- არ არის დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორიცაა ვირტუალური ტურები, აუდიო გიდები, მობილური აპლიკაციები და სხვა;
- დაბალია საზოგადოების ჩართულობა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, მოვლა-პატრონობისა და განვითარების პროცესში;
- აღნიშნულ ობიექტებზე სხვადასხვა ტიპის აქტივობების (ფესტივალები; მასტერკლასები, საგანმანათლებლო აქტივობები და სხვა) გამართვის პრაქტიკა საკმაოდ დაბალია, რაც, თავის მხრივ, სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს ობიექტებისა და ტურისტულად მნიშვნელოვანი ადგილების ცნობადობისა და მიმზიდველობის გაზრდას;
- ზუგდიდის მატერიალური კულტურული რესურსები არ არის სათანადოდ აღნუსხული და რეგისტრირებული ძეგლთა ნუსხაში, არ არის შესაბამისი სტატუსით დაცული. რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის მათ სათანადო წარმოჩინებასა და დაცულობის უზრუნველყოფას;
- ხშირ შემთხვევაში, ობიექტების უმეტესობა საჭიროებს დეტალურ ინვენტარიზაციას, დიაგნოსტიკასა და შემდგომ კონსერვაცია/რეაბილიტაციას, ისევე, როგორც მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებას;
- კულტურულ ობიექტებზე არ არსებობს ან გაუმართავია ტურისტული ინფრასტრუქტურა (მანიშნებლები, ბანერები, საინფორმაციო დაფები, სველი წერტილები და სხვა);
- დაბალია გაყიდული ბილეთების რაოდენობა, მცირეა შემოსავალი და, შესაბამისად, მაღალია სახელმწიფო დაფინანსებაზე დამოკიდებულება;
- დაბალია ადგილობრივი კერძო სექტორის ჩართულობა კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვისა და განვითარების მიმართულებით;
- ობიექტების უმრავლესობა არ არის შშმ პირებისთვის სრულფასოვნად ადაპტირებული.

1	ამოცანა: ზუგდიდის, როგორც კულტურული და ისტორიული ადგილებით მდიდარი ქალაქის პოზიციონირება და პოპულარიზაცია		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
1.1	ზუგდიდის კულტურული მემკვიდრეობის რესურსების, მათ შორის ოდა სახლების, ინვენტარიზაცია, წარდგენა შესაბამისი სტატუსის განსასაზღვრად.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.	2022 - 2023
1.2	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მათ შორის ოდა სახლების, მოვლა-პატრონობასა და განვითარებაზე ზრუნვა, და მათი ტურისტულ მარშრუტებში ინტეგრაცია კერძო მესაკუთრეებთან თანამშრომლობით.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ).	2023 - 2024
1.3	ადგილობრივი კულტურული რესურსისა და ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (ვირტუალური ტურები, ინტერნეტ პორტალი, კულტურის აფიშა და სხვ.).	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.	2022 - 2026
1.4	ზუგდიდის კულტურული და ისტორიული ადგილების გაციფრულება და ელექტრონული კატალოგის შექმნა.	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავ-ლო უნივერსიტეტი.	2022 - 2023
1.5	მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელშიც ინტეგრირებული იქნება ზუგდიდის კულტურული და ისტორიული ადგილების ვირტუალური და აუგმენტური რეალობა.	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.	2023
1.6	კულტურული მემკვიდრეობის ყოველწლიური ფესტივალის ორგანიზება და გამართვა.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
1.7	ყოველწლიურად მუზეუმების მსოფლიო დღის (18 მაისი), ევროპის მემკვიდრეობის დღეების (17-18 სექტემბერი), ასევე აქციის "ღამე მუზეუმში" და კულტურის ადგილთა და ძეგლთა საერთაშორისო დღის (18 აპრილი) აღნიშვნა.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სსიპ ზუგდიდის ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აიპ "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ,,ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების გაერთიანება"; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
1.8	ზუგდიდის მიმზიდველობის ზრდისა და პოპულარიზაციის მიზნით ბლოგერებთან აქტიური თანამშრომლობა და, ამ მიზნით, სხვადასხვა მიზნობრივი კამპანიის, აქციებისა და ღონისძიებების გამართვა.	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აიპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე"; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავ-ლო უნივერსიტეტი.	2023 - 2026
1.9	დადიანების ისტორიული სასახლისა და სხვა გამორჩეული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების რე-კონცეფცია, მათი მულტი-ფუნქციურ, შემოქმედებით სივრცეებად ტრანსფორმაციის მიზნით, ვიზიტორთა ინფრასტრუქტურით აღჭურვა, უნივერსალური დიზაინის გამოყენებით, და მათი ბრენდირება.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO.	2022 - 2026
1.10	ზუგდიდის მემკვიდრეობის კლუბების შექმნა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მოვლა-პატრონობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით, დააკავშირებს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, მათ შორის, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.	2022 - 2026

1.11	კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობა ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღთან, ახალი კულტურული კერებისა და სივრცეების გამოყენებით, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ორგანიზების მიზნით.	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე"; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
2	**ამოცანა: მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და წარმოჩენა, მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ და ტურისტულ პლატფორმებში მონაწილეობის გზით**		
№	**ქმედება**	**პოტენციური პარტნიორობა**	**ვადა**
2.1	ნომინაციების მომზადება ზუგდიდის და სამეგრელოს რეგიონის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხასა და კაცობრიობის არამატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში წარსადგენად.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.	2022 - 2023
2.2	ცაიშის როგორც ისტორიული თერმული ქალაქის პოპულარიზაცია და მისი ჩართვა ევროპის საბჭოს ისტორიული თერმული ქალაქების მარშრუტში.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO).	2022
2.3	ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ევროპის ისტორიული ბაღების ქსელში (ევროპის საბჭოს კულტურულ მარშრუტი) გაწევრიანება.	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი".	2022
2.4	სხვა თემატური კულტურული მარშრუტების პოტენციალის შეფასება ევროპის საბჭოს შესაბამის კულტურულ მარშრუტებში გაწევრიანების მიზნით: ▪ ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი; ▪ ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტი; ▪ XX საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმის არქიტექტურა; ▪ ინდუსტრიული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ისრაელის სახლი; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2023
3	**ამოცანა: გაწევრიანება სხვადასხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ და ტურისტულ პლატფორმებში, ქსელებში, ორგანიზაციებსა ახალგაზრდების დაახლოება ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მათი ჩართვა შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობებში.**		
№	**ქმედება**	**პოტენციური პარტნიორობა**	**ვადა**
3.1	ზუგდიდის კულტურისა და მემკვიდრეობის შესახებ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით (ინტერაქტიული ვებსაიტები, აპლიკაციები, კომპიუტერული თამაშები, ვირტუალური ტურები და სხვა).	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2023
3.2	ახალგაზრდა მკვლევართა პროგრამის ინიცირება ადგილობრივ მუზეუმებში.	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სსიპ ზუგდიდის ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი,,ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების გაერთიანება"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2026
3.3	საბავშვო არქეოლოგიის პროგრამის ინიცირება.	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2026
3.4	სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მეგრული ენის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით.	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2026

ზუგდიდი: ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი

ფოტო: კერესმიჯოს როზერტ ბასანაძის დეკორატიული ლარნაკი
ფოტოგრაფი: ნოსარი ბერულავა

ზუგდიდი ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქია, სადაც უძველესი ავთენტური ტრადიციები, ადგილობრივი მოსახლეობის შემოქმედებითი მიდგომები, კრეატიულობა და ინოვაციურობა, ხელს უწყობს ქალაქის განვითარებას, მის მიმზიდველობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას.

3.2.

ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი

სტრატეგიული მიზანსწრაფვა

ზუგდიდი ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქია, სადაც უძველესი ავთენტური ტრადიციები, ადგილობრივი მოსახლეობის შემოქმედებითი მიდგომები, კრეატიულობა და ინოვაციურობა, ხელს უწყობს ქალაქის განვითარებას, მის მიმზიდველობასა და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას.

3.2.1.

შესავალი

კულტურულ ინდუსტრიებში ცალკე დარგად გამოიყოფა ტრადიციული რეწვა, რომელიც ისეთი სექტორების პარალელურად, როგორიცაა მუსიკა, კინო, არქიტექტურა, მოდა და სხვა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ქალაქების განვითარების უმნიშვნელოვანეს რესურსს, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს.

2003 წელს იუნესკომ "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია" მიიღო, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა კულტურული მემკვიდრეობის მანამდე არსებული გაგება და იგი ძეგლებისა და კოლექციების გარდა, გაავრცელა არამატერიალურ მემკვიდრეობაზეც.

კონვენციის მიხედვით, არამატერიალურ-კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებულ იქნა ზეპირსიტყვიერი ტრადიციები, მათ შორის, ენა, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადაცემის საშუალება, საშემსრულებლო ხელოვნება, საზოგადოებრივი პრაქტიკა, რიტუალები, დღესასწაულები, ტრადიციული თამაშები, კულინარია, ადგილობრივი ცოდნა და პრაქტიკა, რომელიც ბუნებასა და სამყაროს უკავშირდება, და ბოლოს, ტრადიციული ხელოსნობა, რომლის სიცოცხლისუნარიანობაც ზეპირსიტყვიერ ტრადიციებზე, ცოდნასა და უნარებზეა დამოკიდებული.

ტრადიციული რეწვა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დარგებს შორის ყველაზე მატერიალურია, რადგან მისი პროდუქტი მატერიალური სახით გვევლინება. თუმცა, იმდენად, რამდენადაც რეწვა და ხელოსნობა დაკავშირებულია ცოდნასთან და უნარებთან, რომელიც ზეპირსიტყვიერი ტრადიციით თაობიდან თაობას გადაეცემოდა, კონვენცია სწორედ არამატერიალურ უნარებსა და ცოდნას შეეხო, და არა რომელიმე კონკრეტულ ნიმუშს. შესაბამისად, კონვენციისა და ჩვენი სტრატეგიის მიზანია, არა კონკრეტული ნიმუშის დაცვა, არამედ, ტრადიციის შენარჩუნება, თაობიდან თაობაზე გადაცემის უზრუნველყოფა და მისი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენების ხელშეწყობა, ადგილობრივი სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით.

ტრადიციულ რეწვაში მოიაზრება შემოქმედებითი ან მინაბაძი პროცესი, რომლის შედეგადაც, მხოლოდ ხელით ან, ნაწილობრივ მექანიკური საშუალებებით იქმნება პროდუქცია, რომელიც ეფუძნება როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მოტივებს, ისე არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას და ხალხური რეწვის ტრადიციებს.

ტრადიციული რეწვის ნაწარმში მოიაზრება ტრადიციული ტექნიკით და/ან დიზაინით შესრულებული პროდუქცია, რაც გულისხმობს ტრადიციული ფორმების, ორნამენტული მოტივების გამოყენებას, რომელთა შექმნაში, ხელით შრომას მნიშვნელოვანი როლი უკავია.

რაც შეეხება არატრადიციული ტექნოლოგიით შექმნილ თანამედროვე დიზაინის ხელნაკეთ ნივთებს და, ასევე, ტრადიციული დიზაინის, მაგრამ, მხოლოდ მექანიკური საშუალებებით შექმნილ პროდუქციას (მასობრივი წარმოების სუვენირები და სხვა), ისინი ხალხური რეწვის და/ან ხალხური ხელობის კატეგორიას განეკუთვნება.

3.2.2.

ადგილობრივი კონტექსტი

ქალაქი ზუგდიდი საუკუნეების მანძილზე რეწვის მნიშვნელოვანი ცენტრი და მრავალფეროვანი ხელსაქმის ქალაქი იყო. ამას განაპირობებდა მდიდარი ბუნებრივი რესურსები. შავი ზღვისა და სვანეთის მთიანი რეგიონის მოსაზღვრე სამეგრელო იყო გზაჯვარედინზე, სადაც უცხო გავლენა ერწყმოდა ადგილობრივ კულტურას, რაც კარგად აისახება დღევანდელ ხელოვნებაში. დროთა განმავლობაში ადგილობრივი რეწვა ახალი თაობების მიერ განვითარდა.

რეგიონში ტრადიციული რეწვის მიმართულების ბიზნესების განვითარება განსაკუთრებით შესამჩნევია ბოლო 10-15 წლის განმავლობაში, რასაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერვენციამ ამ სექტორში. მოხდა რეწვის ბიზნესების დახმარება გრძელვადიანი აქტივებით, ასევე, კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით. თუმცა, სასურველი შედეგი პროდუქციის დიზაინის მხრივ, ბაზრის მოთხოვნასთან შესაბამისობაში, ჯერ ვერ დადგა. საჭიროა სექტორის მრავალპროფილური კვლევების ჩატარება და იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომელიც აფერხებს განვითარების პროცესს.

ტრადიციული რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნება ოდითგანვე იყო შინამეურნეობის განუყოფელი ნაწილი. იგი, ერთი მხრივ, ემსახურებოდა ოჯახის სამოსით, სამუშაო იარაღებით, საოჯახო და სხვა ნივთებით უზრუნველყოფას და, ამავე დროს, წარმოადგენდა ვაჭრობის საგანს.

საწარმოების და ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ ნელ-ნელა ჩაანაცვლა ხელოსნური ნაწარმი, თუმცა, ტრადიციული რეწვა ჯერ კიდევ დიდ როლს ასრულებს.

ზუგდიდში, ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგში, იშვიათი ოსტატები გვხვდება. ცხადია, ზოგადად, ხელოვნების სხვა სფეროებთან ერთად, ზუგდიდში გამოიყენებოდა ადგილობრივ თავისებურებებზე დაფუძნებული სპეციფიური ტექნიკა, რომელთაგან, ზოგიერთი, სამწუხაროდ, დაკარგულია, მაგრამ, ზოგი მათგანი დღემდეა შენარჩუნებული, თუმცა ნაწილი უკვე დაკარგვის საფრთხის წინაშეა. ზუგდიდში ყველაზე ცნობილი დარგებია: მეტალურგია, ხის კვეთა, ტექსტილი და კერამიკა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული პოტენციალი გააჩნია ხის კვეთის, ხის დამუშავების და კერამიკული საწარმოების განსავითარებლად, ადგილობრივად არსებული რესურსების, ნედლეულის და ტრადიციების თვალსაზრისით.

აღნიშნულ დარგს, როგორც კულტურულ აქტივს, უდიდესი პოტენციალი და როლი აქვს ადგილობრივი ეკონომიკური და სოციალური განვითარების კონტექსტში. ეს არის მნიშვნელოვანი რესურსი დასაქმებისა და ახალგაზრდების განათლებისთვის შემდგომი სამუშაო ადგილების შესაქმნელად, რომელიც მოქმედებს, როგორც პლატფორმა, სოციალური ინტეგრაციისა და რეგიონული განვითარებისთვის.

ხაზგასასმელია, რომ ახალგაზრდებში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, ასევე, გათვალისწინებულია 2019-2022 წლების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმით, რითაც ზემოაღნიშნული მიმართულების განვითარების საჭიროების ტენდენცია იკვეთება და მართვის მრავალწახნაგოვანი მოდელის დამკვიდრების პრეცედენტი იქმნება.

ფოტო: კერამიკის სახელოსნო "ორკოლ-სტუდია"
ფოტოგრაფი: ნუკრი ბერულავა

3.2.3.

გამოწვევები

ფოტო: მხატვარ-კერამიკოსი როზერტ აბასაძე
ფოტოგრაფი: ელგუჯა ხუციშვილი

- არ ხდება ქალაქ ზუგდიდის, როგორც ტრადიციული რეწვისა და ხალხური ხელოვნების ქალაქის პოზიციონირება და პოპულარიზაცია;
- ვერ ხერხდება ადგილობრივი ოსტატების სათანადო ხელშეწყობა ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით;
- სათანადოდ არ არის წარმოჩენილი ადგილობრივი ოსტატები და მათი პროდუქცია არც ინტერნეტ სივრცეში (სპეციალური ინტერნეტ გვერდი) და არც სხვადასხვა ბეჭდურ მასალებში (ოსტატთა კატალოგები);
- ადგილობრივი ოსტატები და ხელოვანები არ ფლობენ შესაფერის ცოდნას, გამოცდილებასა და უნარებს და საჭიროებენ ტექნიკურ, სამართლებრივ და ფინანსურ დახმარებას;
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველო "არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას" 2007 წელს მიუერთდა, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, დღესდღეობით, ქვეყანაში არ არის მიზნობრივი კანონი, რომელიც იცავს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას;

- ტრადიციული რეწვა საქართველოს სამართლებრივ სივრცეში არ არის რეგულირებული, შესაბამისად, ის განცალკევებული რეგულირების სივრცეს არ წარმოადგენს. მისი ზუსტი დეფინიცია, მისი მახასიათებელი ნიშნები, საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება. მიუხედავად იმისა, რომ "კულტურის შესახებ" საქართველოს კანონში გვხვდება "ხალხური რეწვა და ხელობა", როგორც "კულტურის სფეროს" შემადგენელი ნაწილი, თვით "ხალხური რეწვა" განმარტებული არ არის, ასევე, არ არის დაფიქსირებული მისი ნიშნები და სხვა მახასიათებლები;

- შექმნილი რეწვის ნაწარმი ხშირად ვერ უწევს კონკურენციას ქარხნულად წარმოებულ მასობრივ იაფფასიან პროდუქციას, რაც, თავის მხრივ, ზუგდიდსა და რეგიონში ზოგიერთი ტრადიციის დაკარგვის საშიშროებას ქმნის;

- კიდევ ერთი სირთულე, რომლის წინაშეც გლობალურად და ადგილობრივად დგას ტრადიციული ხელოსნობა, არის გარემოს დაცვის საკითხები, რამაც ზოგიერთი ბუნებრივი რესურსისა და ნედლი მასალის მოპოვების შეზღუდვა გამოიწვია;

- ზუგდიდის ტრადიციული რეწვის ბაზარზე არსებული პროდუქციის უმეტესობა განიცდის ინოვაციურობის, დღევანდელ ყოფასთან მისადაგების დეფიციტს. არ მოქმედებს ხარისხის კონტროლის რაიმე გამართული მექანიზმი, რაც პროდუქციის ხარისხში მნიშვნელოვან განსხვავებებს იწვევს. პროდუქცია, მეტწილად, ორიენტირებულია უცხოელ მყიდველზე, რაც ზღუდავს მომხმარებლის კატეგორიებს და იწვევს გაყიდვების სეზონურობას;

- პროდუქციის უმეტესობას, როგორც წესი, არ გააჩნია საცალო შეფუთვა და მსოფლიოში მიღებული სტანდარტის მიხედვით შედგენილი თანმხლები ინფორმაცია;

- არანაკლებ მნიშვნელოვანია წარდგენა-ექსპონირების საკითხი, რომელიც მარკეტინგის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ამ ასპექტის არასათანადო აღქმას ვაწყდებით, არა მხოლოდ ცალკეული ოსტატების, არამედ მაღაზიების, განსაკუთრებით კი - სუვენირების სალონების უმეტეს შემთხვევებში;

- შეზღუდულია გაყიდვების არხები და არ არსებობს სადისტრიბუციო ქსელი, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს პროდუქციის მიმოქცევას. არ არსებობს არც რეწვის პროდუქციის ექსპორტის მიზანმიმართული პროგრამა;

- მნიშვნელოვანი პრობლემაა ოსტატებსა და პროფესიულ წრეებში, მათ შორის, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის ნაკლებობა, რაც, თავის მხრივ, საგანმანათლებლო და კულტურულ წრეებს შორის არაკოორდინირებული მოქმედების შედეგია. აქვე, უნდა აღინიშნოს სასკოლო პროგრამებშიც ოსტატების დასაქმების პრაქტიკის ნაკლებობა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში ტრადიციული რეწვის მიმართულების სახელმძღვანელოების არარსებობა;

- სახელოსნოების მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროებს ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას - დანადგარების განახლებასა და შემოქმედებითი საჯარო სივრცით უზრუნველყოფას;

- მიუხედავად ცალკეული კერძო ინიციატივებისა, რეწვის ორგანიზაციებსა და ცალკეულ ოსტატებს შორის თანამშრომლობის შემთხვევები ძალზე იშვიათია. არ არსებობს კავშირები და ასოციაციები, რომელიც ცალკეულ ინიციატივებს კოორდინაციას გაუწევდა და სექტორის ინტერესებს დაიცავდა.

ზუგდიდი: ხელოვნებისა და რეწვის შემოქმედებითი ქალაქი

1	ამოცანა: ქალაქ ზუგდიდის, როგორც ტრადიციული რეწვისა და ხალხური ხელოვნების ქალაქის პოზიციონირება და პოპულარიზაცია.		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
1.1	ზუგდიდის გაწევრიანება ტრადიციული რეწვის მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქსელებში (UNESCO-ს ხელნაკეთობებისა და ხალხური ხელოვნების ქალაქი - UNESCO City of Crafts and Folk Art; ტრადიციული რეწვის მსოფლიო საბჭო - World Crafts Council, Crafting Europe და სხვა).	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2026
1.2	ზუგდიდის მონაწილეობა ტრადიციული რეწვის მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსებში (ბრწყინვალების ჯილდო ხელნაკეთობებისათვის - Award of Excellence for Handicrafts – WCC, ევროპა ნოსტრა - Europa Nostra, Crafting Europe და სხვა).	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
1.3	თემატური კულტურული მარშრუტის მომზადება და ევროპის საბჭოს ევროპული კერამიკის მარშრუტში გაწევრიანება.	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია.	2022 - 2023
1.4	მიზნობრივი ინტერნეტ ბრენდ პლატფორმის შექმნა.	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.	2022 - 2023
1.5	მსოფლიოს შემოქმედებითი რეწვის ქალაქებს შორის თანამშრომლობისა და პარტნიორობის ახალი შესაძლებლობების შექმნა.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026
2	ამოცანა: ქალაქ ზუგდიდის და სამეგრელოს რეგიონის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა, დაცვა და პოპულარიზაცია.		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
2.1	არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის მეგრული მითოლოგიის, ადათ-წესების, ჩვეულებების ინვენტარიზაცია შემდგომი დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2023
2.2	ნომინაციების მომზადება საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2023
2.3	საფრთხის ქვეშ მყოფი ადგილობრივი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედებების გატარება მათი დაცვის მიზნით.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.	2022 - 2023
2.4	ადგილობრივი კულტურული და თემატური ტურისტული მარშრუტების, მათ შორის ადგილობრივი სამედიცინო ტურიზმის (ხალხური და ჰომეოპათიური მედიცინის) და რელიგიური ტურიზმის, ინიცირება და განვითარება.	სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO).	2022 - 2023
2.5	ადგილობრივ არქიტექტურაში მეგრული ოდის ორნამენტების გამოყენების პოპულარიზაცია და ხელშეწყობა.	სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია..	2022
3	ამოცანა: ახალგაზრდების დაახლოება ისტორიულ მემკვიდრეობასთან და მათი ჩართვა შემოქმედებით-საგანმანათლებლო აქტივობებში		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
3.1	ხელოვანთა მობილობის პროგრამის ინიცირება ოსტატებისათვის საერთაშორისო გამოფენებსა და ბაზრობებში (Messe Frankfurt, Fiera Milano, Santa Fe Folk, Art Festival და სხვა) მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026

3.2	ადგილობრივი და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამებისა და საზაფხულო ბანაკების ორგანიზება.	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
3.3	ადგილობრივი ტრადიციული რეწვის ოსტატებისა და მათი ნამუშევრების პოპულარიზაცია გამოფენების, ფესტივალების, გადაცემების, მედიასა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული სტატიების მეშვეობით..	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026
3.4	მხატვრული რეწვის ევროპული დღეების აღნიშვნა და პოპულარიზაცია, ასევე ადგილობრივი ოსტატების ჩართულობისა და მათი ნამუშევრების წარმოჩენის ხელშეწყობა..	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
3.5	ყოველწლიური ფესტივალების ორგანიზება: ტრადიციული რეწვის ბაზრობა; თანამედროვე ხელოვნების, თეატრალური და მუსიკალური ფესტივალის ორგანიზება.	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
4	ამოცანა: ადგილობრივი მეწარმეობის გაძლიერება და ბიზნეს-უნარების განვითარების ხელშეწყობა		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
4.1	ოსტატებისა და ორგანიზაციების უნარების ამაღლება შემდეგი მიმართულებებით: ▪ ბიზნესის დაგეგმვა და მართვა; ▪ თანამედროვე ბაზრის მოთხოვნები; ▪ დიზაინის ტრენდები; ▪ ფასთა წარმოება; ▪ შეფუთვა და წარდგენა; ▪ გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა; ▪ ბრენდინგი და მარკეტინგი; ▪ ფონდების მოძიება.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026
4.2	მცირე საგრანტო პროგრამის გამოცხადება და განხორციელება სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
4.3	ადგილობრივი ნაწარმის სარეალიზაციო ობიექტების/სივრცეების შექმნა, პოპულარულ ტურისტულ ლოკაციებთან (დადიანების სასახლე, მუზეუმი, რესტორანი, ტურისტულ საინფორმაციო ცენტრი და სხვა).	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
5	ამოცანა: ტურიზმთან დაკავშირებული წარმოების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
5.1	ადგილობრივი სუვენირებისა და სახასიათო სამახსოვრო ნივთების შექმნისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026
5.2	კერძო სექტორთან (სხვადასხვა მაღაზიებთან, დაწესებულებებთან და სხვა) აქტიური თანამშრომლობა, რეწვის ნაწარმის მათ სივრცეებში სარეალიზაციოდ შეტანა.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026

5.3	ტრადიციული რეწვის და ხალხური ხელობის მაჩვენებლების სტატისტიკისა და კვლევების რეგულარული წარმოება, სექტორის დინამიკის შეფასებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო ნიშის გამოკვეთის მიზნით.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია.	2022 - 2026
6	**აამოცანა: სამეწარმეო განათლების პროგრამების სწავლების, სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარების და კომპეტენციის გაუმჯობესების ხელშეწყობა შემოქმედებითი ხასიათის ბიზნესებში**		
№	**ქმედება**	**პოტენციური პარტნიორები**	**ვადა**
6.1	ახალგაზრდების გაძლიერება, საგანმანათლებლო შესაძლებლობების ხელშეწყობის გზით: ▪ სასკოლო პროგრამები; ▪ კონკურსები; ▪ გაცვლითი პროგრამები; ▪ ფესტივალები.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ პროფესიული უნარების სააგენტო; დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2026
6.2	ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, სკოლებში შრომის გაკვეთილებზე დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების და ტრადიციული რეწვის დარგების სწავლების ინტეგრირებით.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ პროფესიული უნარების სააგენტო; დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2026
6.3	პროფესიულ უმაღლეს სასწავლებლის პროგრამაში შემდეგი მიმართულებების ინტეგრირება: ▪ შემოქმედებითი/კულტურული ინდუსტრიები; ▪ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; ▪ კულტურა ეკონომიკური განვითარებისთვის.	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; პროფესიული უნარების სააგენტო; დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია.	2022 - 2026
7	**ამოცანა: საჯარო და კერძო თანამშრომლობის წახალისება, მდგრადი პარტნიორობისა და კავშირების შექმნა.**		
№	**ქმედება**	**პოტენციური პარტნიორები**	**ვადა**
7.1	სექტორს შიგნით და სექტორს გარეთ თანამშრომლობის, ქსელების, პროფესიული კავშირების, ასოციაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.	დანიის ლტოლვილთა საბჭო; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026

ზუგდიდი: გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი

ადგილობრივ ხელოვანთა და გასტრონომიის სექტორის წარმომადგენელთა შორის ჩამოყალიბებულია მჭიდრო თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად - ზუგდიდი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ცნობილია, როგორც გასტრონომიული ინოვაციის ქალაქი, სადაც კულტურა და შემოქმედებითობა ხელს უწყობს გასტრონომიის განვითარებას და, მასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას.

ფოტო: "ფრადიციის გამგრძელებელი" პატარა მეგრელი მოვლენ მეგრული სუნელების მასტერკლასზე
ფოტოგრაფი: ირაკლი გამსახურდია

3.3.

გასტრონომიის შემოქმედებითი ქალაქი

სტრატეგიული მიზანსწრაფვა

ადგილობრივ ხელოვანთა და გასტრონომიის სექტორის წარმომადგენელთა შორის ჩამოყალიბებულია მჭიდრო თანამშრომლობა საერთო მიზნის მისაღწევად - ზუგდიდი ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ცნობილია, როგორც გასტრონომიული ინოვაციის ქალაქი, სადაც კულტურა და შემოქმედებითობა ხელს უწყობს გასტრონომიის განვითარებას და, მასთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებას.

3.3.1.

შესავალი

გასტრონომია თანამედროვე სამყაროში დღითიდღე უფრო პოპულარული, მიმზიდველი და, ამავდროულად, გაყიდვადი სექტორი ხდება. ის კულტურის სფეროს ისეთივე წარმომადგენელია, როგორც მუზეუმი, თეატრი, სახვითი ხელოვნება და სხვა. თუმცა, მისი იდენტიფიცირება, როგორც კულტურის ნაწილისა, საქართველოში დღემდე არ მომხდარა. სამწუხაროდ, არც კულტურის სტრატეგიის დოკუმენტში "კულტურის სტრატეგია 2025" გვხვდება გასტრონომიის სექტორის იდენტიფიცირება, როგორც კულტურული ინდუსტრიების და კულტურული ტურიზმის წამყვანი სექტორისა, რომელიც ქვეყნისა, თუ ცალკეული რეგიონების კულტურული პოტენციალის წარმოჩენის მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს.

გასტრონომია და კულტურა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. ერთი შეხედვით, გარკვეული საკვებისა და სასმლის მომზადება და გაზიარება მარტივია, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ამ პროცესს განსაკუთრებული სოციალური და კულტურული მნიშვნელობა აქვს. რეცეპტები და ჯანსაღი კვების ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა.

გასტრონომია, კერძების კულინარიული და ეთნოგრაფიული ასპექტების შერჩევა, მომზადება, მონაწილეობა და პრეზენტაცია, გამოყენებით ხელოვნებას მიეკუთვნება, რადგან მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კერძს არ განიხილავს, როგორც მხოლოდ უტილიტარული მიზნისთვის შექმნილ პროდუქტს. მათი მომზადების კულტურით, გაფორმებითა და პრეზენტაციით, გასტრონომია სცილდება მხოლოდ სამომხმარებლო ასპექტებს და ესთეტიურ დატვირთვას იძენს.

გარკვეული კერძების მომზადება და მათი დეგუსტაცია აძლიერებს სოციალურ კავშირებს. ტურისტებისთვის კი ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ავთენტური კერძებისა და კულინარიული ტრადიციების გაცნობა, ცოდნის გაღრმავებისა და გამოცდილების გამდიდრების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

ნიშანდობლივია, რომ 2022 წლის მდგომარეობით, იუნესკო, კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეყვანით, მსოფლიოში საკვებსა და სასმელთან დაკავშირებულ 25 ტრადიციას აღიარებს და იცავს.

გასტრონომია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოციალური ეკონომიკის განვითარებას და განსაკუთრებული პოტენციალი აქვს გასტროტურიზმის, გასტრო-პოლიტიკისა და გასტროდიპლომატიის კონტექსტში.

გასტრონომია არის მეცნიერება, ხელოვნება, კვების კულტურა და, საბოლოო ჯამში, ის გვევლინება ინტერდისციპლინურ მიმართულებად, სადაც სხვადასხვა ფსიქო-ქიმიური, კულტურული, სოციო-ეკონომიკური პროცესებია თავმოყრილი. გასტრო-ტურისტს აინტერესებს დეტალურად გაიგოს, რატომ მიირთმევენ ამა თუ იმ საკვებს, რა სახით და ფორმით მიირთმევენ, რა ისტორია აქვს ამ პროდუქტისა თუ კერძის წარმოშობას, როგორ მზადდება იგი, რა როლი აქვს ამ საკვებს კონკრეტული ქვეყნის ისტორიაში, კულტურაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში და ა.შ. შესაბამისად, გასტრონომია გვევლინება, როგორც "მეცნიერება, რომელიც იკვლევს კვების კულტურას".

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გასტრონომიული ტურიზმის მთავარი მიზანი მხოლოდ საკვები არ არის, არამედ, მისი როლია ერის, რეგიონის, თუ სუბკულტურის ისტორიაში, გეოგრაფიაში, ეთნოკულტურაში, უნიკალური რეცეპტების და ავთენტური გემოების, რეგიონისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული გასტრონომიული ბრენდების და რეცეპტურის მოძიება ტრადიციული დამზადების მეთოდე-

ბით. გასტრონომიული ტურიზმი ითვალისწინებს კონკრეტული კულტურის კვების ისტორიის და ტრაპეზის კულტურის შეცნობას და
შესწავლას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO) ექსპერტების მონაცემებით, გასტრონომიული ტურიზმი მსოფლიო ტურისტული მარშრუტების 30% შეადგენს, რადგან გასტრონომია წარმოადგენს მნიშვნელოვან კონკურენტულ უპირატესობას. ქალაქი გამოიყენებს კვების ტურიზმის ინდუსტრიას, როგორც ეკონომიკურ მამოძრავებელს, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოწვევების გადასაჭრელად.

გარდა ამისა, გასტრონომია მოიცავს ეთიკურ და მდგრად ღირებულებებს, რომლებიც ადგილობრივი პროდუქტებიდან, კულტურიდან, ცხოვრების წესიდან და ლანდშაფტიდან გამომდინარეობს. ქალაქის კულტურისა და ცხოვრების წესის გაცნობისათვის გასტრონომია შეუცვლელი ელემენტი გახდა და ასახავს ყველა ტრადიციულ ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია ტურიზმის ახალ ტენდენციებთან: კულტურისა და ტრადიციის პატივისცემა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ავთენტურობა, მდგრადობა და ა.შ.

ჩვენი მიზანია, ზუგდიდი გავხადოთ ცნობილი, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის გასტრონომიული ტურიზმის შემოქმედებითი ქალაქი, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მომსახურებითა და სტუმარ-მასპინძლობის უძველესი ტრადიციით.

მომავლის ზუგდიდი ჩვენ წარმოგვიდგენია ქალაქად, სადაც მისი ავთენტური გასტრონომიული კულტურა და შემოქმედებითი მიდგომები აღიარებულია ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, ხდება მეგრული გასტრონომიული კულტურის ექსპორტი და სამეგრელოს აქვს ცნობადობა საერთაშორისო არენაზე, როგორც გასტრონომიული დანიშნულების ადგილს, რომელიც ქართული გასტრონომიული კულტურის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ნაწილია და გასტრონომიული ტურიზმი ზუგდიდის მშპ-ში მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია.



ფოტო: გივი ლეკვეიშვილი, „ლაზიზ-ბაზარ“

“გასტრონომია, კერძების კულინარიული და ეთნოგრაფიული ასპექტების შერჩევა, მომზადება, მონაწილეობა და პრეზენტაცია, გამოყენებით ხელოვნებას მიეკუთვნება, რადგან მსოფლიო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კერძს არ განიხილავს, როგორც მხოლოდ უტილიტარული მიზნისთვის შექმნილ პროდუქტს. მათი მომზადების კულტურით, გაფორმებითა და პრეზენტაციით, გასტრონომია სცილდება მხოლოდ სამომხმარებლო ასპექტებს და ესთეტიურ დატვირთვას იძენს.”

3.3.2.

ადგილობრივი კონტექსტი

სამზარეულო - ტრადიციული კერძები და სასმელები - ზუგდიდის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილია და წარმოდგენილია ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურით, მეგრული აჯიკის მომზადების ტექნოლოგიით, სულგუნის, ხაჭაპურისა და ელარჯის ტრადიციით საქართველოში. მეგრული კერძების ინგრედიენტები, საკვების მომზადება-შენახვის ტექნოლოგიები და დამზადების წესები თვალნათლივ მეტყველებს ზუგდიდისა და მთლიანად რეგიონის კულტურაზე და მდიდარ წარსულზე.

ზუგდიდი თავგადასავლების მოყვარულებსა და გურმანებს გემოების მრავალფეროვან პალიტრას სთავაზობს. აქ შეთავაზებული სხვადასხვა საკვები ასახავს რეგიონის ბუნებრივ ელემენტებს, მის ხალხს და მის ისტორიას. ამ რეგიონის სამზარეულო ცნობილია მთელ საქართველოში თავისი პიკანტური და ძლიერი გემოთი, აგრეთვე, აღიარებულია სულგუნის - ალბათ, საქართველოში ყველაზე ცნობილი ყველის - სამშობლოდ. ბევრმა მეგრულმა კერძმა იპოვა თავისი ადგილი საქართველოს მასშტაბით, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული სამზარეულოს განვითარებაში, მხარი დაუჭირა რეგიონში მდგრადი ტურიზმის განვითარებას და ხელი შეუწყო საქართველოს გასტრონომიული მემკვიდრეობის აღნიშვნას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ზუგდიდსა და სამეგრელოს, საქართველოს ვაზისა და ღვინის კულტურაში ისტორიულად მუდამ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეკავა. ამას, როგორც ბუნებრივი გარემო (ნიადაგი, აგროკლიმატური თავისებურებები, ვაზის ბიომრავალფეროვნება), ასევე ვენახების სიმრავლე და წარმოების მასშტაბი განაპირობებდა. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის შუა წლებში ვენახების ფართობითა და ღვინის წარმოებით სამეგრელო ერთ-ერთი ძლიერი რეგიონი იყო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოში ძალიან ბევრი ჰიბრიდული ვაზის ჯიშია, რომლებმაც, თავის დროზე, ადვილი მოსავლელობის გამო ჩაანაცვლეს ენდემური ჯიშები. მეგრული ჯიშების კვლავ გაშენება უკვე დაიწყეს მარტვილსა და მუხურში, შესაბამისად, ენდემური ჯიშების ზუგდიდში დაბრუნება შესაძლებელია. ერმილე ნაკაშიძის წიგნის მიხედვით, მეგრულ ენდემურ ჯიშებს განეკუთვნება ვაზის 40 სახეობა, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია - ოჯალეშის ჯიშის ყურძენი, რომლისგანაც საუკეთესო ღვინო მზადდება. ეს არის ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო, რომელსაც ველური ვარდის სუსტი სურნელი და ხასხასა წითელი ფერი ახასიათებს.

მეგრული ღვინის ხარისხსა და ღირსებებზე თავის ჩანაწერებში არაერთი ცნობილი ეთნოგრაფი თუ მეცნიერი წერს. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი მე-17 საუკუნის 70-იან წლებში მიიჩნევდა, რომ მეგრული ღვინო საუკეთესოა მთელ აზიაში. საფრანგეთის კონსული თბილისში, ჟან ფრანსუა გამბაც, საქართველოში 1820-ან წლებში მოგზაურობის აღწერისას, მეგრულ ღვინოს საუკეთესოს უწოდებდა. შვეიცარიელი ისტორიკოსი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე კი მიიჩნევდა, რომ კავკასიონის სამხრეთ კალთებზე ყველაზე კარგ ღვინოს სამეგრელოში აყენებდნენ.

დროთა განმავლობაში იცვლება ქვეყნის ტრადიციული კერძების ჩამონათვალი, ზოგჯერ რთულდება ინგრედიენტების მორგება ძველიდან ახალზე. ზუგდიდი ის ადგილია, სადაც ტრადიციები ღრმად არის ფესვგადგმული და ადგილობრივები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ წინაპრების ცოდნას და ამზადებენ ავთენტურ კერძებს ტრადიციული რეცეპტებით, რომლებიც თანაბარი ინტერესის სფეროს წარმოადგენენ როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისთვის.

მიუხედავად დროის ცვალებადობისა, ტრადიციების გადარჩევისა და განვითარების შეუქცევადი პროცესისა, საქართველოში სტუმართმოყვარეობის ისტორიული წესები და ავთენტური სამზარეულო, დროთა სვლასთან ერთად, არ იცვლება და კვლავინდებური ფორმით ნარჩუნდება. შედეგად, ქალაქი ზუგდიდი ჩამოყალიბდა ადგილად, სადაც ერთიანდება აღმოსავლური და დასავლური კულტურა. ტრადიციული კერძებისა და ევროპული გავლენის კომბინაციით, თანამედროვე მეგრული სამზარეულო იყენებს ახალ კულინარიულ ტექნიკას, რათა შექმნას გემოს რთული და დამახასიათებელი შერწყმა, რომელიც განასხვავებს მის კულინარიულ სტილს სხვა დანარჩენისგან.

გასტრონომია ზუგდიდში ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია და განსაკუთრებული კერძები ღონისძიებების

ფოტო: უცნობი
ფოტოგრაფიები: ელგუჯა ბუაჩიძის

(ქორწილებსა თუ რელიგიურ ცერემონიებში) მთავარი ნაწილია. საუკუნეების განმავლობაში ზუგდიდი სანელებლებით ვაჭრობის ცენტრს წარმოადგენდა. კლიმატიდან გამომდინარე, რეგიონი მოიცავს მდიდარ ფლორას, რაც ხელს უწყობს სამკურნალო და არომატული მცენარეების ზრდას.

ბოლო წლების განმავლობაში ქალაქის მთავარი საზრუნავი იყო შექმნილიყო საჯარო სივრცეები, როგორიცაა ღია ცის ქვეშ სასადილო ადგილები და ბაზრები. გასტრონომიული სექტორი დღეს განიხილება, როგორც მთავარი კულტურული ინდუსტრია, რომელიც ზრდის დასაქმების შანსს ადგილობრივი მოსახლეობისთვის. მთავრობის აქტიური ჩართულობით, ზუგდიდის კულინარიის სექტორი იმედოვნებს, რომ გაიზრდება არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო მასშტაბით, საერთაშორისო ბაზრებსა და კვების ფესტივალებში მონაწილეობის ხარისხი.

ადგილობრივი კვების მრავალფეროვანი კულტურისა და სასოფლო მეურნეობის პოპულარიზაციის მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი კერძო სექტორთან, ასოციაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მოაწყობს გასტრონომიული თემატიკის ფესტივალებსა და ღონისძიებებს. ქალაქის გაძლიერების მიზნით, მერია იღებს პასუხისმგებლობას, წამოიწყოს და ხელი შეუწყოს დასაქმების ახალი შესაძლებლობების მქონე ინიციატივებს. ამ მიზნით, ბოლო წლების მანძილზე უკვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, ზუგდიდმა უმასპინძლა 6 გასტრონომიულ ფესტივალს.

კულინარიულ კომპონენტებს, ასევე, შეიცავს სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი დღესასწაულებისა თუ სახალხო დღესასწაულების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები. თუმცა, სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართულებით, აქამდე გამოყენებული მეთოდები და მიდგომები მოითხოვს სისტემატიზაციასა და სრულყოფას, რათა მოხდეს მეგრული სამზარეულოსა და გასტრონომიის კონცეპტუალურ დონეზე წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

3.3.3.

გამოწვევები

- ქართული, კონკრეტულად კი - მეგრული გასტრონომიული კულტურა ჯერ კიდევ შეუსწავლელი სფეროა, ისევე, როგორც კულტურისა და ხელოვნების გავლენა მის წარმოჩენასა და განვითარებაზე;
- დღესდღეობით ზუგდიდი, როგორც გასტრონომიული ქალაქი, არ არის პოზიციონირებული და ის არ არის წარმოდგენილი მნიშვნელოვან საერთაშორისო გასტრონომიულ პლატფორმებში, ქსელებსა თუ ორგანიზაციებში. არ ხდება ზუგდიდის აქტიური მონაწილეობა და წარმოჩენა შესაბამის კონკურსებსა და კამპანიებში;
- არ არსებობს ერთიანი ინტერნეტ სივრცე ზუგდიდის, როგორც გასტრონომიული ქალაქის პოპულარიზაციის მიზნით;
- ზუგდიდი არ არის ჩართული არცერთ თემატურ კულტურული მარშრუტში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე;
- ნაკლებად ხდება ზუგდიდისა და სამეგრელოს რეგიონის გასტრონომიული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების წარმოჩენა, დაცვა და პოპულარიზაცია;
- იშვიათობას წარმოადგენს მეგრული კულინარიული რეცეპტების წიგნები, კვალიფიციური გასტრონომიული კულტურის მკვლევარები და ისტორიკოსები, კრიტიკოსები და მრჩეველები;
- არ არის ხელმისაწვდომი გასტრონომიული და კულინარიული საგანმანათლებლო პროგრამები განათლების ყველა საფეხურზე და, შესაბამისად, ვერ ხდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი ცოდნისა და უნარების განვითარება;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული გასტრონომიული ტურიზმისათვის ღირსშესანიშნავი ადგილები ნაკლებად შესწავლილია. არ ხდება მათი სათანადო ხელშეწყობა, ბრენდირება და პოპულარიზაცია. სამუშაო ამ მიმართულებით ძალიან ბევრია, რათა მსოფლიო გასტრონომიულ რუკაზე ზუგდიდმა იპოვოს ადგილი და მოახდინოს სწორი პოზიციონირება, რადგან დღევანდელი მსოფლიო სწორედ რეცეპტებისა და შემდგომ კერძების საშუალებით "აგემოვნებს" ქვეყანას. ამ მხრივ კი ზუგდიდს დიდი პოტენციალი აქვს;
- ნაკლებად ხდება კულტურისა და გასტრონომიის სექტორების თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება;
- არც ზუგდიდში და არც მთლიანად რეგიონში არ არსებობს გასტრონომიული მუზეუმი ან საექსპოზიციო სივრცე;
- რეგულარულად არ იმართება გასტრონომიული ფესტივალები. ნაკლებად განვითარებულია კომბინირებული ფესტივალების (გასტრონომია, რეწვა და ხელოვნება) ორგანიზების ტრადიცია;
- არ ხდება მსოფლიოს გასტრონომიულ ქალაქებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება. გასტრონომიულ თემატიკაზე არ იმართება მეცნიერული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, გაცვლითი პროგრამები, კონფერენციები და სხვა;
- ზუგდიდში არ გვხდება დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმები, სექტორული ჭოლგა ორგანიზაციები, ასოციაციები და სხვა. ნაკლებად ხდება სექტორს შიგნით და სექტორს გარეთ თანამშრომლობა;
- ნაკლებად განვითარებულია გასტრონომიული სუვენირების ბაზარი.

1	ამოცანა: ზუგდიდის, როგორც გასტრონომიული ქალაქის პოზიციონირება და პოპულარიზაცია, მნიშვნელოვან საერთაშორისო კულტურულ და ტურისტულ პლატფორმებში მონაწილეობის გზით		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
1.1	ნომინაციის მომზადება და ქალაქის წარდგენა UNESCO-ს შემოქმედებითი გასტრონომიული ქალაქის (UNESCO Creative City of Gastronomy) სტატუსის მისაღებად.	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
1.2	ზუგდიდის გაწევრიანება გასტრონომიის, კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის საერთაშორისო ინსტიტუტის ქსელში (International Institute of Gastronomy, Culture, Arts and Tourism - IGCAT).	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2023
1.3	ზუგდიდის ნომინირება 2026 წელს ევროპის გასტრონომიული რეგიონის სტატუსის (European Region of Gastronomy Award) მისაღებად.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტები; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2026
1.4	ყოველწლიური მიზნობრივი ბიუჯეტის გამოყოფა სხვადასხვა თემატურ საერთაშორისო კონკურსსა და შეჯიბრებაში მონაწილეობის მხარდასაჭერად: ▪ გაეროს მსოფლიო ორგანიზაციის გასტრონომიული ტურიზმის სტარტაპ კონკურსი; ▪ IGCAT ახალგაზრდა შეფ-მზარეულთა ჯილდო.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026

2	ამოცანა: ზუგდიდის ჩართვა კულტურული მარშრუტების პროგრამაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე (ევროპის საბჭო)		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
2.1	ევროპის საბჭოს თემატურ კულტურულ მარშრუტებში ჩართვა (ღვინის ევროპული მარშრუტში - Iter Vitis და სხვა).	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO);სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო.	2022 - 2023

3	ამოცანა: ზუგდიდისა და სამეგრელოს რეგიონის გასტრონომიული, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების წარმოჩენა, დაცვა და პოპულარიზაცია		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
3.1	გასტრონომიასთან დაკავშირებული ნომინაციების მომზადება საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში წარსადგენად.	საქართველოს, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO).	2022 - 2023

4	ამოცანა: ბავშვების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულთა უნარების გაძლიერება, განათლების ყველა საფეხურზე კულინარიული და კულტურული განათლების ინოვაციური და ინკლუზიური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვით		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
4.1	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მეგრული გასტრონომიისა და კულინარიის შესახებ ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და კერძო სკოლები.	2022 - 2026
4.2	ზუგდიდის გასტრონომიული (კულინარიული) აკადემიის დაარსება, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას, შექმნის ახალი პარტნიორობის შესაძლებლობებს და სასერთიფიკაციო პროგრამებს შეფ-მზარეულებისთვის და პროფესიონალებისთვის, ასევე ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას გასტრონომიულ სექტორში.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ პროფესიული უნარების სააგენტო; საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია.	2023

5	ამოცანა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტში გასტრონომიული ტურიზმის რესურსების შესწავლა და ანალიზი, გასტრონომიული ტურიზმის შემდგომი პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
5.1	ზუგდიდის გასტრონომიული და კულტურული ტურიზმის ინტერნეტ პორტალისა და სოციალური გვერდის შექმნა.	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია.	2022 - 2023
5.2	წიგნის "სამეგრელოს გემო" მომზადება და გამოცემა, რომელშიც შესული იქნება როგორც რეცეპტები, ასევე გასტრონომიული კულტურის ისტორია.	საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი"; სსიპ ზუგდიდის ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი".	2023
5.3	ზუგდიდის გასტრონომიის მონაცემთა ბაზის შექმნა, მეგრული სამზარეულოს სტანდარტების დადგენის, ფართო ცნობადობის გაზრდის, ასევე ზუგდიდის და რეგიონის კულტურისა და კულინარიული იდენტობის დაცვის და მდგრადობის ხელშეწყობის მიზნით.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO).	2023
6	ამოცანა: სხვადასხვა კულტურული და გასტრონომიული ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება კულტურის სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
6.1	მუსიკას, ხელოვნებას, ტრადიციულ ხელოსნობასა და გასტრონომიას შორის სინერგიის შექმნის მიზნით, ყოველწლიური გასტრონომიული ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზება და გამართვა: ▪ ზუგდიდის კულინარიული გამოფენა-გაყიდვა; ▪ სტრიტ ფუდ" დღეები; ▪ გასტრონომიული აღმოჩენების ფესტივალი; ▪ ხაჭაპურის ფესტივალი; ▪ აჯიკის ფესტივალი; ▪ ღვინის ფესტივალი; ▪ აფხაზური ფესტივალი; ▪ ღომის ფესტივალი; ▪ ყველის ფესტივალი; ▪ თაფლის ფესტივალი.	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისსტრაცია; სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი; სსიპ ზუგდიდის ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი"; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
6.2	სასოფლო სამეურნეო საქმიანობასთან მიბმული სახალხო გასტრონომიის ტრადიციული ღონისძიებების ორგანიზება: ▪ თხილის შეგროვება; ▪ სიმინდის აღება; ▪ მანდარინის კრეფა; ▪ მეგრული რთველი.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; სსიპ სოფლის განვითარების სააგენტო; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
7	ამოცანა: საჯარო და კერძო თანამშრომლობის წახალისება, მდგრადი პარტნიორობისა და კავშირების შექმნა, კრეატიულობისა და გასტრონომიული ინოვაციების სტიმულირება		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
7.1	საჯარო და კერძო სექტორებისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობით, ახალი კრეატიული და შემოქმედებითი სივრცეების შექმნა (მაგ. ზუგდიდის გასტრონომიის მუზეუმი, გასტრო-დუქანი, ეთნო-სახლი და სხვა).	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
7.2	საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა ინოვაციური პროექტების მეშვეობით, მათ შორის გასტრონომიის ტრადიციული საერთაშორისო ფორუმისა და კონკურსის დანერგვა.	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.	2023 - 2026
7.3	გასტრონომიული სუვენირების ბაზრის განვითარება.	საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2023 - 2026
7.4	ეთნო-გასტრონომიის, გასტრონომიული კრეატიულობისა და ინოვაციურობის სტიმულირება კულტურისა და ხელოვნების სექტორთან აქტიური თანამშრომლობით.	საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ოსტატები და ხელოვანები.	2022 - 2026

3.4.

ურთიერთმკვეთი პრიორიტეტები

გარდა ძირითადი სტრატეგიული მიზანსწრაფვებისა, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ხედვის იმპლემენტაციისა და ეფექტური შედეგების მიღწევის მიზნით, კვლევების, კითხვარებისა და სამუშაო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, გამოიკვეთა 6 ურთიერთმკვეთი პრიორიტეტი, რომელიც ყველა თემისთვის აქტუალურია და ორიენტირებულია კულტურის მართვის, ხელშემწყობი გარემოსა და ადგილზე საჭირო უნარების განვითარებაზე:

1. ადამიანური კაპიტალი: უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა
2. აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა
3. თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება
4. კულტურის მართვის გაუმჯობესება
5. შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა
6. კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ფოტო: საბჭოთა ეპოქის მოზაიკა.XX საუკუნის 70-80-იანი წლები. რუხი

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, მათ მისაღწევად, შემდეგი ამოცანები და ქმედებები განისაზღვრა:

უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა

ნებისმიერი სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა თუ პროცესის უკან დგანან ადამიანები, რომელთა ცოდნაზე, უნარებსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული პროგრესი და წარმატება. სწორედ ამიტომ, ჩვენი სტრატეგიის მთავარი ქვაკუთხედი და საყრდენია ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ქმნიან, ემსახურებიან და მოიხმარენ კულტურას.

ფოტო: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სასპორტო მუზეუმის ეროვნული ფესტივალის აღსაზრდელები.
ფოტოგრაფი: ეკატერინე ჯელოგუა

3.4.1

უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა

ნებისმიერი სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა თუ პროცესის უკან დგანან ადამიანები, რომელთა ცოდნაზე, უნარებსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული პროგრესი და წარმატება. სწორედ ამიტომ, ჩვენი სტრატეგიის მთავარი ძვაკუთხედი და საყრდენია ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ქმნიან, ემსახურებიან და მოიხმარენ კულტურას.

ქალაქის მუდმივი შემოქმედებითი განახლებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კულტურის როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირთა ცოდნისა და უნარების განვითარება, რაც, თავის მხრივ, მიმართული იქნება კულტურის ხელშეწყობისა და დაფინანსების ახალი შესაძლებლობების შექმნაზე. ამ მიზნით, ვგეგმავთ ხელოვანთა და კულტურის მენეჯერთა ხელშეწყობის პროგრამის ინიცირებას, რომელიც ორიენტირებული იქნება ისეთი პროექტებისა და საგრანტო კონკურსების ინიცირებაზე, რომლებიც ტრენინგებს, მასტერკლასებს, გაცვლით პროგრამებს, კონკურსებსა და მობილობას შეუწყობენ ხელს.

კულტურისა და შემოქმედებითობის პოტენციალის კარგად გააზრებისა და მათი სტიმულირების, ასევე ადგილობრივი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისა და განვითარებისთვის შესაძლებლობებისა და სათანადო გარემოს ჩამოყალიბებისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურისა და შემოქმედების, ასევე სამეწარმეო განათლების პოზიციონირება, როგორც განათლების სისტემის ყველა საფეხურის განუყოფელი ნაწილი, რათა განვითარდეს ერთი მხრივ შემოქმედებითი უნარები და აზროვნება, მეორეს მხრივ, ჩამოყალიბდეს ქალაქში კულტურის და შემოქმედების მოხმარების ჩვევა ადრეული ასაკიდან. ინტერდისციპლინარული პროგრამების ინიცირების გზით, შემოქმედებითი მეწარმეობის განათლების ჩართვა უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში.

ზუგდიდის საჯარო სკოლებში ვგეგმავთ სასწავლო ლაბორატორიების პროგრამის (Learning Labs Program) დაწყებას. პროგრამა საშუალებას მისცემს სკოლის მოსწავლეებს გაიღრმავონ თავიანთი შემოქმედებითი უნარები პროექტზე დაფუძნებული მუშაობის მეთოდით და ამით აიმაღლონ ცოდნა კულტურული და შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. პროგრამა მიზნად ისახავს ინტელექტუალური საკუთრების მნიშვნელობის შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას და გააძლიერებს სექტორთაშორის თანამშრომლობას შემოქმედებით სექტორსა და სკოლებს შორის.

ჩვენ ასევე ვგეგმავთ გამოვაცხადოთ ღია კონკურსი კულტურული და შემოქმედებითი სექტორის ორგანიზაციებისა და სტრუქტურებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებელთან ერთობლივი პროექტების განხორციელებით, მოსწავლეთა და სტუდენტთა შემოქმედებითი პროფესიების გაცნობისა და მათი შემოქმედებითი და მეწარმეობითი უნარების განვითარების მიზნით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტებსა და ახალგაზრდებში შემოქმედებითი მეწარმეობისა და ლიდერობის უნარების განვითარებაა, რისთვისაც შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე შემოქმედებითი ინკუბატორის დაარსებას ვგეგმავთ, რომლებიც პერსპექტივაში შემოქმედებითი ჰაბების ფორმირებაზე ფოკუსირდება. ჩვენი ამოცანაა STEAM-ის დისციპლინებიდან (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, ხელოვნება და მათემატიკა) სტუდენტების გაერთიანება და სწავლების ინკლუზიური და ინტერაქტიული მეთოდებისა და პლატფორმების შემუშავება.

შემოქმედებითი ინკუბატორი სტუდენტების კერძო სექტორთან პირდაპირ და აქტიურ თანამშრომლობას შეუწყობს ხელს - ახალი ბიზნეს-მოდელებისა და მიდგომების განვითარების გზით. გვჯერა, რომ კერძო სექტორთან კოორდინირებული თანამშრომლობა და ამ პროცესში ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა, შემოქმედებითი აზროვნებისა და ინოვაციური მიდგომების პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

სტუდენტური პროექტების განვითარების, ხელშეწყობისა და დაფინანსების მიზნით, ვგეგმავთ სტუდენტური საგრანტო ფონდის შექმნას, რომელიც ყოველწლიურად გამოავლენს და დააფინანსებს სტუდენტურ/ახალგაზრდულ პროექტებს, რომლებიც, ინოვაციური და კრეატიული მიდგომებით, ადგილობრივი საჭიროებების, გამოწვევებისა და პრობლემების მოგვარებაზე იქნება ორიენტირებული.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ზრდასრულთა უწყვეტი პროფესიული განათლების პრაქტი-

კის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, რათა შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორში არსებულ მცირე და საშუალო მეწარმეებსა და სტარტაპებს მიეცეთ შესაძლებლობა განავითარონ მათი კომპეტენციები და უნარები, რაც მათ დაეხმარებათ შეინარჩუნონ მდგრადობა, დაიწყონ ახალი კარიერა და განავითარონ მაღალი ხარისხის პროდუქცია და სერვისები. ამ მიზნით, ზუგდიდის უნივერსიტეტთან არსებულ პროფესიული კოლეჯის ბაზაზე მიზნობრივი საგანმანათლებლო ინიციატივები შემუშავdeba.

მტკიცებულებებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის, აღნიშნული ინტერვენციების ეფექტურობის დადგენის, სტრატეგიით განსაზღვრული ქმედებების შედეგების გაანალიზებისა და განვითარების დინამიკის შესწავლის მიზნით, აუცილებელია სექტორში კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობის ხელშეწყობა. ზუგდიდის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენის და ხელშეწყობისათვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი დინამიკის სწორი გაანალიზება და მტკიცებულებებზე და ფაქტებზე დაყრდნობით, თანმიმდევრული და მიზანმიმართული ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ამ მიზნით ვგეგმავთ სპეციალური პროგრამის ინიცირებას, რომელიც ხელს შეუწყობს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორების რეგულარულ ანალიზს და კვლევას,ხელოვნების, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების წვლილის გააზრების გასაუმჯობესებლად, ქალაქის საერთო ეკონომიკაში, ხელოვნებისა და CCI-ის წვლილის გააზრების გასაუმჯობესებლად, ქალაქის საერთო ეკონომიკაში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

არსებობს სპეციფიური მეთოდოლოგიით დაგეგმილი კვლევების საჭიროება, რომელშიც მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული "ფუნქციონირების ძირითადი ინდიკატორები" (Key Performance Indicators), სხვადასხვა ქვე-სექტორისთვის.ამ მიზნით, გაგრძელდება წარმატებული თანამშრომლობა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან და სხვა პარტნიორებთან ყოველწლიური დარგობრივი კვლევების განხორციელების და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, გაანალიზებისა და სისტემატიზაციის მიზნით. ამ პროცესის შედეგად კი კულტურული რესურსის ციფრული ბანკი შეიქმნება.

ფოტოგრაფი: ირაკლი გამსახურდია

აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა

ფოტო: დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ეზო
სამეგრელო-ზემო სვანეთის საგზაო ადმინისტრაცია

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი კულტურა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის და არსებითად გარდაიქმნას მოსახლეობის საერთო დამოკიდებულება კულტურისა და შემოქმედების მიმართ, როგორც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პროცესი და დასაქმების წყარო.

3.4.2.

აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი კულტურა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის და არსებითად გარდაიქმნას მოსახლეობის საერთო დამოკიდებულება კულტურისა და შემოქმედების მიმართ (როგორც ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი, ინტერდისციპლინური თანამშრომლობის პროცესი და დასაქმების წყარო).

ზუგდიდი გააგრძელებს აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ინოვაციური მოდელების დანერგვას და, ამ მიზნით, მსოფლიოს გამოცდილი შემოქმედებითი ქალაქების გამოცდილების გაზიარებას. კულტურული ღონისძიებებისა და აქტივობების მხარდაჭერის, დაგეგმვისა და ორგანიზების ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების, ზუგდიდში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა და უმცირესობათა ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

ინფორმაციის ეფექტურად გავრცელების მიზნით, ვგეგმავთ ზუგდიდის კულტურის ინტერნეტ პორტალისა (www.zugdidi4culture.ge) და სოციალური გვერდის შექმნას, რომელიც ყველა დაინტერესებულ პირს მისცემს შესაძლებლობას, ერთ სივრცეში იხილოს ინფორმაცია ზუგდიდის კულტურის რესურსებზე; განხორციელებულ და დაგეგმილ ღონისძიებებზე (კულტურის აფიშა, ღონისძიებებზე ბილეთების ონლაინ დაჯავშნისა და ყიდვის ფუნქციით); დახელოვნების, კონკურსების, ტრენინგების, მასტერკლასების, გაცვლითი პროგრამების, დაფინანსებისა და სხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

სტრატეგიის მთავარი მიზანსწრაფვებიდან გამომდინარე, ინტერნეტ პორტალში ინტეგრირებული იქნება რამდენიმე თემატური ქვე-გვერდი (მაგ., ზუგდიდის გასტრონომია; ზუგდიდის კულტურული პროდუქცია და სუვენირები; ზუგდიდის კულტურული მარშრუტები და სხვ.).

ინტერნეტ პორტალზე ხელოვანებსა და ოსტატებს შესაძლებლობა ექნებათ, უფასოდ განათავსონ ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული კულტურული პროდუქციისა და ხელოვნების ნიმუშების შესახებ, ამ მიზნისთვის სპეციალურად გამოყოფილ ხელოვანთა ინდივიდუალურ პროფილებში (ხელოვანთა პორტფოლიო).

კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით ვგეგმავთ ისეთი ღონისძიებების გამართვას, როგორიცაა "შემოქმედების დღე", ყოველწლიური კონკურსი "წლის ყველაზე კრეატიული", ევროპის ტალანტის დღე (European Talent Day), კრეატიულობისა და ინოვაციის მსოფლიო დღე (World Creativity and Innovation Day) და სხვ.

ზუგდიდის შემოქმედებითი იდეათონების რეგულარულად ჩატარება ახალგაზრდების შემოქმედებითი და ინოვაციური იდეების გენერირებისა და მათი წარმატებულ პროექტებად ქცევის მიზნით. ახალგაზრდების იდეათონში ჩართულობით ჩამოყალიბდება იდეები, აზროვნება, ქმედებები და ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებული იქნება კულტურის განვითარების სტრატეგიასთან და უზრუნველყოფს მის სექტორთა შორის შესაბამისობას. ასევე გავლენას მოახდენს ზუგდიდში ფართო პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე. წარმატებული პროექტების მხარდაჭერა მოხდება როგორც ზუგდიდის უნივერსიტეტის, ისე მუნიციპალიტეტის მხრიდან.

პრესისა და მედიის როლი ადგილობრივი კულტურისა და შემოქმედებითი პოტენციალის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის, ცნობიერების ამაღლებისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად ძალზედ დიდია. სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანია დავაინტერესოთ და აქტიურად ჩავრთოთ მედია სექტორი სპეციალურ მედია კამპანიაში, რომელიც ადგილობრივი ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი პროცესების გაშუქებით, სამოქალაქო ღირსებისა და თვითიდენტობის გაძლიერებაზე იქნება ორიენტირებული. რაც ასევე გულისხმობს შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფართოდ გაშუქებას და ზუგდიდის წარმოჩენას.

კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებლად ვგეგმავთ მიზნობრივი კამპანიის წარმართვას,

მათი როლის შესახებ თანამედროვე სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში (მათ შორის, დასაქმების შესაძლებლობების შექმნის კუთხით, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის), მათი უნარი, წვლილი შეიტანონ ცხოვრების ხარისხსა და ზუგდიდის იმიჯის ჩამოყალიბებაში და მათი დადასტურებული როლი ევროპაში და სხვა ქვეყნებში, როგორც ურბანული რეგენერაციის სტიმულატორი, განსაკუთრებით ქალაქების ინდუსტრიულ ზონებთან მიმართებაში. საერთაშორისო და ადგილობრივი საუკეთესო პრაქტიკისა და წარმატების ისტორიების პოპულარიზაციის მიზნით კამპანია შეიძლება მოიცავდეს სხვადასხვა ფორუმებს, კონფერენციებს და სემინარებს, ასევე საკომუნიკაციო პლატფორმებს. მედია აქტიურად უნდა იქნას ჩართული, კულტურული პროცესების გასაშუქებლად და საზოგადოების წევრების წასახალისებლად, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებით საქმიანობაში.

ფოტოგრაფი: ირაკლი გამსახურდია

თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის წარმატების წინაპირობა, სხვადასხვა სექტორებს შორის კარგად გააზრებული, მიზნობრივი თანამშრომლობა და პარტნიორობაა.

ფოტო: "ჯუჭას" გაცოცხლებული ფრადიციისისაგი. ეთნოლოგიური "ისა-ტურა"

3.4.3.

თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის წარმატების წინაპირობა, სხვადასხვა სექტორებს შორის კარგად გააზრებული, მიზნობრივი თანამშრომლობა და პარტნიორობაა.

სხვადასხვა სექტორებსა და აქტორებს შორის აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა განვითარების წინაპირობაა. თანამშრომლობითი ქსელები ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ჩართულობას და სექტორის ინტერესების ლობირებას. აღნიშნული დაეხმარება შემოქმედებით ჯგუფებს, დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, რაც უზრუნველყოფს ქალაქის მდგრად განვითარებას.

აღნიშული მოცემულობის მისაღწევად და ზუგდიდის შესაძლებლობების განვითარების პროცესების უზრუნველსაყოფად, საჭიროა სხვადასხვა სექტორის (კულტურის, საგანმანათლებლო, კერძო და საჯარო სექტორები) კონსოლიდაცია და მიზანმიმართული თანამშრომლობისთვის ინოვაციური მოდელების დანერგვა, რათა პროფესიონალთა ქსელები და ალიანსები ჩამოყალიბდეს - სექტორთა შორისი სტრატეგიული ალიანსების შექმნა; კლასტერული ინიციატივების გაძლიერება და მრავალფეროვანი ქსელების მხარდაჭერა; საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა; ერთობლივი პროექტების შემუშავება, რომლებსაც შესაბამისი გავლენა ექნებათ კულტურისა და ეკონომიკის მდგრადობაზე.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საუკუნოვანი ისტორიის მქონე ხელოვნების სკოლების, კულტურის დაწესებულებებისა და ადგილობრივი დიდი ხელოვანების პოტენციალის ინტეგრირება ქალაქის შემოქმედებით მომავალში, როგორც ახალი შემოქმედებითი პროდუქტების, სერვისების და ქალაქის სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების ინოვაციური წყარო. ამ მიზნის მისაღწევად ვგეგმავთ შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის "შემოქმედებითი ზუგდიდი" დაარსებას, რომელიც შეხვედრის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ასევე, პროფესიული დახელოვნების სივრცე იქნება და, თავის მხრივ, ახალი კავშირებისა და პარტნიორობის განვითარებას შეუწყობს ხელს, ასევე სექტორის ადვოკატირებაზე იქნება ორიენტირებული, რითაც ადგილობრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების სტიმულირებას წაახალისებს.

ზუგდიდის იდეების ლაბორატორიის (Zugdidi Ideas Lab) გამართვა - პროცესი, როდესაც კრეატიული პრაქტიკოსები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და აკადემიკოსები უნივერსიტეტიდან მუშაობენ ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ ინოვაციური იდეების ტესტირებისა და კრეატიული პროექტების განვითარების მიზნით. მათ მიერ შემუშავებული პროექტების მხარდაჭერა კი მუნიციპალიტეტის მიერ მოხდება.

ჩვენი ამოცანაა, ასევე, www.zugdidi4culture.ge ინტერნეტ პორტალზე ონლაინ ცოდნის ბანკის შექმნა, რითაც მოხდება ადგილობრივი და მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკისა და წარმატებული მაგალითების გაზიარება, ასევე, ბიზნეს სექტორსა და კულტურის ორგანიზაციებს შორის წარმატებული თანამშრომლობის მაგალითების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

კულტურის მართვის გაუმჯობესება

ფოტო: კადრი ზუზდილის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თეატრალური სტუდიის სპექტაკლიდან
ფოტოგრაფი: ეკატერინე ჯიღლოვაუა

კულტურის მართვის თვალსაზრისით, ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ კულტურას არ სჭირდება მართვა. მას სჭირდება განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რომელიც დიალოგს და თანამშრომლობას ეფუძნება და „კარგი მმართველობის" პრინციპებს შეესაბამება.

3.4.4.

კულტურის მართვის გაუმჯობესება

კულტურის მართვის თვალსაზრისით, ღრმად ვართ დარწმუნებულები, რომ კულტურას არ სჭირდება მართვა. მას სჭირდება განვითარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რომელიც დიალოგს და თანამშრომლობას ეფუძნება და „კარგი მმართველობის" პრინციპებს შეესაბამება.

ეფექტური დიალოგისა და თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ასევე, სექტორის საჭიროებათა გამოვლენისა და ლობირების მიზნით, გარდა დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმებისა, ზუგდიდის კულტურის საკოორდინაციო პლატფორმის შექმნას ვგეგმავთ, რომელიც კულტურის საჯარო, პროფესიული და კერძო სექტორის წარმომადგენლებისგან იქნება დაკომპლექტებული და აქტიურად ითანამშრომლებს როგორც კულტურის სტრატეგიის განხორციელების, ისე მისი მონიტორინგისა და პროგრესის შეფასების მიზნით. მომდევნო 5 წლის განმავლობაში CCI სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოსა და პირობების უზრუნველსაყოფად, აღნიშნული პლატფორმა დეტალურ საგზაო რუქასა და სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს, რომელიც ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე და მასთან შესაბამისობაში იქნება.

რაც შეეხება კულტურისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობას, კრეატიული ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომის გაზრდის მიზნით, ჩვენ ვგეგმავთ შემოქმედებითი ბიზნეს სტარტაპების ხელშეწყობის პროგრამის ინიცირებას. პროგრამის მიზანი იქნება ქალაქში ახლად დაარსებული ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერა. საგრანტო პროგრამის მთავარი ამოცანა იქნება ქალაქ ზუგდიდში მეწარმეობის განვითარება. ასევე, საგრანტო პროგრამის მიზანი იქნება, მცირე და საშუალო ბიზნესის, რომელთა ასაკი ერთი წელი ან ნაკლებია, განვითარების ხელშეწყობა. გარდა ამისა, პროგრამა მიზნად დაისახავს, მოტივაცია გაუზარდოს მათ, ვინც დატოვა ზუგდიდი, რათა მათი დაბრუნებისა და ახალი საწარმოს შექმნის სტიმულირება მოახდინოს, და ხელი შეუწყოს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას.

ჩვენი გეგმაა, ასევე, ზუგდიდის შემოქმედებითი ინკუბატორის დაარსება, რომლის მიზანი იქნება, მხარი დაუჭიროს მდგრადი და კონკურენტუნარიანი საწარმოების ზრდას და მინიმუმამდე დაიყვანოს მათი სტარტაპ რისკები სხვადასხვა ინკუბაციური სერვისების მიწოდებით. შემოქმედებითი ინკუბატორის მთავარი ამოცანა იქნება კრეატიული საწარმოების ბიზნეს კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება: თანამშრომლობისა და მონაწილეობის მექანიზმები, განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა.

ჩვენი ამოცანაა ხელი შევუწყოთ საექსპორტო შესაძლებლობებისთვის შესაბამისი პლატფორმების გაძლიერებას და ერთობლივი წარმოების მხარდაჭერას ადგილობრივი, ეროვნული და საერთაშორისო პროექტების დაფინანსების ინსტრუმენტების შექმნით, რაც თავის მხრივ შემოქმედებით საწარმოებს დაეხმარება გააფართოვონ თავიანთი საქმიანობის სფერო.

ადგილობრივი კულტურული პროდუქციის დივერსიფიკაციის, ბრენდირების, პოპულარიზაციისა და რეალიზაციის მიზნით სპეციალური პროგრამის დამზადებულია ზუგდიდში ინიცირება. "დამზადებულია ზუგდიდში" გახდება ერთგვარი ხარისხის ნიშანი, რომლის მოპოვებისთვისაც მეწარმემ უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისი მოთხოვნები, რაც ცნობადობის გაზრდასთან ერთად, ხელს შეუწყობს მაღალკონკურენტული, ხარისხიანი ნაწარმის შექმნას. ასევე, ადგილობრივი შემოქმედებითი და კულტურული პროდუქციის პოპულარიზაციისა და რეალიზაციის მხარდასაჭერად ინტერნეტ პორტალის www.zugdidicreates.ge დაარსება.

ჩვენ, ასევე, აქტიურად შევუწყობთ ხელს საჯარო და კერძო თანამშრომლობას (Public Private Partnership), შემოქმედებითი და ინოვაციური პროექტების მხარდაჭერის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში ბიზნესისა და კულტურის სექტორებს შორის თანამშრომლობის გარკვეული გამოცდილება არის, ის სტრატეგიულ პარტნიორობად ჯერ ვერ იქცა. კონსულტაციებიდან ირკვევა, რომ ბიზნესი დაინტერესებულია კულტურით და სურს იყოს უფრო მეტად ჩართული. დაფინანსების თვალსაზრისით, ერთ-ერთი ინსტრუმენტი იქნება კულტურის ბიზნეს-ალიანსის შექმნა, რომელიც მოიცავს ბიზნესებს მთელი ქალაქის მასშტაბით. ამ ჯგუფს შეუძლია პოტენციურად ჩადოს ინვესტიცია ქალაქში კულტურაში და გადაწყვიტოს, სად სურთ ინვესტირება და პარტნიორობა.

ზუგდიდში ვგეგმავთ საერთაშორისო პრაქტი-

კის საუკეთესო მაგალითების წარმოჩენას და მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმების დანერგვას (მაგ. შემოქმედებითი ვაუჩერები, ხელოვანთა სტიპენდიები, მცირე მასშტაბის საწყისი გრანტები, „crowdfunding“[5] და სხვა), ასევე საქველმოქმედო პრაქტიკისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის წახალისებას.

ფოტო: „ევროპული მემკვიდრეობის დღეები ზუგდიდში“-ისა-ფარალიზებული ღონისძიების ფარგლებში დადიანების სასახლის ეზოში
ფოტოგრაფი: ლორა ქოჩალია

[5] პროექტის ან კომერციული იდეის დაფინანსების პრაქტიკა საზოგადოებისგან თანხების მოზიდვით.

ფოტო: ზუგდიდის ჩაის №2 ფაბრიკის შენობა
ფოტოგრაფი: ნუკრი ბერულავა

ზუგდიდში შემოქმედებითი სივრცეების შექმნა, ადგილობრივი კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი განზომილება და წინაპირობაა. ჩვენი მიზანია, ზუგდიდში აღმოვაჩინოთ და შევქმნათ არაერთი შემოქმედებითი სივრცე და ამით ქალაქში შემოქმედებითობას, ინოვაციურობასა და პროდუქტიულობას შევუწყოთ ხელი.

შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა

3.4.5.

შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა

ზუგდიდში შემოქმედებითი სივრცეების შექმნა, ადგილობრივი კულტურის განვითარების მნიშვნელოვანი განზომილება და წინაპირობაა. ჩვენი მიზანია, ზუგდიდში აღმოვაჩინოთ და შევქმნათ არაერთი შემოქმედებითი სივრცე და ამით ქალაქში შემოქმედებითობას, ინოვაციურობასა და პროდუქტიულობას შევუწყოთ ხელი.

შემოქმედებითი სივრცის პირველი და უმთავრესი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ტერიტორია, სადაც შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლებს თავისუფლად შეეძლებათ მოღვაწეობა; სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებთან დაკავშირება; შემოქმედებითი და ინოვაციური თანამშრომლობების ინიცირება და, რაც მთავარია, სოციალური ჩართულობისა და ქალაქის ეკონომიური განვითარების სტიმულირება.

კრეატიული სამუშაო სივრცეები საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს შემოქმედებით მუშაობას. ეს სივრცეები იქმნება შემოქმედებითი თანამშრომლობისთვის და ხელს უწყობენ სოციალურ ურთიერთქმედებას, ცოდნის დამუშავებასა და ინოვაციური პროექტების ინიცირებას.

ჩვენი მიზანია ქალაქის კულტურული ინფრასტრუქტურის შემოქმედებითი პროცესების ცენტრში განთავსება, ხელოვნებისა და კულტურის სექტორის ინსტიტუტების სამეწარმეო შესაძლებლობებისა და უნარების განვითარების გზით, უფრო თანამშრომლობითი და ღია კომუნიკაციისთვის. ქალაქის ბიბლიოთეკების, თეატრების, გალერეებისა და მუზეუმების პოზიციონირება, როგორც ინტერ-დისციპლინური პრაქტიკის სივრცეები, როგორც შემოქმედებითი ბიზნესის კერები, სექტორთა-შორისი გაცვლის ადგილები და როგორც შემოქმედებითი განათლებისა და ნიჭის განვითარების გარემო.

ამისათვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ინვესტიციების განხორციელება შემოქმედებითი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა ფაბ-ლაბები (Fab-labs), ინკუბატორები (Incubators), აქსელერატორები (Acceleratorს), საერთო სამუშაო სივრცეები (co-working spaces) და ვირტუალური ჰაბები, რაც საშუალებას მისცემს შემოქმედებით და სხვა ბიზნესებს ითანამშრომლონ ერთმანეთთან, შექმნან კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქტები და სერვისები. აუცილებელია ამ მიმართებით ძველი ინდუსტრიული ინფრასტრუქტურის ათვისება, სადაც შემოქმედებითი ადამიანები შეიკრიბებიან, განიხილავენ თავიანთ იდეებს, გამოცდიან მათ შესაბამისობას ბაზართან მიმართებაში და ჩაატარებენ ექსპერიმენტებს. ეს გააძლიერებს ინტერ-დისციპლინურ გარემოს, გაზრდის ქალაქის მიმზიდველობას და განავითარებს ადგილობრივ საზოგადოებას.

სწორედ ამიტომ, ვგეგმავთ პროგრამის "ძველი ინდუსტრიული სივრცეების ახალი შემოქმედებითი სიცოცხლე" ინიცირებას, რომლის მიზანს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძველი და გამოუყენებელი ინდუსტრიული ობიექტების ინვენტარიზაცია და მათი შემდგომი შემოქმედებით სივრცეებად გარდაქმნა წარმოადგენს. ამ მიმართულებით კი, ვგეგმავთ, როგორც მსოფლიო საუკეთესო მაგალითების გაზიარებას, ისე მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელოვნებო, ისე კერძო სექტორთანაც საჯარო და კერძო თანამშრომლობის (Public Private Partnership) ფორმატში.

ზემოაღნიშნული პროცესის შედეგი იქნება ზუგდიდის ხელოვნების ფაბრიკის / "არტ კომბინატის" დაარსება, რომელიც ზუგდიდის ტერიტორიაზე შერჩეული უძრავი ქონების გარდაქმნისა და განვითარების გზით, მრავალფეროვან მულტიფუნქციურ შემოქმედებით სივრცედ იქცევა.

ჩვენი ამოცანაა, ასევე, წავახალისოთ და ხელი შევუწყოთ ზუგდიდში არსებული კულტურული ობიექტების მულტიფუნქციურ სივრცეებად გარდაქმნას, ქალაქში არსებული საჯარო (მუნიციპალური) კულტურული დაწესებულებების (მუზეუმი, ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, თეატრი და სხვ.) რე-კონცეფციით, რომელთა მიზანი იქნება ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი კულტურული გამოცდილებისა და სერვისების (საგანმანათლებლო, ინტერაქტიული, სარეკრეაციო, გასართობი, სამეწარმეო და სხვა) შეთავაზება. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს აღნიშნულ კულტურულ დაწესებულებათა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების დივერსიფიკაციას.

პრიორიტეტულ მიმართულებად, ასევე, გამოიკვეთა ზუგდიდში მოღვაწე ხელოვანთა და ოსტატთა ნამუშევრების პრეზენტაცია, გამოფენა

და პოპულარიზაცია საჯარო და კერძო დაწესებულებებში. მსგავსი თანამშრომლობისა და სინერგიის წახალისება, საშუალებას მოგვცემს უკეთ წარმოვაჩინოთ ადგილობრივი ხელოვანები და მათ მიერ წარმოებული კულტურული პროდუქცია, ასევე, დავეხმაროთ მათ რეალიზაციაში.

როგორც საზოგადოების სოციალური და კულტურული იდენტობის გამოხატულება, ხელოვნება საჯარო სივრცეში ააქტიურებს სივრცეებს, აუმჯობესებს კუთვნილების გრძნობას და ანიჭებს ადგილებს მნიშვნელობას. საჯარო ხელოვნება ხელს უწყობს საზოგადოების ყოველდღიურ ჩართულობას და ააქტიურებს შემოქმედებითობას და ინოვაციებს.

ფოტო: დავიანების სასახლე
ფოტოგრაფი: ელგუჯა ხუციშვილი

კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ფოტო: პაბარა ARTისტები
ფოტოგრაფი: ირაკლი გამსახურდია

ზუგდიდი, მისი არსით, ისტორიითა და ჩამოყალიბებული ტრადიციებით საერთაშორისო ქალაქია. მისი მოსახლეობა და, ამგვარად, მისი კულტურა, სულ უფრო მეტად ყალიბდება იმ ურთიერთობებით, რომლებიც სცილდება და არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი საზღვრებით.

3.4.6.

კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

ზუგდიდი, მისი არსით, ისტორიითა და ჩამოყალიბებული ტრადიციებით საერთაშორისო ქალაქია. მისი მოსახლეობა და, ამგვარად, მისი კულტურა, სულ უფრო მეტად ყალიბდება იმ ურთიერთობებით, რომლებიც სცილდება და არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი საზღვრებით.

ზუგდიდი არის ქალაქი, რომელიც აფასებს და ზრუნავს მის საერთაშორისო სტატუსზე, სათანადო პოზიციონირებასა და შემდგომ ინტერნაციონალიზაციაზე.

ჩვენი მიზანია, ზუგდიდი გავხადოთ მსოფლიო კულტურული პროცესების აქტიურ მონაწილედ და მოვახდინოთ მისი სათანადო საერთაშორისო პოზიციონირება სტრატეგიის მიზანსწრაფვებიდან გამომდინარე და ამით გავზარდოთ ქალაქის გამორჩეულობა და მიმზიდველობა.

იმისათვის, რომ ზუგდიდი გახდეს საერთაშორისო კულტურული ქალაქი, გარდა სტრატეგიის მთავარ მიზანსწრაფვებში მოცემული ქმედებებისა,მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო ქსელები და პარტნიორობა, რათა ხელოვანებისა და ორგანიზაციებისთვის ხელშესახები შესაძლებლობები შევქმნათ. ეს კი, თავის მხრივ, წაახალისებს მასშტაბურ შემოქმედებით პროექტებს, რომლებიც სარგებელს მოუტანს მოსახლეობას, ხელოვანებსა და ქალაქის სტუმრებს.

ამ მიზნით, ვგეგმავთ აქტიურ თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას დამეგობრებულ ქალაქებთან, ევროკავშირის EU4Culture პროგრამის მონაწილე ქალაქებთან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ასევე გასტრონომიისა და რეწვის მსოფლიო შემოქმედებით ქალაქებთან.

ადგილობრივი კულტურული პროდუქციის ევროპულ და საერთაშორისო ბაზრებზე დამკვიდრებისთვის, ვგეგმავთ ძალისხმევის გაძლიერებას (კულტურის მუშაკების, ოსტატების, ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლების საერთაშორისო კლასტერებში, ქსელებში გაწევრიანება, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, მობილობის მხარდაჭერა (მაგ. სამგზავრო გრანტები, გაცვლითი პროგრამები და სხვ.), ასევე, კოპროდუქციის, კულტურისმიერი პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის ხელშეწყობა და სხვა.

ვგეგმავთ შემოქმედებითი ინდუსტრიების მხარდაჭერას ისეთ საერთაშორისო პროგრამებში ადგილობრივი კულტურის სექტორის წარმომადგენელთა ჩართვის წახალისებით, როგორიცაა "შემოქმედებითი ევროპა", "ევრიმაჟი", "აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის პროგრამა", "იუნესკოს შემოქმედებითი ქალაქების კავშირი" და სხვ.), ასევე, თანადაფინანსების შესაძლებლობის შექმნასა და კოპროდუქციის ხელშეწყობას.

ადგილობრივი კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, ხელს შევუწყობთ საჯარო-კერძო პარტნიორობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას (მაგ. გამოფენების ჩატარება, საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებზე და სხვა ღონისძიებებზე ზუგდიდის წარდგენა, ბიზნესის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული რესურსის ერთობლივი წარმოჩენა და სხვ.).

ფოტო: ანაკლია
ფოტოზრაფი: ლევანი ბუბუტია

ურთიერთმკვეთი პრიორიტეტები

1	ამოცანა: უნარების განვითარებისა და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
1.1	კულტურის საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარების ამაღლების მიზნით, სხვადასხვა ტრენინგის, სემინარის, მასტერკლასის და გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობა.	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
1.2	ინგლისური ენის კომპეტენციებისა და უნარების გაუმჯობესება კულტურის საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომელთა შორის.	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში; ბრიტანეთის საბჭო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
1.3	ხელოვანთა და კულტურის მენეჯერთა ხელშეწყობის პროგრამის ინიცირება და განხორციელება.	საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
1.4	ზუგდიდის საჯარო სკოლებში სასწავლო ლაბორატორიების პროგრამის (Learning Labs Program) განხორციელება.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი; ზუგდიდში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
1.5	მიზნობრივი საგრანტო პროგრამის ინიცირება კულტურული და შემოქმედებითი სექტორის ორგანიზაციებისა და სტრუქტურებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებელთან ერთობლივი პროექტების განხორციელებით.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრი; ზუგდიდში არსებული ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებები; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები	2023 - 2026
1.6	დარგობრივი კვლევების განხორციელება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და კულტურული რესურსის ციფრული ბანკის შექმნა.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; სტატისტიკის ეროვნული სამსახური.	2023 - 2026
1.7	სტუდენტური საგრანტო ფონდის დაარსება.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.	2022
1.8	დარგობრივი კვლევების განხორციელება, სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და კულტურული რესურსის ციფრული ბანკის შექმნა.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; სსიპ სტატისტიკის ეროვნული სამსახური.	2023 - 2026
2	ამოცანა: აუდიტორიის განვითარებისა და ჩართულობის ხელშეწყობა		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
2.1	ზუგდიდის კულტურის ინტერნეტ პორტალისა (www.zugdidi4culture.ge) და სოციალური გვერდის შექმნა.	სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი.	2022
2.2	პრესასთან და მედიასთან აქტიური თანამშრომლობით, სპეციალური მედია კამპანიის წარმოება, ადგილობრივი ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და შემოქმედებითი პროცესების გაშუქების მიზნით.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მედია საშუალებები.	2023 - 2026
2.3	პრესასთან და მედიასთან აქტიური თანამშრომლობით, მიზნობრივი კამპანიის წარმართვა, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ საზოგადოებრივი ინფორმირებულობისა და ცნობიერების ასამაღლებლად.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მედია საშუალებები.	2023 - 2026
2.4	ზაქცია/კამპანიების გამართვა: "შემოქმედების დღე", "წლის ყველაზე კრეატიული", ევროპის ტალანტის დღე (European Talent Day) და სხვა	სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026

2.5	ზუგდიდის შემოქმედებითი იდეათონის ყოველწლიურად ჩატარება.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
3	**ამოცანა: თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისება.**		
№	**ქმედება**	**პოტენციური პარტნიორები**	**ვადა**
3.1	პროფესიონალთა ქსელებისა და ალიანსების ჩამოყალიბების წახალისება და ხელშეწყობა.	მუნიციპალიტეტში მოღვაწე კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები; დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
3.2	შემოქმედებითი კლასტერების ალიანსის "შემოქმედებითი ზუგდიდი" დაარსება.	მუნიციპალიტეტში მოღვაწე კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები; დამოუკიდებელი ხელოვანები; სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია; სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO); სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი.	2022
3.3	ონლაინ ცოდნის ბანკის შექმნა.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი.	2023
3.4	ზუგდიდის იდეების ლაბორატორიის (Zugdidi Ideas Lab) გამართვა ყოველწლიურად.	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
4	**ამოცანა: კულტურის მართვის გაუმჯობესება**		
№	**ქმედება**	**პოტენციური პარტნიორები**	**ვადა**
4.1	ზუგდიდის კულტურის საკოორდინაციო პლატფორმის შექმნა.	მუნიციპალიტეტში მოღვაწე კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები; დამოუკიდებელი ხელოვანები	2022
4.2	შემოქმედებითი ბიზნეს სტარტაპების ხელშეწყობის პროგრამის ინიცირება და განხორციელება.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო.	2023
4.3	CCI სექტორის განვითარებისათვის დეტალური საგზაო რუქისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; სსიპ შემოქმედებითი საქართველო.	2022
4.4	ზუგდიდის შემოქმედებითი ინკუბატორის დაარსება.	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2024
4.5	პროგრამის "დამზადებულია ზუგდიდში" ინიცირება.	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023
4.6	საჯარო და კერძო თანამშრომლობის (Public Private Partnership) წახალისება და კულტურის ბიზნეს ალიანსის შექმნა.	მუნიციპალიტეტში მოღვაწე კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები; დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023
4.7	საერთაშორისო პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების წარმოჩენა და მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე ალტერნატიული დაფინანსების მექანიზმების დანერგვა (მაგ. შემოქმედებითი ვაუჩერები, ხელოვანთა სტიპენდიები, მცირე მასშტაბის საწყისი გრანტები, „crowdfunding" და სხვა), ასევე საქველმოქმედო პრაქტიკის წახალისება.	მუნიციპალიტეტში მოღვაწე კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები; დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
4.8	ინტერნეტ პორტალის www.zugdidicreates.ge დაარსება.	სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი.	2023

5	ამოცანა: შემოქმედებითი სივრცეების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობა		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
5.1	კულტურული ინფრასტრუქტურისა და შემოქმედებითი სივრცეების კვლევა.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ);საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.	2022 - 2026
5.2	პროგრამის "ძველი ინდუსტრიული სივრცეების ახალი შემოქმედებითი სიცოცხლე" ინიცირება.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (მგფ);საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო.	2023
5.3	ზუგდიდის ხელოვნების ფაბრიკის / "არტ კომბინატის" დაარსება დაარსება.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2024
5.4	ინვესტიციების განხორციელება შემოქმედებითი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურაში, როგორიცაა ფაბ-ლაბები (Fab-labs), ინკუბატორები (Incubators), აქსელერატორები (Accelerators), საერთო სამუშაო სივრცეები (co-working spaces) და ვირტუალური ჰაბები.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
5.5	ზუგდიდში არსებული კულტურული ობიექტების მულტიფუნქციურ სივრცეებად გარდაქმნა.	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; სსიპ შემოქმედებითი საქართველო; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2023 - 2026
5.6	ხელოვანთა და ოსტატთა ნამუშევრების პრეზენტაცია, გამოფენა და პოპულარიზაცია საჯარო და კერძო დაწესებულებებში/სივრცეებში.	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026

6	ამოცანა: კულტურის პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა		
№	ქმედება	პოტენციური პარტნიორები	ვადა
6.1	დამეგობრებულ ქალაქებთან, ევროკავშირის EU4Culture პროგრამის მონაწილე ქალაქებთან, ასევე გასტრონომიისა და რეწვის მსოფლიო შემოქმედებით ქალაქებთან აქტიური თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
6.2	კულტურის მუშაკების, ოსტატების, ორგანიზაციებისა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლების საერთაშორისო კლასტერებში, ქსელებში გაწევრიანება, საერთაშორისო კონტაქტების დამყარება, მობილობის მხარდაჭერა (მაგ. სამგზავრო გრანტები, გაცვლითი პროგრამები და სხვ.).	სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026
6.3	ეკო პროდუქციის, კულტურისმიერი პროდუქტისა და მომსახურების ექსპორტის ხელშეწყობა.	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს სოფლის განვითარების სააგენტო; სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო; სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია; სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; საქართველოს კულინართა ფედერაცია; საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; მუნიციპალიტეტსა და რეგიონში არსებული არასამთავრობო, კერძო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ასევე დამოუკიდებელი ხელოვანები.	2022 - 2026



დანაროი

ფოტო: ბოლანიკური ბაღი ლონდონში

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესი



თავი 4

ფოტო: კოლხური პანო მეგრულია ოდეს ორნამენტით. ორკოლა-ტუფლის საბამოვნო სივრცის კედელზე.
ფეხბალი. 2019 წელი.კონსამიკოსი როზერგ პასანაძე
ფოტოგრაფი: ნუკრი ბენიულავა

ფოტო: კოლხური დოქი. ერგეტა. ბრონზის ადრერკინის ხანა.
ფოტოგრაფი: ლევან გაბელია

4.1. როგორ შემუშავდა სტრატეგია

კვლევა, რომელსაც ემყარება აღნიშნული სტრატეგია, მოიცავდა კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების რესურსების სიღრმისეულ ანალიზს, გამოკითხვებს, კრიტიკულ დისკუსიებსა და ფართო საჯარო კონსულტაციებს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მუნიციპალიტეტის ბაზაზე, ჩამოყალიბდა სტრატეგიის შემუშავებასა და პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებითა და მოწვეული ექსპერტებით დაკომპლექტდა.

კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობის, საჯაროობისა და ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, პროცესის დასაწყისში, მომზადდა და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა სტრატეგიის შემუშავების გზამკვლევი, რომელშიც დეტალურად იქნა აღწერილი სტრატეგიის შემუშავების პროცესი და მის შემუშავებაში ჩართვის შესაძლებლობები.

ზემოაღნიშნული კვლევა მოიცავდა ფართო საჯარო კონსულტაციას მიზნობრივ და პროფესიულ ჯგუფებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი კულტურული რესურსისა და მდგომარეობის დიაგნოსტირებას, სრულფასოვანი სიტუაციური ანალიზის ჩატარებას, არსებული ფასეულობებისა და მისწრაფებების სწორ აღქმას. აღნიშნული პროცესი მოიცავდა არსებული მასალების გაანალიზებას (თემატური კვლევები, შეფასებები, ანგარიშები, სხვადასხვა დარგობრივი სტრატეგიული დოკუმენტები, სამოქმედო გეგმები და სხვ.), ასევე, პროფესიული ჯგუფების მოსაზრებებისა და საზოგადოებრივი აზრის გამოვლენასა და შეფასებას (სექტორული და თემატური შეხვედრების, მიზნობრივი საჯარო კითხვარებისა და კვლევების ჩატარების გზით), რამაც განსაკუთრებული როლი ითამაშა კულტურისა და ადგილობრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების როლისა და პოტენციალის ახლებურ გააზრებაში.

სამუშაო პროცესის დასაწყისში, წინასწარ განისაზღვრა სხვადასხვა სექტორისა და მათ წარმომადგენლებთან თემატური შეხვედრების ციკლი, რომელსაც სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის წარმომადგენელთან ერთად, გარე ექსპერტი უძღვებოდა. პროცესში მონაწილე სხვადასხვა სექტორისა და თემატური ჯგუფების წარმომადგენლები, ადგილობრივ დონეზე, კულტურის და სხვადასხვა შემოქმედებითი სექტორის აქტიურ და წამყვან პირებს წარმოადგენდნენ. ეს ის პრაქტიკოსი, პროფესიონალი ადამიანები არიან, რომლებსაც ყველაზე კარგად ესმით ადგილობრივი შემოქმედებითი კონტექსტი, მათ ღიად და დეტალურად ისაუბრეს არსებულ პრობლემებზე, გამოწვევებსა და საჭიროებებზე.

ინფორმაცია შეხვედრების ჩატარებასთან დაკავშირებით, წინასწარ, სულ მცირე 1 კვირით ადრე, ზიარდებოდა სტრატეგიის სოციალურ გვერდზე, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა გაევლო რეგისტრაცია და დასწრებოდა შეხვედრას. თითოეულ სექტორულ და თემატურ ჯგუფთან ჩატარდა 2 სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, შეხვედრებს შორის გამოეგზავნათ დამატებითი მოსაზრებები.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩატარდა: გახსნითი ღონისძიება, რომლის დროსაც მოხდა გზამკვლევისა და სტრატეგიის შემუშავების პროცესის საჯარო პრეზენტაცია; 30 სექტორული და თემატური შეხვედრა; 70-მდე ინდივიდუალური შეხვედრა; 2 შეხვედრა სტრატეგიის პირველი სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვის მიზნით და სტრატეგიის საბოლოო ვერსიის საჯარო პრეზენტაცია. ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, შეხვედრები ჩატარდა როგორც ფიზიკურ (სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყველა რეგულაციის დაცვით), ისე ჰიბრიდულ და სრულად ონლაინ ფორმატში. სულ შეხვედრებს 650 მონაწილე დაესწრო.

ყველა შეხვედრის დაგეგმვა და ჩატარება მოხდა ინკლუზიურობის პრინციპის პატივისცემითა და დაცვით. გათვალისწინებულ იქნა გენდერული ასპექტები. საკითხის მნიშვნელობისა და სპეციფიურობის გათვალისწინებით, შეხვედრების ადგილისა და ფორმატის შერჩევა ხდებოდა ისე, რომ ადვილად ხელმისაწვდომი ყოფილიყო შშმ პირებისა და მათ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის.

სექტორული და თემატური სამუშაო შეხვედრების დროს, ზუგდიდის კულტურის სფეროში არსებული პრობლემებისა და გამოწვევების, მათი გამომწვევი მიზეზების, გამოსწორების გზების, ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე, პოტენციური შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით, გამოყენებულ იქნა ე.წ. "პრობლემური ხის" და "SWOT" ანალიზის მეთოდოლოგია. ყოველი თვის ბოლოს, სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მზადდებოდა და საჯაროდ ზიარდებოდა თვის ანგარიში, სადაც დეტალურად იყო ასახული თვის განმავლობაში ჩატარებული შეხვედრების შედეგები, მონაწილეთა სია, მთავარი მიგნებები და სამომავლო გეგმები. ასევე, აღნიშნულ ანგარიშებში წარმოდგენილი იყო პროცესის განმავლობაში ჩატარებული კვლევებისა და კითხვარების შედეგები.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, განხორციელდა 2 თემატურ-მიზნობრივი კვლევა, რომლის ფარგლებში ჩატარდა ორი გამოკითხვა. ერთ-ერთი საჯარო - საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიზნით, ხელმისაწვდომი იყო ონლაინ პლატფორმების მეშვეობით თემატური კვლევების, მათი თემატიკისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრის, კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით, აქტიური თანამშრომლობა შედგა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. კვლევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტებიც.

განხორციელებული კვლევებისა და გამოკითხვების ჩამონათვალი:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული კულტურული რესურსის კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა 15 იურიდიულმა პირმა;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების არსებული რესურსების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების კვლევა. კვლევის ფარგლებში სამიზნე ობიექტად რეესტრში
  აღრიცხულ იქნა 110 სუბიექტი, აქედან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 41-მა, ჩაღრმავებული კვლევა ჩატარდა 5 სუბიექტთან, სულ ჯამში გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 46 იურიდიულმა თუ კერძო პირმა;

- გამოკითხვა ზუგდიდში კულტურის შესაძლებლობების, პოტენციალისა და პრიორიტეტული მიმართულებების დადგენის, სექტორში არსებული გამოწვევებისა და დაბრკოლებების იდენტიფიცირების მიზნით;

- გამოკითხვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურული და შემოქმედებით ინდუსტრიებში არსებული გამოწვევების, საჭიროებების, გადაჭრის გზებისა და პოტენციალის იდენტიფიცირების მიზნით.

აღნიშნულ გამოკითხვებში მონაწილეობა მიიღო სულ 87-მა რესპოდენტმა.

ფოტო: ანსამბლი "ქედელა" ბაღი ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

სექტორული და თემატური შეხვედრების შედეგების, კითხვარებისა და კვლევების მიგნებების, ასევე, სხვა რელევანტური მასალების ანალიზის საფუძველზე, სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ, 6 თვიანი პროცესის განმავლობაში, სტრატეგიის 3 ვერსია (სტრატეგიის კონცეფცია, პირველი სამუშაო და საბოლოო ვერსია) მომზადდა. სტრატეგიის დოკუმენტის ყველა ვერსია ეტაპობრივად გაზიარდა ყველა ჩართული პირისათვის და იგი საჯაროდ გამოქვეყნდა სპეციალურ ონლაინ პლატფორმაზე, რათა ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონოდა მასზე წვდომა და შეძლებოდა დამატებითი რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაზიარება. სტრატეგიის ყველა სამუშაო ვერსიის განხილვა, ასევე, მოხდა სექტორულ და თემატურ ჯგუფებთან შეხვედრების დროს. სტრატეგიის შემუშავების პროცესში საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიის სამუშაო ვერსიების საჯარო პრეზენტაცია და განხილვა ჩატარდა. პირველი შეხვედრების პროცესში გამოთქმული მოსაზრებებისა და სხვადასხვა საშუალებებით მიღებული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რეგულარულად ხდებოდა სტრატეგიის განახლება და დახვეწა.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელება, პირველ რიგში, შესაბამისი სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებლობაა, მნიშვნელოვანი იყო, რომ ის გასაგები და მისაღები ყოფილიყო შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისათვის. ამ მიზნით, დოკუმენტის შემუშავების ყველა ეტაპზე, სამუშაო შეხვედრები და პრეზენტაციები გაიმართა, როგორც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის, ისე საკრებულოს თანამშრომლებისათვის, სადაც განხილული იქნება საზოგადოებიდან წამოსული მოსაზრებები და რეკომენდაციები, მოხდა აზრთა შეჯერება და ჰარმონიზაცია.

ამასთან, პროცესში ახალგაზრდების ჩართვის მიზნით, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ზუგდიდის მერიისა და მისი პარტნიორების ხელშეწყობით, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, შემოქმედებითი იდეათონი, კრეატიული იდეების კონკურსი - ,,შენი იდეა მომავლის ზუგდიდს!" გაიმართა. კონკურსზე დარეგისტრირდა 11 იდეა. წარმოდგენილი იდეების გაანალიზების შემდგომ, შესარჩევი კომისიის გადაწყვეტილებით, თერთმეტივე იდეის ავტორს მიეცა იდეათონში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ზუგდიდის შემოქმედებითი იდეათონის 3 გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა: I ადგილი: ეკო მეგობრული ბოქსები - ბავშვები კოლხური ბზის გადასარჩენად; II ადგილი: ჭკვიანი სივრცე / Smart Space; III ადგილი: კულტურის მუზეუმი. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა სერთიფიკატი, ხოლო გამარჯვებულთათვის გამოყოფილი იყო ფულადი ჯილდო და დიპლომები. იდეათონში მონაწილე ყველა იდეის ინტეგრირება მოხდა სტრატეგიის დოკუმენტსა და მის სამოქმედო გეგმაში. ასევე იდეების ავტორებისათვის გათვალისწინებულია სპეციალური მენტორინგის პროგრამა, მათი იდეების წარმატებულ პროექტებად გარდაქმნისა და ხელშეწყობის მიზნით.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის გამჭვირვალობისა და კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, შემუშავდა შესაბამისი საკომუნიკაციო გეგმა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე http://zugdidi.mun.gov.ge/ge/zugdidi4culture და სპეციალურად შექმნილ სტრატეგიის სოციალურ (Facebook) გვერდზე https://www.facebook.com/z4culture რეგულარულად ზიარდებოდა განახლებული ინფორმაცია წარმართული პროცესის, სამუშაო დოკუმენტებისა და ძირითადი პარტნიორების შესახებ. აღნიშნული სერვისების მეშვეობით, ასევე, მიზნობრივად შექმნილი ელ. ფოსტის მისამართის გამოყენებით ზუგდიდი4ცულტურე@გმაილ.ცომ ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდა, მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან, გამოეგზავნა შენიშვნები, რეკომენდაციები, მოსაზრებები და სხვა.

იმის გათვალისწინებით, რომ ზუგდიდში აქამდე არ არსებობდა კულტურის მიზნობრივი საინფორმაციო გვერდი, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ექნებოდა მიეღო ამომწურავი ინფორმაცია კულტურის სფეროში არსებულ შესაძლებლობებზე (საგრანტო კონკურსები, გაცვლითი პროგრამები, ტრენინგები, მასტერ-კლასები, სტიპენდიები, ღონისძიებები და სხვ.), ასევე, თვალყური ედევნებინა დაგეგმილი და ჩატარებული კულტურული ღონისძიებების შესახებ, სტრატეგიის შემუშავების პროცესში, სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სპეციალურად შექმნილი სტრატეგიის სოციალურ (Facebook) gverdis https://www.facebook.com/z4culture დამატებით ამ ფუნქციით დატვირთვა. აღნიშნული გადაწყვეტილების შემდეგ, რეგულარულად ხდებოდა შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, რამაც საგრძნობლად გაზარდა აღნიშნული გვერდის პოპულარობა და მომხმარებელთა რაოდენობა. დღევანდელი მონაცემებით, გვერდით რეგულარულად სარგებლობს და აქტუალურ ინფორმაციასა და რესურსებზე წვდომა აქვს 1,000-ზე მეტ ადამიანს.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ზუგდიდის კულტურული რესურსებისა და პოტენციალის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, დაიწყო სპეციალური ინტერნეტ კამპანია: "იცოდით, რომ"", რომლის ფარგლებშიც, სტრატეგიის სოციალურ გვერდზე, რეგულარულად ზიარდებოდა საინფორმაციო ბანერები და შესაბამისი ტექსტი.

სტრატეგიის პროცესის პოპულარიზაციის, საზოგადოების ჩართულობისა და ზუგდიდში მოღვაწე კულტურის სფეროს წარმომადგენლების, დამოუკიდებელი ხელოვანებისა და ახალგაზრდების წარმოჩენის მიზნით, სტრატეგიის სოციალურ გვერდზე მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია ზუგდიდის კულტურის სტრატეგიასთან დაკავშირებით მათი ციტატებისა და გამონათქვამების გამოქვეყნებით.

4.2. სტრატეგიის სამუშაო ჩარჩო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგია შემუშავდა ეროვნული კანონმდებლობის, სახელმწიფოსა და ადგილობრივ დონეზე დამტკიცებული და შემუშავებული სტრატეგიებისა და მათი განვითარების გეგმების საფუძველზე, ასევე გათვალისწინებულია საერთაშორისო, მათ შორის ევროკავშირის, გამოცდილება.

ადგილობრივი განზომილება

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" ევროპული ქარტია, საქართველოს ორგანული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები. შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული მიზნები და ამოცანები სრულად იზიარებს და ეყრდნობა ზემოჩამოთვლილი საკანონმდებლო ჩარჩოსა და მიდგომებს.

ასევე, სტრატეგია შემუშავებულია "კულტურის სტრატეგია 2025"-ის პრიორიტეტების შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული რესურსისა და პოტენციალის შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე. მასში ასახულია არსებული რესურსის შესაბამისი მიდგომები და აგრეთვე გათვალისწინებულია საქართველოს მთავრობის პრიორიტეტები და სექტორული, თუ მულტისექტორული განვითარების მიმართულებები, რომლებიც კავშირშია კულტურის, ხელოვნებისა და შემოქმედებითობის განვითარებასთან. ადგილობრივ დონეზე, მართვის იმპლემენტაციისა და ადგილობრივ დონეზე, კულტურის სექტორის განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგია გარდა სახელმწიფო მნიშვნელობის სტრატეგიული დოკუმენტებისა, ეყრდნობა, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე შემუშავებულ და დამტკიცებულ სხვა სექტორების დარგობრივ სტრატეგიების დოკუმენტებს, შესაბამისს სამოქმედო გეგმებსა და შემუშავებულ კვლევებს, მათ შორის:

- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021;
- დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025;
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- სამეგრელოს ტურიზმის განვითარების 2019 წლის სამოქმედო გეგმა - USAID ზრდა საქართველო;
- სამეგრელოს რეგიონის გასტრონომიული ტურიზმის 2021 წლის სტრატეგია;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027;
- ზუგდიდის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2020-2023);
- ზუგდიდის 2022-2025 წწ. საშუალო ვადიანი პრიორიტეტები;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2019-2022;
- ზუგდიდის კულტურული რუკა - ასოციაცია "მერკური";
- გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ - სსიპ შემოქმედებითი სქართველო;
- ხელოსნობის სექტორის კვლევა დასავლეთ საქართველოში - დანიის ლტოლვილთა საბჭო;
- სამეგრელოს რეგიონის გასტრონომიული ტურიზმის სტრატეგია - USAID ზრდა საქართველო, მოამზადა დალილა ცატავამ.

საერთაშორისო განზომილება

კულტურისა და კულტურული რესურსების თანმიმდევრული განვითარებითა და ადექვატური გამოყენებით, სტრატეგია ემსახურება, ერთი მხრივ ადგილობრივი თემის გაძლიერებას, მეორე მხრივ კი ადგილობრივი კულტურისა და მემკვიდრეობის ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას, ევროპული ღირებულებების ჭრილში, რათა წარმატებით მოხდეს მათი მდგრადი ინტეგრაცია პანევროპულ კულტურულ რუკაზე. დოკუმენტში გამოყენებული მიდგომები და პრინციპები თავის მხრივ, პასუხობს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს[6].

სტრატეგია ემყარება საერთაშორისო კონვენციებს, ანგარიშებს, დარგობრივ სახელმძღვანელო მითითებებს და ითვალისწინებს მსგავსი სტრატეგიების შემუშავებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას, მათ შორის:

- კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ. პარიზი, UNESCO, 20 ოქტომბერი, 2005;
- კონვენცია არამატერიალური კულტურული მემ-კვიდრეობის დაცვის შესახებ. პარიზი, UNESCO, 17 ოქტომბერი, 2003;
- კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ. UNESCO, ქ. პარიზი, 16 ნოემბერი, 1972;
- ევროპის კულტურული კონვენცია, ევროპის საბჭო, 1954;
- ევროპის ლანდშაფტების კონვენცია, ევროპის საბჭო, ფლორენცია, 2000;
- საზოგადოებისთვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია, ფარო, 2005;
- 21-ე საუკუნის ევროპული კულტურული მემ-კვიდრეობის სტრატეგია, ევროპის საბჭო, პარიზი, 2018.

[6] კერძოდ - მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა; მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება; მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა; მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა; მიზანი 9 - მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა; მიზანი 12 - მდგრადი მოხმარება და წარმოება; მიზანი 15 - დედამიწის ეკოსისტემები; მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები; მიზანი 17 - პარტნიორობა მიზნების მისაღწევად.

ზუგდიდის შესახებ

თავი 5

ფოტო: ჯედი უფლისწული ნიკოს სასახლეზე
დედოფლისეული სასახლის თანდასწრებით

5.1.
ზოგადი ინფორმაცია

ქალაქი ზუგდიდი, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარის ადმინისტრაციული ცენტრია. ტერიტორია მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და უჭირავს ოდიშის დაბლობი, ოდიშის პლატო და ურთის მთიანი ზონა. ზუგდიდი აფხაზეთისა და ზემო სვანეთისაკენ მიმავალ გზაზე ერთგვარი გზაჯვარედინია.

ზუგდიდი უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული, ის მდიდარი კულტურისა და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის მქონეა. აქ დაცულია მატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშები - წინარექრისტიანული ცივილიზაციების ნაშთები, მრავალსაუკუნოვანი ციხე-სიმაგრეები, საერო და საკულტო დანიშნულების ნაგებობები. ზუგდიდი გამორჩეულია არამატერიალური მემკვიდრეობით - ზეპირსიტყვიერი ტრადიციებით, მათ შორის, ენა, საშემსრულებლო ხელოვნებით, რიტუალებითა და დღესასწაულებით, კულინარიითა და ტრადიციული ხელოსნობის სახეობებით.

ამჟამად მუნიციპალიტეტი აერთიანებს 53 ადმინისტრაციულ ერთეულს, მათ შორის, 5 ადმინისტრაციული ერთეული შედის ქალაქის შემადგენლობაში და 48 ადმინისტრაციული ტერიტორიული ერთეულის შემადგენლობაში შედის 58 სოფელი. მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 692 კვ.კმ-ს. მოსახლეობის სიმჭიდროვის მხრივ ქ. ზუგდიდი სამეგრელოში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობა, დევნილთა ჩათვლით, შეადგენს - 105 509 ადამიანს, მათ შორის, 18 000 ახალგაზრდა. ქალაქის მოსახლეობა - 42 998, საიდანაც 54% ქალი და 46% მამაკაცია, სოფლების მოსახლეობა - 62 511. ამასთან აღსანიშნავია, რომ ზუგდიდი დევნილი მოსახლეობის კომპაქტური ჩასახლების მხრივ, ყველაზე დიდი ცენტრია თბილისის შემდეგ. იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 11 042 შეადგენს, რაც რეგისტრირებული მოსახლეობის 10.46%-ია.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა საკრებულო,
ხოლო აღმასრულებელი - მერი

ფოტო: მეგრელი ოდის სივლის ორნამენტებით აფოგავალი ეზის ფუტზე. ეთნო-სოფელი "ილია-ფურა"

5.2. ზუგდიდის კულტურის განვითარების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

5.2.1. ზუგდიდის ფორმირება

სამეგრელოს რეგიონი, ისტორიულად, წარმოადგენს ანტიკური კოლხეთის ტერიტორიის ცენტრალურ ნაწილს და მისი მოსახლეობა იმ კულტურის მემკვიდრეა, რომლითაც აღფრთოვანებული იყვნენ ბერძენი და რომაელი ავტორები, როგორებიცაა ჰიპოკრატე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვები. კოლხეთის სამეფო, უფრო მოგვიანებით ლაზიკა და ეგრისი, დასავლეთ საქართველოს დიდი სახელმწიფო გაერთიანება იყო. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში კოლხეთი აღწერილია, როგორც აიეტისა და მედეას სამშობლო და არგონავტების მოგზაურობის მთავარი პუნქტი, მითიური ოქროს საწმისის მოსაპოვებლად.

თანამედროვე ზუგდიდის ტერიტორიაზე აღმოჩენილია პრეისტორიული და ისტორიული ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მოყოლებული ქვის, ბრინჯაოს, ანტიკური ხანის შუასაუკუნეების ჩათვლით. რაც ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს, რომ აქ იყო ცივილიზაციათა მემკვიდრეობის მეტნაკლებად უწყვეტი ჯაჭვი, ელინისტურ პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სავაჭრო გზა გადიოდა, რამაც საზოგადოებრივ ცხოვრებას ინტერკულტურული ხასიათი შესძინა.

აქვე აღსანიშნავია, "კოლხური თეთრი" (ძვ. წ. VI-III საუკუნეების ვერცხლის მონეტა), რომლის მოჭრას მკვლევართა ნაწილი კოლხეთის სამეფოს მიაწერს, ნაწილი კი - შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებულ ბერძნულ ახალშენებს (ფაზისს). კოლხური თეთრის[7] მნიშვნელობა მეტად დიდია. საკმარისია აღინიშნოს, რომ იგი ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია ძვ.წ. VI საუკუნეში თანამედროვე დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე სამეფოს არსებობის დასამტკიცებლად. გარდა ამისა, კოლხური თეთრი პირველხარისხოვანი მასალაა მითოსური პანთეონის შესასწავლად.

XIV-XIX საუკუნეებში ოდიშის საერისთავოს ბაზაზე ჩამოყალიბდა ოდიშის სამთავრო, ცენტრით ზუგდიდში, მოგვიანებით, XIX საუკუნის დასაწყისში მას სამეგრელო ეწოდა. XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან, ზუგდიდი ოდიშის სამთავროს სატახტო, საკმაოდ მნიშვნელოვან ქალაქად ჩამოყალიბდა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე შედიოდა ქუთაისის გუბერნიის ზუგდიდის მაზრაში. 1921 წლიდან - ზუგდიდის მაზრაში, ხოლო ცალკე რაიონად 1930 წელს გამოიყო.

ვარაუდობენ, რომ სახელწოდება წარმოიშვა ზუგ-დიდიდან (ე. ი. დიდი გორიდან; კოლხურად "ზუგი/სუკი" ბორცვი, ფერდობი) ან კიდევ გეოგრაფიული სახელწოდება ზუბი-დან (ზუბ-დიდი), ასე ეწოდებოდა ბორცვს, რომელიც მოგვიანებით მანცხვარკარიშ სუკიად (მაცხოვრის კარის გორაკად) იწოდებოდა, რომლის სახელი შემდეგ მიიღო აქვე გაშენებულმა ქალაქმა. ზუგდიდი წყაროებში პირველად მოიხსენიება XVI საუკუნის ბოლოს (1590წ. ბერი ეგნატაშვილი).

ზუგდიდი გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ქართული კულტურისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა. გამორჩეულია ლევან II (1611 - 1657 წწ.) დადიანის პერიოდი, რომლის კარზეც მოღვაწეობდნენ გამორჩეული მხატვრები, ოქრომჭედლები, მწერლები და პოეტები. დადიანთა წიგნსაცავში, რომელიც დადიანების სასახლეშია განთავსებული, დაცულია ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია. ამ პერიოდში შექმნილმა საოქრომჭედლო სახელოსნოს ათობით ნაწარმმა, მათ შორის, უნიკალური ჭედური ხელოვნების საგანძურმა - ხატებმა მოაღწია დღემდე და საქართველოს ხელოვნებისა და ზუგდიდის მუზეუმების ფონდსაცავებშია დაცული.

[7] კოლხური ფული დამზადებულია მაღალმხატვრულ დონეზე, რითაც იგი ტოლს არ უდებს იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს მოწინავე ქვეყნების ნუმიზმატიკურ ძეგლებს და სტილისტურად ემსგავსება კიდეც მათ. კოლხური მონეტების ადრეული ცალები სტილითა და ტექნიკური თვალსაზრისით განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენს ძვ.წ. VI საუკუნის ბერძნულ, კერძოდ, მილეტურ მონეტებთან. ეს ფულადი ნიშნები კოლხეთისთვის იჭრებოდა და, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყენებოდა.

5.2.2.
კულტურა და განვითარება XIX-XX საუკუნეებში



ფოტო: დადიანების სასახლეს ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი და ვლადერნის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძარი (XIX ს)
ფოტოგრაფი: ლევან გაბელაია

XIX საუკუნეში ზუგდიდი ქართულ-ევროპული ტიპის ქალაქად ჩამოყალიბდა, აზიური ხუროთმოძღვრების ელემენტებისა და ევროპული სტილის სინთეზით აშენდა უნიკალური სასახლეები, ბოტანიკური ბაღი და ცენტრალური ბულვარი. ქალაქი გახდა ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული კულტურული ცენტრი.

XX საუკუნეში ზუგდიდი თანდათან აგრარულ-სამრეწველო ქალაქად ჩამოყალიბდა, მოხდა კულტურულ-შემოქმედებითი სტანდარტების ნიველირება, რაც, ბუნებრივია, არ იძლეოდა თავისუფალი განვითარების შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში კულტურის პროდუქტებზე მოთხოვნა მაღალი იყო, შესაბამისად, ის იქმნებოდა დოგმატური პოლიტიკის გვერდის ავლით და ახერხებდა თავისი ინდივიდუალური ხელწერის შექმნას. ამ პერიოდის ზუგდიდი ცნობილია არაერთი სახელოვანი ხელოვანის მოღვაწეობით.

კულტურა და სახელოვნებო განათლება

სასწავლებლები - 1831 წელს, ზუგდიდში დაარსდა პირველი საგანმანათლებლო კერა, სასულიერო სასწავლებელი. მოგვიანებით, 1872 წელს ვაჟთა საერთო სასწავლებელი, რომელსაც 1973 წელს ქალთა ჯგუფიც დაემატა. 1883 წლიდან სალომე დადიანის ინიციატივით გაიხსნა ქალთა სასწავლებელი, ხოლო 1868 წელს დაარსდა პირველი სკოლა.

თეატრი - 1868 წელს დაიწყო ზუგდიდის თეატრალური ცხოვრებაც - ზუგდიდელმა სცენის მოყვარულებმა გამართეს პირველი წარმოდგენა. XX საუკუნის შუახანებში ზუგდიდის თეატრალური ცხოვრების განსაკუთრებული აღმავლობის წლებია. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ სახელოვანი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე, რობერტ სტურუა, დიმიტრი ღვთისიაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე და სხვა.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო - ზუგდიდში პირველად XIX საუკუნის 80-იან წლების შუა ხანებში დაარსდა. მას შემდეგ, ზუგდიდში ბიბლიოთეკები და სამკითხველო ტრადიცია უწყვეტად გრძელდება.

მუზეუმი - ლონდონის გეოლოგიის ინსტიტუტის კურსდამთავრებულის, აკაკი ჭანტურიას რუდუნებითა და ტიტანური ძალისხმევით ზუგდიდის დადიანების სასახლეების ბაზაზე 1921 წელს დაარსდა "სამეგრელოს მუზეუმი", სადაც თავი მოიყარა სამეგრელოს მთავართა და ეკლესია-მონასტრებში დაცულმა მრავალრიცხოვანმა ექსპონატმა. რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე ღვთისმშობლის პატიოსანი სამოსელი.

ხელოსნობა - XIX საუკუნის 80-იან წლებში ზუგდიდი ხელოსნობის მნიშვნელოვან ცენტრსაც წარმოადგენდა. მთელს საქართველოში განთქმული იყო ზუგდიდელ ოქრომჭედელთა, მეუნაგირეთა და სხვა საქმის ხელოსანთა ნამუშევრები.

კულტურის სახლები - 1930-იან წლებში ქალაქ ზუგდიდში ფუნქციონირებდა ორი კულტურის სახლი და ასევე მასობრივად დაიწყო სასოფლო ცენტრებში კულტურის სახლების მშენებლობა, რამაც შექმნა შესაძლებლობა ადგილზე გახსნილიყო სხვადასხვა შემოქმედებით-კულტურული- სახელოვნებო წრეები.

მუსიკალური სკოლა - 1932 წელს დაარსდა მუსიკალური სკოლა და პროფ. სასწავლებელი-ტექნიკუმი (ტექნიკუმი მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიხურა და აღარ აღდგენილა).

ენგურ-ქაღალდ-კომბინატი - კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროცესში, აქტიურად იყო ჩართული ენგურ-ქაღალდ-კომბინატი. კომბინატის დასახლებაში 1937 წელს აშენდა კულტურის სახლი, რომელიც განახლდა 1979 წელს, ხოლო 2014 წელს მას რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ამავე კულტურის სახლში 1980 წელს დაარსდა ბენდი "ოცნება", რომელმაც საბჭოთა კავშირის მოშლის პერიოდში დროებით შეაჩერა ფუნქციონირება. მძიმე პერიოდის მიუხედავად შემოქმედებით საქმიანობას ბენდი 1993 წელს დაუბრუნდა და 2005 წლამდე აქტიურად იყო ჩართული ზუგდიდის კულტურულ ცხოვრებაში.

კინოთეატრი - 1959 წელს ზუგდიდში პირველი კინოთეატრი - "საქართველო" გაიხსნა, ხოლო მოგვიანებით, XX-ის მეორე ნახევარში - კინოთეატრი "ატრიუმი".

სამხატვრო სკოლა - 1972 წელს, ზუგდიდელი მხატვრის გურამ გეთიას ინიციატივით დაარსდა სამხატვრო სკოლა, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს ააიპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ქოლგის ქვეშ.

ანსამბლი/ბენდი - 1984 წელს დაარსდა ზუგდიდის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლესთან არსებული მუსიკალურ ინსტრუმენტალური ანსამბლი "ოდიში", რომელიც 2009 წელს ისევ მოსწავლე ახალგაზრდობის ბაზაზე ბენდი "ზუგდიდის" სახელწოდებით აგრძელებს მოღვაწეობას.

სამხატვრო გალერეა - 1986 წელს დაარსდა ზუგდიდის სამხატვრო გალერეა, რომელიც ამჟამად მისი დამაარსებლის მხატვარ მაცი ხორავას სახელობის ზუგდიდის არტ გალერეის სახელს ატარებს (შედის ა.ა.ი.პ. "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში").

ფოტო: კლასიკური მუსიკის კონცერტი სკოლის დარბაზში
ფოტოგრაფი: ნანიკა ბაბუა

სპორტი და ახალგაზრდობა

პიონერთა სასახლე - 1938 წელს დაარსდა ზუგდიდის პიონერთა სასახლე (ამჟამად ააიპ "მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების სასახლე") , რომელიც დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს და ზუგდიდელი ახალგაზრდების არაერთი თაობა აღზარდა.

სტადიონი და ფეხბურთი - 1950 წელს, ქალაქ ზუგდიდის შუაგულში, ბოტანიკური ბაღის სიახლოვეს, აშენდა ცენტრალური სტადიონი, ჩამოყალიბდა საფეხბურთო კლუბი ზუგდიდის "დინამო", მოგვიანებით 21-წ საუკუნის პირველ წლებში 2 საფეხბურთო კლუბი ფუნქციონირებდა ზუგდიდის "მგლები" და "ბაია ზუგდიდი".

საცხენოსნო კლუბი და იპოდრომი - 1980-იან წლებში, შეიქმნა საცხენოსნო კლუბი და იპოდრომი, რომელიც 1990-იანი წლების ქარტეხილებს შეეწირა. ამჟამად, ეს ტრადიცია ისევ აღდგა და ზუგდიდის ხარების ეკლესიასთან არსებობს საცხენოსნო კლუბი "ხარება", რომლიც ტაძრის წინამძღვარმა მამა იაკობ ეხვაიამ დაარსა, თანადამფინანსებელია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია.

საჭადრაკო სკოლა - 1970 წელს გაიხსნა საჭადრაკო სკოლა. ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ზუგდიდისთვის, რადგან მას მდიდარი საჭადრაკო ტრადიციები გააჩნდა და სამართლიანი ამბიციაც. აქ დაიბადნენ და აღიზარდნენ, პირველი ქართველი პროფესიონალი მოჭადრაკე ანდრია დადიანი და ჭადრაკის დედოფალი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილი.

ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრის დაქვემდებარებაში მყოფი, საჭადრაკო სკოლა "ნონა" დღესაც ფუნქციონირებს. შენობას სრული რეაბილიტაცია 2018 წელს ჩაუტარდა და მოხდა მისი ადაპტირება შშმ პირთათვის. სკოლის მიმდებარე საჭადრაკო პარკს კი, 2016 წლიდან, ანდრია დადიანის ძეგლი ამშვენებს.

ფოტო: სამეგრელო და ცხენოსნობა განუყოფელი თემაა. საცხენოსნო კლუბი "ხარებას" მხედარი გოგონა მეგრული ღვინის ფესტივალზე.
ფოტოგრაფი: ნანიკა მატუა

საგამომცემლო საქმიანობა და ტელე-რადიო მაუწყებლობა

გაზეთები - პრინც აშილ მიურატმა საქმეთა მმართველის, კლოდ რიბოს დახმარებით 1890 წელს, ზუგდიდში, პირველი გაზეთი გამოსცა. ფრანგულენოვანი გაზეთი Le Rambavia ხელნაწერის სახით გამოდიოდა. გაზეთი ოთხი გვერდისგან შედგებოდა და ყოველ შაბათს გამოდიოდა. მაშინდელ სამეგრელოში ფრანგულის მცოდნეები მრავლად იყვნენ, შესაბამისად გაზეთს ჰყავდა მუდმივი გამომწერები.

გაზეთში იწერებოდა როგორც ზუგდიდის, ასევე, საქართველოსა და ევროპის ამბები. დადიანების სასახლეში დაცულია მხოლოდ ერთი - 1892 წლის 25 იანვრით დათარიღებული ეგზემპლარი. ასევე, ცნობილია, რომ აშილ მიურატი აპირებდა საფრანგეთიდან სტამბის ჩამოტანას გაზეთის დასაბეჭდად, მაგრამ ეს იდეა ვერ განახორციელა. ფრანგულენოვანი გაზეთი ზუგდიდში 3 წლის განმავლობაში გამოიცემოდა.

პირველი ქართულენოვანი გაზეთი კი ზუგდიდში 1920 წელს გამოიცა და მას "ზუგდიდის ერობის უწყებები" ერქვა. ყოველკვირეული გაზეთი წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საინფორმაციო ბიულეტენს. გასაბჭოების შემდეგ, საზოგადოების ცხოვრების როგორც ყველა ასპექტში, ასევე, საგამომცემლო საქმიანობაზე დაწესდა მკაცრი ცენზურა, იდევნებოდა განსხვავებული აზრი. მოგვიანებით ადგილზე გამოდიოდა პარტიულ-ნომენკლატურული გაზეთი "მებრძოლი", რომელიც კომუნისტურ-სოციალური პათოსით იყო გაჯერებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზუგდიდში გამოიცა არაერთი ჟურნალ-გაზეთი: გაზეთები - "ზუგდიდი", "ეგრისი მაცნე", "ორიონი" და სხვ, ჟურნალები: "ზუგდიდი", "ეგრისი მაცნე", "დისკუსია", "აია", "ებგური" და სხვ. აღნიშნული ჟურნალ-გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ კულტურას, ცალკე იყო გამოყოფილი რუბრიკები, სადაც ასახული იყო მიმდინარე ტენდენციები, თუ გამოწვევები.

ტელეგრაფი - 1867 წელს დაიწყო ინდო-ევროპული ტელეგრაფის მშენებლობა, უკვე 1870 წელს გადაიცა პირველი ტელეგრამები.

ტელე-რადიო მაუწყებლობა - პირდაპირ უკავშირდება XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ფართოდ გაჩაღებულ ეროვნულ მოძრაობას, როდესაც საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად საზოგადოებამ შეძლო სიტყვის თავისუფლების მოპოვება და დამოუკიდებელი მედია საშუალებების დაარსება. ამ მიმართულებით პირველი მერცხალი ტელერადიო კომპანია "ოდიში" იყო, რომელიც, როგორც პირველი დამოუკიდებელი ტელევიზია 1989 წელს ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ოდიში საკაბელო ტელევიზია იყო, ხოლო 1991 წლიდან გადავიდა დეციმეტრულ მაუწყებლობაზე. თავდაპირველად ტელეკომპანიის პროგრამა შედგებოდა ადგილობრივი საინფორმაციო გადაცემებისა და ფილმებისგან. 1995 წელს ტელეკომპანია საქართველოს სატელევიზიო ქსელში გაწევრიანდა. "ოდიშის" ეთერში სხვადასხვა დროს გადიოდა კულტურულ-შემოქმედებითი, ახალგაზრდული გასართობი პროგრამა "ახალგაზრდული ტალღა", ლიტერატურულ-შემეცნებითი გადაცემები "ანტურაჟი" და "აპეირონი", ასევე, ტელეკომპანია "ოდიში" აქტიურად თანამშრომლობდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლესთან და ამზადებდა ერთობლივ გადაცემებს - ახალგაზრდულ და საბავშვო-მუსიკალურ პროგრამებს.

ტელეკომპანიის გადაცემათა ბადე ასევე მოიცავდა საეკლესიო გადაცემას "ქრისტეს გზა", რომელიც მიზნად ისახავს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების პოპულარიზაციას, ასევე გადიოდა გადაცემა "საუბრები მართლმადიდებლობაზე". "ოდიშის" ეთერში ყოველდღიურად გადის საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მომზადებული საინფორმაციო პროგრამა "მოამბე" აფხაზურ ენაზე, ასევე დამოუკიდებელ ტელეკომპანიათა ასოციაციის მიერ ერთობლივად მომზადებული გადაცემა "მრავალკუთხედი", რომელიც ყველა რეგიონის მნიშვნელოვან და საინტერესო მოვლენებს აშუქებს.

ტელეკომპანია "სამეგრელო", ასევე, გასული საუკუნის ბოლოს, კერძოდ, 1990 წელს შეიქმნა. აღნიშნული ტელევიზიით გადაიცემოდა კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები, შუქდებოდა ლიტერატურული საღამოები და სხვ., მაგრამ ტელევიზიამ 2008 წელს არსებობა შეწყვიტა. ასევე, 1993 წელს ფონდ "ევრაზიის" მიერ დაფინანსდა რადიო "ევრაზიის" მაუწყებლობა, რომელიც საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ახალგაზრდებში, სამწუხაროდ, პოპულარობის მიუხედავად, რადიო არხმა მაუწყებლობა რამდენიმე წელიწადში დაასრულა.

აბრეშუმის წარმოება - 1848 წელს დაარსდა მეაბრეშუმეობის გამავრცელებელი საზოგადოება და აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკა, რომელმაც 1863 წლამდე იარსება.

XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროს, ზუგდიდი წარმოადგენდა მუდმივი პოლიტიკური ქარტეხილების ადგილს, აქ წარმოებული აბრეშუმი ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, ბელგია...) მაღალი მოთხოვნით გამოირჩეოდა, რაც ეკონომიკურ დოვლათთან ერთად ევროპული კულტურის გაცნობის საშუალებასაც იძლეოდა, მაგრამ ეს ტენდენცია ხანმოკლე აღმოჩნდა.

პროტცერის არყისსახდელი ქარხანა - IX საუკუნის ორმოციან წლებში დაარსდა და ევროპასთან სავაჭრო და სამრეწველო კავშირების ნათელი მაგალითია. ქარხნის პროდუქციის ფოთში ჩასაზიდად ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა: აბასთუმანი--ჯახუთი-ხეთა მონაკვეთზე გაიმართა. შესაბამისი ტექნიკის ჩამოტანა კი გერმანიიდან მოხდა. ქარხნის დაშლის შემდეგ ეს ტექნიკა გომის ქარხანაში გადაიტანეს.

ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი - 1939 წელს ზუგდიდში, ცელულოზა-ქაღალდის კომბინატი შევიდა ექსპლუატაციაში, რომელიც რაიონის სამრეწველო განვითარებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ყოფილი სააქციო საზოგადოების ადგილას, რომელიც ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ქარხანას მთლიანად ფლობდა 1996 წელს 12 სააქციო საზოგადოება ჩამოყალიბდა: ჩაის ფაბრიკა, შემკეთებელი, მუყაო, ტარა... დღესდღეობით არსებობს სააქციო საზოგადოება "ზუგდიდ ქაღალდი", რომელიც ტერიტორიების ნაწილს ფლობს, ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია, ხოლო ნაწილი პრივატიზებული, ნაწილში დევნილები ცხოვრობენ.

საკვები პროდუქციის წარმოება - ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში ამოქმედდა ჩაის პირველადი გადამუშავების, ხოლო 1941 წელს ცაიშის საწნეხი ფაბრიკა. ამავე წელს, მთლიანად შევიდა ექსპლუატაციაში ზუგდიდის საკონსერვო ქარხანა. პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდიოდა ხილ-ბოსტნეულის კონსერვებზე, ხილის წვენების წარმოებაზე. ზუგდიდში მოქმედებდა ეთერზეთების კომბინატი. ეთერზეთების წარმოება ერთ-ერთი შემოსავლიანი და პერსპექტიული დარგი იყო. ზუგდიდში მოქმედებდა დაფნის კომბინატი, სადაც გამხმარი ფოთლის დაფასოებასთან ერთად დაფნის ზეთსაც ამზადებდნენ. კვების მრეწველობის დარგებიდან აღსანიშნავია ფქვილის, ღვინის, პურსაცხობი, ხორცის, ლუდის, უალკოჰოლო სასმელების წარმოება.

ენერგეტიკა - არათუ რეგიონის, არამედ მთელი რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზის განმტკიცების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა ენგურჰესმა. ეს იყო ზუგდიდის მრეწველობის შემდგომი განვითარების ერთგვარი სტიმული. მდინარე ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის აგების იდეის რეალიზაციისთვის პირველი ნაბიჯები XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში გადაიდგა. 1960 წელს "ჰიდროპროექტმა" მდინარე ენგურის ენერგეტიკული მიზნებისთვის გამოყენების სქემა შეიმუშავა. საბოლოოდ, 1965-70-იან წლებში შეიქმნა მთლიანი პროექტი, რომლის მიხედვითაც ენგურზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა 1961 წელს დაიწყო.

ენგურჰესის მშენებლობა ქართული ტექნიკური აზროვნების ისტორიაში ყველაზე თამამი ჩანაფიქრის განხორციელება იყო. ეს იდეა ითვალისწინებდა უნიკალური ტექნიკური და საინჟინრო ნაგებობების ურთულესი კომპლექსის აგებას, რასაც ბევრი სპეციალისტი ეჭვის თვალით უყურებდა. პროექტის დასაბუთებისა და დამტკიცებისთვის უდიდესი წინააღმდეგობის გადალახვა გახდა საჭირო.

ენგურჰესის თაღოვან კაშხალს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი 2015 წლის 4 სექტემბერს მიენიჭა. 2021 წლიდან ენგურჰესი ევროპის საბჭოს ინდუსტრიული მემკვიდრეობის ევროპულ მარშრუტშია გაწევრიანებული.

ფაიფურის წარმოება - ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთ პერსპექტიულ საწარმოთა რიცხვს განეკუთვნებოდა ფაიფურის ქარხანაც, რომელიც ამოქმედდა 1976 წელს, რომლის საწარმოო სიმძლავრე შეადგენდა 28 მლნ ცალ ფაიფურის ჭურჭელს.

5.2.3. გამოწვევები XX საუკუნის ბოლოს

XX საუკუნის დასასრულს, საქართველოში განვითარებულმა რთულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მთლიანად მოშალა ქვეყნის მატერიალური-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, დაეცა ზუგდიდის განვითრებისა და კულტურული ცხოვრების დონე. საქართველოში სამოქალაქო ომის პერიოდში მოიშალა ეკონომიკის სისტემა, დროებით შეჩერდა აღმშენებლობითი პროცესი.

ეს პერიოდი ქალაქისთვის, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოსთვის, სირთულითა და გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა. ქვეყანაში შექმნილი

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აისახა ქალაქის ცხოვრებაზე, მოიშალა კულტურის სახლების და სხვა კულტურულ-საგანმანათლებო კერები; მსხვილმასშტაბიანი მიგრაციის ფონზე ქალაქის მოსახლეობა შემცირდა. დამატებით, ზუგდიდისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 1992-1993 წლების კონფლიქტი აფხაზეთში, რამაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა ზუგდიდზე. ყოველივე ამან ღრმა კვალი დაამჩნია ქალაქის არამარტო ინფრასტრუქტურას, არამედ, კულტურული ცხოვრების დონესაც. ზუგდიდი, თბილისის შემდეგ გახდა მეორე ქალაქი დევნილთა კომპაქტური ჩასახლების რაოდენობის მიხედვით. დევნილთა უმეტესობა სწორედ არსებულ კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა-ნაგებობებში დაბინავდნენ.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა ცენზურის გაქრობამ მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო დამოუკიდებელი ინიციატივების წახალისებას. როგორც უკვე აღინიშნა 90-იან წლებში გამოიცა არაერთი ჟურნალ--გაზეთი და პირველი ტელე-რადიო კომპანია.

ქალაქმა ნაწილობრივ უკვე გადალახა 1990-იან და მისი შემდგომი წლების ინდუსტრიულ და ეკონომიკურ კოლაფსთან დაკავშირებული ძირითადი სირთულეები, თუმცა, წლების განმავლობაში ქალაქში დაგროვილი პრობლემებისა და გამოწვევების ფონზე, ზუგდიდს და მთელ მის საზოგადოებას სჭირდება საკუთარი თავის "ხელახლა გააზრება და გამოგონება", ერთი მხრივ მისი კულტურული და შემოქმედებითი რესურსისა და აქტივების მაქსიმალურად დატვირთვითა და გამოყენებით და მეორე მხრივ, მისი აქამდე აუთვისებელი და გამოუყენებელი რესურსისა და პოტენციალის სრულფასოვნად გააზრებითა და განვითარებით. ეკონომიკურმა შედარებითმა სტაბილურობამ მოსახლეობაში კულტურული მოთხოვნილებები აამაღლა. მოსახლეობამ გაათვითცნობიერა, რომ მისი კულტურა, განსაკუთრებით ეროვნული კულტურული ფასეულობებისადმი წვდომის მოთხოვნილებები, დღევანდელ რეალობასთან შეუსაბამობაშია.

ზუგდიდს, როგორც კონფლიქტისპირა ქალაქს გაუჩნდა ახალი ფუნქციური დანიშნულება და ის გახდა მნიშვნელოვანი პლაცდარმი ოკუპირებულ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობისთვის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის, ასევე კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ტენდენციების გასაზიარებლად. სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე, თუ ადგილობრივ ღონისძიებებზე ეთნიკური აფხაზები ზუგდიდში ჩამოდიან, რუსული საოკუპაციო რეჟიმის შიშით, მკაცრი ანონიმურობის დაცვით.

ეს გარემოება განაპირობებს ზუგდიდის სრულიად ახალ პოლიტიკურ-კულტურულ მისიას, რომ საკუთარი მწარე გამოცდილების გათვალისწინებით გახდეს მშვიდობის ქალაქი, ამ მიზნით, 2019 წელს შეიქმნა ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის მშვიდობის პრემია. პროექტი ხორციელდება მშვიდობის ინსტიტუტი პროგრესისთვის PIP მიერ, ავსტრიის რესპუბლიკის საელჩოსთან თანამშრომლობით, ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისის მხარდაჭერითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პატრონაჟით. ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის მიზანია, მშვიდობის მშენებლობისა და განმტკიცების პროცესში ჩართული აქტივისტების ღვაწლის დაფასება, საზოგადოებაში სამშვიდობო ხედვების აქტუალიზება და ნდობის მშენებლობის საქმეში ახალგაზრდების წახალისება. უმნიშვნელოვანესია, რომ ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემია არის პირველი ჯილდო საქართველოში მშვიდობის დარგში და ყოველწლიურად გაიცემა ზუგდიდში - ქალაქში, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად გაყოფილ საზოგადოებებში ასრულებდა და დღემდე ასრულებს მოდერატორის ფუნქციას. სწორედ მრავალი სიმბოლური მნიშვნელობის გამო ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაფუძნებასთან ერთად, ქალაქს პროექტის ფარგლებში "მშვიდობის ქალაქი" ეწოდა.

ძნელია, სამყაროში მოიძებნოს ქალაქი, რომელსაც 100%-ით შეიძლება მშვიდობის ქალაქი ეწოდოს, მაგრამ არსებობს ისტორიული გარემოებები და სამშვიდობო ინიციატივები, რაც გამოარჩევს მათ ამ საპასუხისმგებლო წოდების სატარებლად. ბრედფორდის უნივერსიტეტის პროფესორ პიტერ ვან დენ დუნგენის (იგი ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის 2020 წლის ჟიურის წევრი იყო) სამეცნიერო ნაშრომის მიხედვით, რომელიც იკვლევს მშვიდობის ქალქებს „Idee und Geschichte der neuzeitlichen Friedensstadt", გამოყოფს 10 ძირითად კატეგორიას, რითაც შეგვიძლია ქალაქის როლი განვსაზღვროთ და მას მივანიჭოთ მშვიდობის ქალაქის სახელი.

ზუგდიდი არის ქალაქი, რომელიც ამ კატეგორიებიდან რამდენიმეს ერთდროულად აკმაყოფილებს (მათ შორის, ესაა კატეგორია, რომელიც გულისხმობს ქალაქებს, სადაც მშვიდობის მნიშვნელოვანი პრიზების დაჯილდოებები იმართება, ანუ, ადგილები, სადაც მშვიდობას ზეიმობენ და პატივს სცემენ. მაგალითად, ამ კატეგორიაში მთავარი ქალაქია ოსლო) და შესაბამისად, ქალაქი, რომელმაც იტვირთა პირველი ქალი მშვიდობისმყოფელისა და ნობელის პრემიის ლაურეატის პრემიას უმასპინძლოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თავისთავად ზუგდიდი "მშვიდობის ქალაქის" სიმბოლური სტატუსის მატარებელია. ქალაქისათვის ამ სტატუსის ოფიციალურად მინიჭება კიდევ ერთი შესაძლებლობაა, ხაზი გაუსვას მის საერთაშორისო მნიშვნელობას და მშვიდობის სხვა, 355 ქალაქის გვერდით ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს გლობალურ რუკაზე. ბუნებრივია, მშვიდობის ქალაქად ჩამოყალიბება ხაზს გაუსვამს წარსულის მიღწევებს, წაახალისებს მიმდინარე ინიციატივებსა და შთააგონებს მომავალ თაობებს მდგარდი მშვიდობის მშენებლობისთვის.

ფოტო: პოტენციური ბაღი

5.3. ზუგდიდის კულტურული ლანდშაფტი

5.3.1. შესავალი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. რიგი პრობლემებისა თუ ბერკეტების მიუხედავად, ის იძლევა განვითარების ისეთ შესაძლებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი კულტურული პოტენციალი ახლებურად წარმოჩენას, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო დონეზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი კულტურული რესურსის, პოტენციალის, შესაძლებლობებისა და, ასევე, კულტურის პრიორიტეტული სექტორების უკეთ დასადგენად, 2022 წლის დასაწყისში განხორციელდა შესაბამისი კვლევები, ხოლო 2021 წლის ბოლოს, ინტერნეტ სივრცეში გასაჯაროვდაკითხვარი.

საჯარო კითხვარის მეშვეობით, ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ ზუგდიდში, კულტურული ტურიზმი და გასტრონომია, მუზეუმი, კულტურული მემკვიდრეობა, ტრადიციული რეწვა და ხელობა არის ყველაზე პოპულარული მიმართულებები, ასევე, თითოეული მათგანი მიჩნეულ იქნა, როგორც მეტად განვითარების შესაძლებლობებისა და პოტენციალის მქონე, პრიორიტეტული სექტორი.

5.3.2. კულტურულ-შემოქმედებითი პოტენციალის მიმოხილვა

კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა - როგორც უკვე აღინიშნა, ზუგდიდი უძველესი კულტურის მქონე მუნიციპალიტეტია და მდიდარია ღირსშესანიშნაობებით. აქ დაცული ხუროთმოძღვრების ძეგლებისა და კულტურული მემვიდრეობის კერებიდან აღსანიშნავია ქალაქ ზუგდიდში მდებარე დადიანების სასახლე და მასში დაცული ექსპონატები, ასევე, სასახლის გარშემო, დადიანების მიერ გაშენებული ულამაზესი ბოტანიკური ბაღი, რომელიც მცენარეთა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ბაღში 80-მდე გვარის და სხვადასხვა სახეობის ხე, ბუჩქი და ყვავილოვანი მცენარე იზრდება, მათ შორის მაგნოლიის ექვსი სახეობა, სხვადასხვა სახეობის მუხა, ატლასისა და ჰიმალაის კედარი, კანარის ვერხვი, ამერიკული სექვოია, აზიის, მათ შორის, ინდოეთის, იაპონიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ამერიკის და სხვა ადგილებიდან შემოტანილი რელიქტური და ენდემური მცენარეები. ზუგდიდი, ასევე, მოიცავს კოლხეთის ეროვნული პარკის ნაწილს. იუნესკომ 2021 წლის 26 ივლისს საქართველოს კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სიაში შეიყვანა. შავი ზღვის სანაპიროს 80 კმ-იან ზოლზე მდებარე ბუნებრივი ღირსშესანიშნაობა 7 ნაწილისგან შედგება და მასში შედის, კოლხეთის ეროვნული პარკიც.

მეგრული ენა - სამეგრელოს მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მეგრულ ენაზე მეტყველებს. მეგრული ენა ახლოს დგას ლაზურ ენასთან, ეს ორი ენა ახ. წ. VII ს-ის შუა წლებში გამოეყო ზანურ (აღნიშნული დეფინიცია მე-20 საუკუნეში აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავამ დაამკვიდრა) ენას. მეგრული, ისევე, როგორც ლაზური, და სვანური ქართველურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. ზანური ენის არსებობის პერიოდი ემთხვევა კოლხეთის/ეგრისის სამეფოს არსებობის პერიოდს. ამ დროისთვის ის ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მეგრელები, სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ ერთიანი ქართული სამეფოსა და ქართული კულტურის შექმნის პროცესში. XVI ს-ში საქართველოს სამეფოს დეზინტეგრაციის მიუხედავად, მეგრელები თავს ისევ საერთო ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად აღიქვამდნენ.

დღეს მეგრულს არა აქვს ენის ოფიციალური სტატუსი. მის მცოდნეთა რიცხვი თანდათან მცირდება. იუნესკომ მეგრული სვანურთან ერთად შეიყვანა გაქრობის საშიშროების წინაშე მდგარი ენების სიაში.

მუსიკა - მეგრული კულტურა, ასევე, გამოირჩევა თავისი მრავალხმიანი მუსიკითა და მეგრულ ენაზე შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებებით. ამ კუთხის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მათი მუსიკა გამუდმებული ომებით აკლებული, სამეგრელოს ტრაგიკულ ისტორიას ასახავს. მეგრული რომანტიკული სიმღერები ხშირად ჩონგურის (ხის ოთხსიმიანი საკრავის) აკომპანიმენტით სრულდება.

მოდა და დიზაინი - ზუგდიდის ტერიტორიაზე არქეოლოგიური მასალებით აღმოჩენილია არაერთი არტეფაქტი, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მაღალ ესთეტიკურ გემოვნებაზე მიუთითებენ. მოდა და მასთან დაკავშირებული აქსესუარები წარმოდგენილია ძვირფასი და ნახევრადძვირფასი მასალებისგან შექმნილი ნიმუშებით. ამასთან ნიშანდობლივია, რომ ეს აქსესუარები განკუთვნილი იყო საზოგადოების საშუალო ფენისთვის და წარმოადგენდა მასობრივი ყოველდღიური გამოყენების საშუალებებს. დროთა განმავლობაში იცვლებოდა გემოვნება და ბუნებრივია ეს ადეკვატურად აისახებოდა მოდის ტენდენციებზე. ჩვენთვის ცნობილი ისტორიული დოკუმენტური წყაროების მიხედვით, ზუგდიდში მოდა და გამოყენებითი დიზაინერული საქმიანობა XIX საუკუნის შუა ხანებიდან კლასიკურ ხასიათს იძენს. საზოგადოების დაწინაურებულ ფენებში და განსაკუთრებით დადიანების სასახლეში ტრადიციად დამკვიდრებულ სალონურ, სამეჯლისო-საკარნავალო და სხვა სახის საზეიმო ღონისძიებებზე მოდას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამის უტყუარი მოწმობაა ზუგდიდის მუზეუმში დაცული იმ დროის ჩანახატები, ფოტომასალა, ტანსაცმელი, სამკაულები, ვარცხნილობა, ავეჯი, ოთახ-კაბინეტები და სხვ.

საფრანგეთის სახით, ევროპულ ცივილიზაციასთან მჭიდრო კავშირმა განაპირობა მოდის, დიზაინის, გამოყენებითი ხელოვნების, სალონური შეხვედრების სახით კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების თვალსაჩინოდ განვითარება. რამაც გამოიწვია ახალი მოწინავე ინოვაციური ტენდეციების დამკვიდრება და ადგილობრივ ტრადიციებთან ჰარმონიული შერწყმა. ევროპელი დეკორატორების მიერ ხდებოდა ზუგდიდის სასახლესთან არსებული ბოტანიკური ბაღის დიზაინის და სტილის შემუშავება. ასევე, მოწვეული ევროპელი არქიტექტორები აგეგმარებდნენ ახალ სასახლეებს. XIX საუკუნის ბოლოს ზუგდიდში დაიწყო ქუჩებისა და ბულვარის დაგეგმარება, მოიკირწყლა ქუჩები, გალამაზდა შენობა-ნაგებობების ფასადები და სხვ. სამწუხაროდ, გასაბჭოებამ, როგორც ყველა სფეროს, ასევე უდიდესი დაღი დაასვა მოდას და დიზაინერულ საქმიანობას.

გასტრონომია - შეუძლებელია ვისაუბროთ ზუგდიდზე და არ აღვნიშნოთ მეგრული სამზარეულო. ტრადიციული მეგრული საკვები ცხარე და უხვი საკაზმით გამოირჩევა. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ რბილი, სუბტროპიკული ჰავიდან გამომდინარე, ძველად მალარია უდიდეს საფრთხეს წარმოადგენდა სამეგრელოსათვის და ადგილობრივების დაკვირვებით, დიდი რაოდენობით წიწაკის მოხმარება საშინელი დაავადების განვითარებას გარკვეულწილად აფერხებდა. საბოლოოდ, ცხარე სანელებლები მეგრული სამზარეულოს ტრადიციულ ატრიბუტად იქცა. კუთხის გასტრონომია რძის პროდუქტების

მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ცნობილია მეგრული სელეგინი, ანუ სულუგუნის ყველი, რომელიც მეგრული გასტრონომიის ნამდვილი მარგალიტია, აჯიკა, გებუალია, თუმცა, მოწინავე პოზიციებზე მაინც ელარჯი გახლავთ, რომელიც ღომისა და ახალი სულუგუნისგან მზადდება და გულგრილს არავის ტოვებს.

ღვინო - საქართველოში 500-ზე მეტი ვაზის ჯიში ხარობს, ხოლო 60 მათგანი სამეგრელოში იზრდება. მათგან ყველაზე ცნობილია ოჯალეშის ჯიშის ყურძენი, რომლისგანაც საუკეთესო ღვინო მზადდება. ეს არის ნახევრად ტკბილი წითელი ღვინო, რომელსაც ველური ვარდის სუსტი სურნელი და ხასხასა წითელი ფერი ახასიათებს.

საკურორტო ზონები - ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ასევე, გამოირჩევა საკურორტო ზონების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით, მის ტერიტორიაზე ვხვდებით 3 ერთმანეთისგან განსხვავებულ კურორტს.

ჭკადუაში ბალნეო-კლიმატური კურორტია, სადაც მთისა და ზღვის ჰავა ერწყმის ერთმანეთს. სოფლის ტერიტორიაზე შეგიძლიათ მოინახულოთ შუა საუკუნეების მემკვიდრეობა.

ანაკლია ზღვისპირა, კლიმატური კურორტია, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს. არსებობს ვარაუდი, რომ იგი პონტოს სამეფოს ქალაქ ჰერაკლეას ერთ-ერთი კოლონია იყო. მას მნიშვნელობა არც შუა საუკუნეებში დაუკარგავს, გვიან შუა საუკუნეებში ანაკლია ოდიშის სამთავროს მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო და ტრაპიზონთან და კონსტანტინოპოლთან აწარმოებდა ვაჭრობას. ანაკლია-განმუხურის საზღვაო-საკურორტო ინდუსტრიულ ზონას წლიურად საშუალოდ 100 000-მდე ვიზიტორი სტუმრობს. 2015 წლიდან ანაკლია-განმუხურში ყოველ წელს იმართება ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest, რაც კიდევ უფრო ზრდის კურორტის პოპულარობას.

ცაიში კი ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს ჰიპერთერმული და ჰიპოთერმული მინერალური წყლები, რომელთა სამკურნალო თვისებები ჯერ კიდევ ვახუშტი ბატონიშვილს აქვს აღწერილი. დღეისთვის გამოკვლეულია ცაიშის 18 მინერალური წყარო და დადგენილია, რომ აქაურ ჰიპოთერმულ მინერალურ წყალს უნიკალური შემადგენლობა აქვს.

ფოტო: „ასოციაცია GEM_FESTI“-ისა“. კურორტის რეზერვ ატარებენ ეთნიკურ ფესტივალებს

5.3.3. კულტურის რესურსები და სერვისები

როგორც უკვე აღინიშნა ზუგდიდი მდიდარი კულტურის მქონე ქალაქია, შესაბამისად მისი კულტურული რესურსებიც საკმაოდ მრავალფეროვანია. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ჯამში ადგილობრივი და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი 50 კულტურის ობიექტი ფუნქციონირებს, აქედან 2 საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ს.ს.ი.პ.ორგანიზაციაა.

თეატრები - ზუგდიდში ფუნქციონირებს 2 თეატრი, ს.ს.ი.პ. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი და ა.ა.ი.პ. ,,კულტურის განვითარების ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი ,,ჩხორიის სამოყვარულო თეატრი". 2021 წლის მონაცემებით, საერთო ჯამში გაიმართა 48 თეატრალური წარმოდგენა, ხოლო გაყიდული ბილეთების რაოდენობამ - 2 000 შეადგინა (იხ. ცხრილი N1). თეატრებში დასაქმებულია - 47 ადამიანი (მათ შორის ქალი - 25, კაცი - 22).

მუზეუმები - ზუგდიდში ფუნქციონირებს 10 მუზეუმი, ს.ს.ი.პ. ზუგდიდის ,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი და ა.ა.ი.პ. "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი მუზეუმების გაერთიანება, 9 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმით: იონა მეუნარგიას სახელობის სახლ-მუზეუმი; სოლომონ ცაიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი; ვანიონ დარასელის სახელობის სახლ-მუზეუმი; ალექსანდრე საჯაიას სახელობის სახლ-მუზეუმი; კონდრატე თათარაშვილის სახელობის სახლ-მუზეუმი; ზვიად გამსახურდიას ოთახ-მუზეუმი; მედია მუზეუმი; ზურაბ ნარმანიას სახელობის ოთახ-მუზეუმი; სპორტის მუზეუმი. ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმში, ჯამში, დაცულია 55 000-მდე ექსპონატი. 2021 წლის მონაცემებით, მუზეუმებში გაყიდული ბილეთების რაოდენობამ - 15 821 შეადგინა (იხ. ცხრილი N1). დასაქმებულთა რაოდენობა ჯამში შეადგენს - 57 (მათ შორის ქალი - 49, კაცი - 8).

წელი	თეატრი	მუზეუმი	სულ
2019	3 800	24 800	28 600
2020	2 200	9 500	11 700
2021	2 000	15 821	17 821

ცხრილი N1: 2019-2021 წლებში გაყიდული ბილეთების რაოდენობა

სამხატვრო გალერეა - ზუგდიდში, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ბაზაზე, ,,მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა" ფუნქციონირებს. გალერეაში, 2021 წლის მანძილზე 195 გამოფენა და სხვადასხვა ტიპის კულტურული აქტივობა გაიმართა. გალერეაში დასაქმებულია - 9 ადამიანი (მათ შორის ქალი - 6, კაცი - 3).

კულტურული მემკვიდრეობა - საერთო ჯამში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 300-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული, არქეოლოგიური, მონუმენტური, სახვითი ხელოვნების და მემორიალური სახის კულტურული მემკვიდრეობის ობიექტია. ამ ეტაპზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის 10 უძრავი ძეგლია, რომელთაგან 3-ს აქვს ეროვნული კატეგორია განსაზღვრული. ხოლო ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის 2 უძრავი ძეგლია, რომელთაგან ერთს ეროვნული კატეგორია აქვს განსაზღვრული. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კუთხით იდენტიფიცირდა 9 ელემენტი, კერძოდ: ქართული მრავალხმიანობა; ქართული ჭიდაობა; ქართული ხალხური სამედიცინო ცოდნა და მისი გამოყენების ტრადიციები; ქართული ხალხური ცხენოსნური თამაშობანი - მარულა, თარჩია; ხაჭაპურის ტრადიცია საქართველოში; სულგუნის ტრადიცია საქართველოში; მეგრული აჯიკის მომზადების ტექნოლოგია; ქართული ტრადიციული სუფრის/პურობის კულტურა; მაწვნის მომზადების ტრადიცია.

ლიტერატურა და საგამომცემლო საქმიანობა - ამჟამად ზუგდიდში, ლიტერატურა და საგამომცემლო საქმიანობით, პირდაპირ ან ირიბად, დაკავშირებულია 30 სუბიექტი. აღსანიშნავია, რომ ზუგდიდში არ არსებობს სტამბა, რაც ართულებს ადგილზე ამ სექტორის განვითარებას.

2018 წლიდან, ქართული თანამედროვე ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, ზუგდიდში იმართება თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი - F5, რომელიც ლიტერატურასთან ერთად მუსიკალურ პროგრამასაც მოიცავს. F5-ის მიზანია სახელოვნებო პროცესის დეცენტრალიზაცია და ახალგაზრდა ხელოვანების ჩართულობით, რეგიონში კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ხელშეწყობა, ასევე, თანამედროვე ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია და ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში რეგიონების ჩართულობის ხელშეწყობა. 2020 წლიდან ზუგდიდის თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი თბილისის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის ჭოლგის ქვეშ გაერთიანდა, რომელიც 2015 წლიდან ყოველწლიურად იმართება.

ბიბლიოთეკები - ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, წლების მანძილზე გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო განვითარების პროცესში. დღეისათვის ის, წიგნების საცავიდან, იქცა მომსახურების ფართო შესაძლებლობების საგანმანათლებლო, საინფორმაციო ცენტრად. ამჟამად მის დაქვემდებარებაშია 31 ბიბლიოთეკა - 1 ცენტრალური, 3 საქალაქო ფილიალი, 27 სასოფლო ფილიალი და ,,ამერიკული კუთხე". ბიბლიოთეკებში განთავსებული წიგნადი ფონდი შეადგენს - 187 083 ერთეულს. დასაქმებულთა რაოდენობა ჯამში შეადგენს - 95(მათ შორის ქალი - 90, კაცი - 5).

სახელოვნებო და შემოქმედებითი განათლება - ზუგდიდში, ფუნქციონირებს 4 სახელოვნებო სკოლა, აქედან 2 სამუსიკო, 1 სამხატვრო და 1 საგუნდო-სამუსიკო სკოლა. სემესტრში ისწავლება 2 სახელოვნებო და 9 სამუსიკო მიმართულება, სამუსიკო სკოლებში სწავლება ფასიანია და მიმართულებების მიხედვით შეადგენს 150-200 ლარს თვეში. 2022 წლის მდგომარეობით, სკოლებში სწავლებას გადის - 393 მოსწავლე, საიდანაც 256 - სამუსიკო განხრას ანიჭებს უპირატესობას. პედაგოგთა რაოდენობა კი - 87 შეადგენს (მათ შორის ქალი - 78, კაცი - 9). ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე, ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კულტურულ-შემოქმედებითი 16 წრე. არაფორმალური განათლების სექტორში დასაქმებულია - 247 პედაგოგი (მათ შორის ქალი - 127, კაცი - 120).

მუსიკა და ცეკვა (ანსამბლები და შემოქმედებითი კოლექტივები) - მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე ფუნქციონირებს 8 სამუსიკო და შემოქმედებითი ანსამბლი და ჯგუფი, გარდა ამისა, საგუნდო სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს 4 ფოლკლორული ანსამბლი. აგრეთვე, ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში, საქმიანობას ეწევა ორი ანსამბლი, კერძოდ, უხუცესთა ანსამბლი "ოდოია", სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "ჩელა". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრის "ოდიში" მიზანია ქართული ფოლკლორის შენარჩუნება და მისი განვითარების ხელშეწყობა, ასევე, ცენტრი პრიორიტეტად გამოყოფს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას თანამედროვე მუსიკაში და პოპულარიზაციას უწევს ცოცხალი მუსიკის შესრულებას. ცენტრი აწარმოებს შემოქმედებით მუშაობას, ატარებს სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებს, კვირეულებს, გამოფენებს, შეხვედრებს, საღამოებს, ექსპედიციებს, კონცერტებს.

კინოთეატრი - ქალაქის ერთადერთი კინოთეატრის "ატრიუმი" შენობის, კერძო საკუთრებაში გადაცემა 2005-2006 წლებში განხორციელდა. 2015 წლამდე ის ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა, თუმცა მაყურებელთა სიმცირის გამო, 2012 წელს 300 ადამიანზე გათვლილი დარბაზი 150 ადგილამდე შემცირდა. შემცირდა კინოჩვენებების რაოდენობაც, რომლის უზრუნველყოფაზე ადგილობრივი ახალგაზრდები ზრუნავდნენ. 2015 წელს კი კინოთეატრი "ატრიუმი", მეპატრონეების გადაწყვეტილებით დაიხურა და მის ნაცვლად სლოტკლუბი გაიხსნა.

ადგილობრივი ახალგაზრდები წლებია აქტიურობენ და ითხოვენ კინოთეატრის აღდგენას, 2018 წელს სკოლის მოსწავლეებმა, არასამთავრობო ორგანიზაცია "საუნჯის" პროექტ "მეწარმეობის განვითარების" ფარგლებში, ბიზნესგეგმა შეიმუშავეს, 2020 წელს კი პეტიციაც ზადეს, სახელწოდებით "თეატრი ზუგდიდს", რომლის მიზანიც კინოთეატრის ზუგდიდისთვის დაბრუნება იყო.

საკითხის აქტუალურობის გათვალისწინებით, ზუგდიდში და მთელ სამეგრელოს რეგიონში კინოინდუსტრიის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანი, არა მხოლოდ, როგორც ცალკეული კულტურის სექტორის, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და ტურისტული კუთხითაც. გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოხუმში 28 წელია არ არსებობს კინოთეატრი და აფხაზეთის მაცხოვრებლები კინოს საყურებლად სოჭში ჩადიან. ამ ფონზე ზუგდიდის თვითმმართველობა არსებითად იაზრებს თავის როლს კონფლიქტის მოგვარების და რეინტეგრაციის პოლიტიკაში. ამ მხრივ, ზუგდიდში მუნიციპალური კინოთეატრის აღდგენა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება, რაც შეიძლება მიღწეულ იქნას სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ალტერნატიული, მულტიფუნქციური კულტურული სივრცეების შექმნას. ზუსტად ამ მიდგომის საფუძველზე შესაძლებელია მუნიციპალური კინოთეატრის ინტეგრირება მოხდეს რომელიმე კულტურულ დაწესებულებაში, მაგ. "ქართუ" ფონდის მიერ ახლად რეაბილიტირებულ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის მცირე დარბაზში. არსებული შესაძლებლობა დიდი ხნის სურვილს აუსრულებს ადგილობრივ ახალგაზრდების, და ასევე იქნება მნიშვნელოვანი პოლიტიკური გზავნილი.

მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, ბოლო წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბაზაზე ფუნქციონირებს "ზუგდიდის მოძრავი კინოთეატრი", რომელიც

ყოველკვირეულად ახორციელებს კინოჩვენებებს ღია ცის ქვეშ. ხოლო, ასევე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლაში ფუნქციონირებს "ჯადოსნური ლამპარი-კინოთეატრი ბავშვებისთვის".

მოდა და დიზაინი - ზუგდიდში თანამედროვე მოდისა და გამოყენებითი დიზაინის სასწავლო პროგრამა არ არსებობს, შესაბამისად დაინტერესებული პირებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია ამ მიმართულებით განათლების მიღება. მოდის სექტორში პირველი განაცხადი გააკეთა მხატვარ-დიზაინერმა (2000-აიანი წლების დასაწყისში) მარიკა კორკელიამ და დაარსა სალონი MARco. მოდის სექტორში გამოკვეთილია ორი პიროვნება - სოფიო ხარჩილავა და მარი ბენდელიანი, რომელთა ძალისხმევით მოდის სექტორში 30-მდე ადამიანია ჩართული (მოხალისე-მოდელები, კონსულტანტები და სხვ). დიზაინის სექტორში ბოლო პერიოდში გააქტიურდა შპს. ,,დეტალი", რომელიც სისტემატურად აწყობს ვიდეო სწავლებებს გამოყენებითი დიზაინის შესახებ. დიზაინის სფეროში 15-მდე მოქმედი იურიდიული და ფიზიკური პირია.

ზუგდიდში ასევე ფუნქციონირებს ეკო მეგობრული საწარმო, რომელსაც აფხაზეთიდან დევნილი მარი ბენდელიანი უძღვება და იგი ქსოვილის ნარჩენებისგან ტანსაცმელს, ჩანთებსა და აქსესუარებს ქმნის. ერთი შეხედვით გამოუსადეგარ ქსოვილს "მეორე სიცოცხლეს" აძლევს და ამით უამრავ რესურსს ზოგავს. ზუგდიდში გარემოსდაცვითი სოციალური საწარმო 7R დააფუძნა და მდგრადი მოდის პოპულარიზაციასაც ეწევა.

დამოუკიდებელი ხელოვანები - ზუგდიდში შემოქმედებით და კულტურულ მოღვაწეობას ეწევა - 115 ადამიანი, აქედან - 16 მხატვარი, 2 - მუსიკოსი, 15 - მომღერალი, 2- მოქანდაკე, 32 - მწერალი, 4 - დიზაინერი, 20 - ტრადიციული რეწვის ოსტატი, 24 - ხელნაკეთი ნივთების ოსტატი/არტისტი.

მაუწყებლობა და მედია - ზუგდიდში ამჟამად 1 ტელეკომპანია ფუნქციონირებს (ტელეკომპანია "ოდიში") და 1 რადიო მაუწყებლობს (რადიო "ათინათი"). გარდა ამისა, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს Zssu Tv - ზსსუ ტვ, რომელიც აქტიურად აშუქებს უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სტუდენტებისათვის სხვადასხვა საინტერესო სიახლეებსა და შესაძლებლობებს.

რადიო "ათინათი" ამავე სახელწოდების არასამთავრობო ორგანიზაციამ ზუგდიდში 1998 წელს ჩამოაყალიბა. კვლევების მონაცემებით, რადიოტალღის გავრცელების არეალში მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, "ათინათის" მსმენელთა რაოდენობა კი, დაახლოებით, 35 000 შეადგენს, რასაც ინტერნეტით მსმენელების რაოდენობაც ემატება. "ათინათი" მაუწყებლობს 24 საათის განმავლობაში. მისი დაფარვის არეალი მოიცავს სამეგრელოს, იმერეთის, გურიის, აჭარის, სვანეთისა და აფხაზეთის ტერიტორიებს. მუსიკალური ფორმატია A/C (თანამედროვე მუსიკა მოზრდილთათვის). რადიო "ათინათს" აქვს საკუთარი ვებგვერდი www.radioatinati.ge, სადაც საშუალოდ ვებგვერდს ყოველთვიურად 150 000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს.

გადაცემათა ბადეში მუსიკის, მრავალფეროვანი რუბრიკებისა და გადაცემების გარდა, გადის სხვადასხვა ინტერაქტიული თოქ-შოუ, რომელთა თემატიკა ძირითადად სოციალურ და საზოგადოებისთვის სხვა პრობლემურ საკითხებს მოიცავს.

"ათინათი" აქტიურად აშუქებს სოციალური საკითხებს, ადგილობრივ კულტურას, მათ შორის, ხელს უწყობს მეგრული ენის შენარჩუნებას და იმ საკითხებს, რაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას უწყობს ხელს. ჰყავს პარტნიორები აფხაზეთში, რომლებთან თანამშრომლობით ეთერში ყოველკვირეული გადაცემა გადის.

IREX- ის M-TAG პროგრამის ხელშეწყობით რადიო განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, რამაც ხელი შეუწყო "ათინათის" გუნდის მიერ უფრო მრავალფეროვანი კონტენტის წარმოებასა და ფინანსური მდგრადობის გაძლიერებას.

რადიოს უახლოეს მიზნებში შედის თანამედროვე ონლაინ სტუდიის მოწყობა, მაღალი სტანდარტების მედია პროდუქტების შექმნა, ვიზიტორების და მსმენელების რაოდენობის ზრდა. გარდა ამისა, დაგეგმილია აფხაზ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაფართოება - ერთობლივი მულტიმედია პროდუქტის წარმოება.

სამენოვანი ინტერნეტ გამოცემა ,,ლაივპრესი" (LIVEPRESS) ზუგდიდში უკვე ათეული წელია მაუწყებლობს, რომლის ინტერესის სფერო ფართო სპექტრს მოიცავს, მათ შორის პრიორიტეტია კულტურა და კულტურული მემკვიდრეობა. ეწყობა სპეციალური რეპორტაჟები, ისტორიული მეხსიერების გასაძლიერებლად. არაერთი გადაცემა მიეძღვნა საბჭოთა რეპრესიებს, ეროვნულ მოძრაობას და ა.შ.

ქოლგა ორგანიზაციები (ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი ქოლგა ორგანიზაციები და ცენტრები) - ზუგდიდში, ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში მყოფი - 5 სხვადასხვა ტიპის კულტურულ-შემოქმედებითი ორგანიზაცია ფუნქციონირებს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის "მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა. როგორც უკვე აღინიშნა, ზუგდიდში არ გვხდება არასაჯარო დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმები, სექტორული ქოლგა ორგანიზაციები, ასოციაციები და სხვა.

სკოლამდელი, საშუალო და უმაღლესი განათლება - რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, ზუგდი-

დის 2022-2025 საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტის თანახმად, შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება 3 სამაგისტრო, 9 საბაკალავრო, 18 პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა და ფუნქციონირებს 18 გადამზადების მოკლევადიანი კურსი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მერიის მიერ 2019 წელს განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამისათვის გამოიყო 91,1 ათასი ლარი.

ასევე, 90-იანი წლებიდან ზუგდიდის კულტურულ ისტორიაში იწყება ახალი - საუნივერსიტეტო ცხოვრების ეტაპი. 1991 წ. აქ გაიხსნა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996 წ. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი, ხოლო 2007 წლიდან შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. საუნივერსიტეტო ქალაქად ზუგდიდის ფორმირებამ განაპირობა სამეცნიერო კადრების მობილიზება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ქალაქის კულტურული იერსახის დადებით ცვლილებას ხელი შეუწყო ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის ნაწილის აქტიურმა თანამშრომლობამ ახალ საუნივერსიტეტო ცენტრთან. ათწლეულების მანძილზე ათასობით ახალგაზრდას საშუალება მიეცა ადგილზე მიეღო უმაღლესი განათლება და დასაქმებულიყო.

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ისწავლება ისეთი პროფესიები, როგორიცაა - ფარმაცევტის თანაშემწე, გუნდის ლოტბარი, კრიმინალისტი, ბუღალტერი. გარდა ამისა, ისწავლება ბიზნესის ადმინისტრირება, ქართული ფილოლოგია, ინგლისური ფილოლოგია, ფარმაცია, მცირე ბიზნესის მენეჯმენტი, ფარმაცევტული ანალიზი და ქართული ლიტერატურის ისტორია.

სტრატეგიის მიზანსწრაფვებიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო სექტორში ჩართული დაწესებულებების სრული სურათის აღსაქმელად, არ უნდა გამოგვრჩეს სკოლამდელი და სასკოლო განათლება, სადაც მეტნაკლებად ინტეგრირებულია, სახელოვნებო და კულტურული განათლება, მაგრამ საჭიროებს გაუმჯობესებას, გადახედვასა და ახალი მეთოდოლოგიის დამკვიდრებას. საერთო ჯამში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 51 საჯარო სკოლა, მათ შორის 12 ქალაქად. 2021 წლის მონაცემებით საჯარო სკოლებში მოსწავლეთა კონტიგენტი შეადგენს 13 576 მოსწავლეს. ასევე, 62 სკოლამდელი დაწესებულება, მათ შორის 17 ქალაქად და 45 სოფლად. საბავშვო ბაღის ასაკის აღსაზრდელთა საერთო კონტიგენტი შეადგენს 4 025-ს, მათ შორის ქალაქად 1 827-ს, სოფლად 2 198-ს.

ფესტივალები - ბოლო წლების მანძილზე ზუგდიდი მასპინძლობს 15-მდე სხვადასხვა სახის ფესტივალს, მათ შორის: "კავკასიის ხალხთა ლიტერატურულ--ფოლკლორული ფესტივალი"; "ზუგდიდობა"; "თაფლის ფესტივალი"; "ვლაქერნობა"; პოლიკარპე ხუბულავას სახელობის მეგრული ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი "კოლხი და.."; "თხილობა"; კოლხური ღვინის ფესტივალი "დია"; "ახალგაზრდული ფესტივალი"; "აჯიკის ფესტივალი"; "მარწყვის ფესტივალი"; "ანაკლიობა"; "ხაჭაპურის ფესტივალი"; საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი - „ART კოლხი"; თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი F5; ელექტრონული მუსიკის ფესტივალი - GEM Fest და სხვა.

ფოტო: ევროპის მეკვიდრეობის დღეები ზუგდიდში 2018
ფოტოგრაფი: თამარ თირქია

5.3.4. ადამიანური რესურსი

ზემოაღნიშნული კვლევების თანახმად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებში მყოფი კულტურის დაწესებულებებში დასაქმებულია 1 223 პირი, რაც ქალაქ ზუგდიდის მოსახლეობის 2.85 %-მდე წარმოადგენს, გენდერულ ჭრილში, დასაქმებულთა პირთა მდგომარეობა წარმოდგენილია შემდეგნაირად - 40.8% ქალი და 59.2% - მამაკაცი. ამასთან, დადგინდა ისიც, რომ ამავე ორგანიზაციებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო რაოდენობის 0.61%-ია დასაქმებული და მხოლოდ 2 შშმ პირი ეწევა საქმიანობას. კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების კერძო და არასამთავრობო სექტორში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 127-ს შეადგენ, აქედან 74% ქალია და 26 % მამაკაცია.

გარდა ამისა, სტრატეგიის შემუშავების პროცესში, განხორციელებული კვლევების ანალიზისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დადგინდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების კერძო და არასამთავრობო სექტორში, აქტიურ საქმიანობას ეწევა მინიმუმ 200 ადამიანი, აქედან 60% ქალია და 40% მამაკაცი, მათ შორის 5 შშმ პირია. ამავე სექტორში დასაქმებულ პირთა იურიდიული სტატუსიც განსხვავებულია, თუმცა 80%-ს ფიზიკური პირები და ინდივიდუალური მეწარმეები წარმოადგენენ.

5.3.5. კულტურული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული ღონისძიებების გამართვის მიზნით მრავალფეროვანი კულტურული ინფრასტრუქტურაა, ხელმისაწვდომია როგორც დახურული, ასევე ღია სივრცეები. საერთო ჯამში, ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებებში ფუნქციონირებს 24 დარბაზი, მათ შორის, სხვადასხვა ზომის 5 დარბაზი სცენით, 1 ამფითეატრი და 18 საგამოფენო სივრცე, ამასთან, აღსანიშნავია, ისიც, რომ 6 მათგანი განლაგებულია სოფლად. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია, ჯამში, 10 პარკი და სკვერი (ზუგდიდის ცენტრალური პარკი (ე. წ. "სკეიტ პარკი"); ზუგდიდის ევროპული პარკი (ე.წ. "ფრანგული"); ზუგდიდის XIX საუკუნის ცენტრალური ბულვარი; 9 აპრილის სკვერი; იონა მეუნარგიას სახელობის სკვერი; განმუხურის ბულვარი და აკვა- პარკი; ანაკლიის დასვენების პარკი; ზუგდიდის ვეტერანთა ხეივანი და სკვერი; ემიგრანტთა ბაღი "ფესვები"; სამაიას ბაღი), რომელიც ასევე შეიძლება განხილულ იქნას როგორც კულტურული ატრაქცია, რასაც ემატება ბოტანიკური ბაღისა და ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის" ტერიტორია. ასევე, მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფ ობიექტებზე ხელმისაწვდომია საკონფერენციო დარბაზებიც, რომელთა საერთო რაოდენობა 7-ს შეადგენს და მათ შეუძლიათ უმასპინძლონ როგორც მცირე, ასევე, საკმაოდ მასშტაბურ კონფერენციებს, შეხვედრებსა და ტრენინგებს.

ზუგდიდში ფუნქციონირებს ტექნო პარკიც, რომლის 700კვ.მ. ფართის შენობა ნაგებობები წარმოადგენს გახსნილ სივრცეს, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისათვის, მომსახურებები კი სრულებით უსასყიდლოა. ზუგდიდში ტექნოპარკის გახსნა მიზნად ისახავდა, ადგილობრივ დონეზე ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის მიმართულებით ცოდნის გაღრმავებასა და შესაძლებლობების ხელმისაწვდომობის გაზრდას, როგორც რიგითი მოქალაქეებისათვის, ასევე კომპანიებისათვის. კერძოდ, ტრენინგი მეწარმეებისთვის, საინფორმაციო შეხვედრები, საბავშვო ტრენინგები, ფაბლაბის ტრენინგები, კომპიუტერული პროგრამები, სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამართული ღონისძიებები. 2021 წლის მონაცემებით სულ გაიმართა 77 აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 1 205 მონაწილე.

ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ობიექტების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. პერიოდულად, მუნიციპალიტეტის მხრიდან ხორციელდება მათი სრული ან ნაწილობრივი სარემონტო სამუშაოები, ხდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება ან გაუმჯობესება. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ამერიკული კუთხის დარბაზები სრულად არის აღჭურვილი უახლესი გახმოვანების აპარატურით, ასევე, გამართულია ,,მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის" დარბაზის მატერიალურ-ტექნიკური მგდომარეობა.

სამწუხაროდ, კვლევის შედეგად გამოვლინდა ისიც, რომ კულტურის ობიექტების უმრავლესობა არ არის ადაპტირებული შშმ პირთათვის.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა დონორ ორგანიზაციასთან, მაგალითად, ფონდი "ქართუს" მიერ მომზადდა ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის პროექტი, სრული რესტავრაცია ჩაუტარდა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის კომპლექსში შემავალ XIX საუკუნის ე. წ. ,,ნიკოსეულ" სასახლეს და მიმდინარეობს ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის დრამატული თეატრის შენობის სრული რეაბილიტაცია. საერთო ჯამში, განხორციელდა 2 040 000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები.

ასევე, მნიშვნელოვანია გამოყენებითი ხელოვნების და ხალხური რეწვის ოსტატებისთვის მულტიფუნქციური შენობის განთავსების პროექტი, რომელიც მიმდინარეობს ,,დანიის ლტოლვილთა საბჭოს" მიერ.

5.3.6. კულტურის ხელშეწყობა და დაფინანსება

რაც შეეხება ადგილობრივ დონეზე კულტურის დაფინანსების საკითხს, თავისი არსით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის პროგრამული. მოქალაქეთა და დაინტერესებული პირების მიერ შემოტანილი საპროექტო წინადადების საფუძველზე დგინდება სამოქმედო გეგმა და განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტი. შესაბამისად, ბიუჯეტის შედგენის პროცესი გახლავთ ინკლუზიური და გამჭირვალე. ამ მიმართულებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია ე.წ. ,,სამოქალაქო ბიუჯეტი", რომელიც არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი. ამასთან, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურის მიმართულებით, მიზნობრივად არსებობს 2 პროგრამა, "კულტურული ღონისძიებების ორგანიზება" და "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა". აღსანიშნავია, რომ 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტი მკვეთრად არის გაზრდილი, როგორც ქვეყანაში კორონა ვირუსის პანდემიის წლებთან მიმართებაში (2020-2021), ასევე 2019 წელთან მიმართებითაც, კერძოდ: 2022 წელს 2019 წელთან შედარებით კულტურული ღონისძიებების ორგანიზების თვალსაზრისით ბიუჯეტი 26.4%-ით არის გაზრდილი; 2022 წელს 2019 წელთან შედარებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამული ბიუჯეტი გაზრდილია 157.9%-ით.

აღსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის "კულტურული ღონისძიებების ორგანიზების" ფარგლებში, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების მიზნით, გათვალისწინებულია, შემოსული, მცირე პროექტების დაფინანსება, რომელიც ხელმისაწვდომია წლის მანძილზე. გარდა მიზნობრივი პროგრამებისა, კულტურული აქტივობების ხელშეწყობა ხორციელდება ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამიდანაც, აღნიშნულის მიზნით, ყოველწლიურად იხარჯება დაახლოებით 50 000 ლარი (იხ. ცხრილი N2).

წელი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამა
2019	184 100	44 000	62 256
2020	180 000	80 000	45 922
2021	88 600	40 000	50 389. 15
2022	250 000	120 000	50 000

ცხრილი N2: მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის პროგრამული დაფინანსება



ფოტო: "ასანლე მეჯლისის მოლოდინში"
ფოტოგრაფი: ლევან გაბეჩავა

საერთო ჯამში, საშუალოდ წელიწადში მერია კულტურის, ხელოვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ხელშეწყობის მიზნით, ახორციელებს 40 სხვადასხვა ტიპის აქტივობას (იხ. ცხრილი N3).

აქტივობის კატეგორია	2019	2020	2021	2022
საიუბილეო და მემორიალური ღონისძიებები	8	5	3	6
სახელმწიფო დღესასწაულებისა და მნიშვნელოვანი თარიღების აღნიშვნა	10	10	4	5
შემოქმედებითი ღონისძიებები	10	5	6	8
ფესტივალები და სახალხო დღესასწაულები	3	1	0	3
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებები	8	6	3	11
შემეცნებით-საგანმანათლებლო პროექტები	2	4	5	5
ბანაკები	1	0	1	1
სულ	42	31	22	39

ცხრილი N3: მუნიციპალიტეტის პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებული კულტურული აქტივობების რაოდენობა წლებისა და კატეგორიების მითითებით

საკუთარი შემოსავლების მხრივ, გამოირჩევა, ადგილობრივ დაქვემდებარებაში მყოფი 3 ორგანიზაცია. კერძოდ "ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი", "მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე" და "სახელოვნებო სკოლების გაერთიანება". მათი შემოსავლების წყარო დამოკიდებულია, სახელოვნებო-საგანმანათლებლო ფასიან პროგრამებსა და მიმართულებებში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობაზე. ასევე, საკუთარი შემოსავლები გააჩნია ს.ს.ი.პ. ზუგდიდის ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს" და ს.ს.ი.პ. შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრს", რომელიც სახელმწიფოს ბიუჯეტის გარდა, გაყიდული ბილეთების რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ფოტო: „ზუგდიდის ,,ბარბარეს" ფესტივალი: ეროვნული ჯგუფი

5.3.7.
კულტურის მართვა

ზემოაღნიშნული კვლევებისა და კითხვარების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი 7 კულტურული ორგანიზაცია ფუნქციონირებს, 5 მათგანი ექვემდებარება ზუგდიდის მერიას, საიდანაც 3 წარმოადგენს კულტურულ-შემოქმედებითი ორგანიზაციების გაერთიანებას. საერთო ჯამში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო დაქვემდებარებაში მყოფი 50 კულტურის ობიექტია, რომელიც ეწევა კულტურულ-შემოქმედებით ან სახელოვნებო განათლების საქმიანობას, როგორც ქალაქში, ასევე სოფლად.

ზუგდიდის მერია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციასთან, კულტურული თუ შემოქმედებითი აქტივობებისა და კულტურული პროცესების მართვისა და სრულყოფის ხელშეწყობის მიზნით, გაფორმებულია 7 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. გარადა ამისა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების მიზნით ზუგდიდი დამეგობრებულია სამ ქალაქთან (უკრაინის 2 და ლიეტუვას 1). სამწუხაროდ, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო უკრაინის ქალაქები დნიპრო (2016 წლამდე - დნეპტოპეტროვსკი) და მარიუპოლი დიდი გამოწვევების წინაშე დგანან. სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განვიხილავთ ამ ქალაქებთან აქტიურ თანამშრომლობას, კულტურულ გაცვლებს, გამოცდილების გაზიარებასა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ომის შემდგომ რეაბილიტაციაში დახმარებას. ასევე, აქტიურად თანამშრომლობს იტალიის ქალაქ კასოლა დი ნეაპოლთან, რომელთანაც უახლოეს მომავალში იგეგმება მემორანდუმის გაფორმება.

კითხვარით მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად, კულტურის სფეროს მუშაობის გაუმჯობესებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, თვითმმართველობის მხრიდან განსახორციელებელი ქმედებების პრიორიტეტები შემდეგნაირად გადანაწილდა:

1.უნდა განხორციელდეს კულტურის ობიექტების მენეჯმენტის რეფორმა და კადრების გადამზადება;

2.უნდა გაიზარდოს კულტურის სფეროს დაფინანსება;

3.უნდა გაიზარდოს ხელმისაწვდომობა საერთაშორისო გრანტებზე;

4.უნდა შეიქმნას წამახალისებელი მექანიზმები არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

როგორც უკვე აღინიშნა, სტრატეგიის შემუშავების პროცესში განხორციელდა რამდენიმე კვლევა, მათ შორის - ადგილობრივი კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიის რესურსების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა მიზნობრივი კითხვარის შემუშავება, რომლის პასუხების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების საქმიანობასა და განვითარებას, ყველაზე მეტად აფერხებს:

1. ფინანსების ნაკლებობა;

2. გაუმართავი ან არასაკმარისი ინფრასტრუქტურა;

3. სამუშაო სივრცეების არქონა.

განვითარების კუთხით კი, ასევე, ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად იდენტიფიცირდა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობის ნაკლებობა.

ასევე, გამოვლინდა შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულებით მომუშავე, ადგილობრივი ასოციაციებისა და პროფესიული კავშირების არსებობის აუცილებლობა. რაც შეეხება არსებულ, ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ კავშირებსა და ქოლგა ორგანიზაციებს, გამოკითხულთა უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნული ორგანიზაციების არსებობის და საქმიანობის შესახებ. საქმიანობის შესახებ. თუმცა იკვეთება, რომ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებში გაწევრიანება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საქმიანობის განვითარების კარგი შესაძლებლობა. მეორემხრივ, აქვე უნდა აღინიშნოს საწევრო გადასახადის საკითხიც, რომელიც ბევრი რესპონდენტისათვის არ არის მისაღები და უპირატესობას მიანიჭებდნენ ისეთ პლატფორმებს, რომელის წევრობაც იქნებოდა უფასო.

ფოტო: "ნინე" ალფარაძის, ანაკლიის ლეგენდის ალუზია
ფოტოგრაფი: ნუკრი ბერული

5.3.8. კულტურული მონაწილეობა და მოხმარება

ფოტო: "მტრედები" ყველაზე ნორჩი მოცეკვავეები ზუგდიდობის დღესასწაულზე / ფოტოგრაფი: ეკატერინე ჯოლოგუა

მერიის მიერ განხორციელებული აქტივობები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობების ჩატარებისა და ხელშეწყობის მიზნით, ყოველწლიურად, პროგრამის "კულტურული ღონისძიებების ორგანიზება" ფარგლებში, საერთო ჯამში, ხორციელდება 20-მდე პროექტი, "კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამის" ფარგლებში - 15-მდე აქტივობა, ხოლო, ახალგაზრდული ინიციატივების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშესაწყობად, დაახლოებით, 7-8 აქტივობა. ზუგდიდი, თავისი კულტურულ-ისტორიული და გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით, უფროდაუფრო მიმზიდველი ხდება სხვადასხვა სექტორისათვის. ბოლო წლების მანძილზე მასპინძლობს 15-მდე სხვადასხვა სახის ფესტივალს, მათ შორის, მუსიკალური, გასტრონომიული, ფოლკლორული და სხვა. კორონავირუსის პანდემიის პერიოდში აქტივობათა რაოდენობამ, დადგენილი შეზღუდვების გამო, საგრძნობლად იკლო და, ძირითადად, შემოიფარგლებოდა მნიშვნელოვანი და საიუბილეო თარიღების აღნიშვნით.

კულტურულ ღონისძიებებზე დასწრების ინდექსი 2019 წელს გამოირჩეოდა შედარებით მაღალი აქტივობით. სხვადასხვა კონცერტებზე, ფესტივალებზე, საღამოებზე და სხვ. მსგავს ღონისძიებებზე მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის მაცხოვრებელთა დაახლოებით 20%-მა, დამსწრე საზოგადოებას შორის ნაკლები აქტივობით გამოირჩეოდნენ შშმ პირები, ამის მიზეზად დასახელდა შშმ პირებისათვის ადაპტირებული კულტურული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის ნაკლებობა ან/და არარსებობა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მოხალისეობრივი საქმიანობა. ამ მიმართულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტში აქტიურად მუშაობენ, "ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან" არსებული კლუბი B612 და "ამერიკული კუთხე". საერთო ჯამში, 2021 წელს განხორციელდა სხვადასხვა სახის 204 აქტივობა, მათ შორის, 50%-ზე მეტი - კულტურის მიმართულებით.

საჯარო კითხვარში მონაწილე გამოკითხულთა აზრით, კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების დარგების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შემდგომ პერიოდში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ისეთ აქტივობებს, როგორიც არის შემოქმედებითი მასტერკლასები, ტრენინგები და სხვადასხვა სახის ფესტივალები და გამოფენა -გაყიდვები.

გარდა ამისა, ნიშანდობლივია კულტურის სექტორში დასაქმებულ პირთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, რომელიც 650 ლარს შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სექტორში დასაქმებულ პირთა ნომინალური ხელფასიც იგივე ნიშნულზეა, ხოლო ბიზნეს სექტორში - 779 ლარს შეადგენს. კითხვარის მეშვეობით მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად ჩანს, რომ ზუგდიდში მცხოვრები მოქალაქე კულტურულ აქტივობებსა და კულტურულ პროდუქტზე, თვეში, საშუალოდ, ხარჯავს შემოსავლის 1,5%-დან 30%-მდე.

5.3.9. ბუნებრივი რესურსები, მრეწველობა და სტუმარ-მასპინძლობა

ფოტო: ორანჟენტები ითისაზე
ფოტოგრაფი: ნუკრი ბერულავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული თერმული წყლები ქმნის ხელსაყრელ პირობებს სასათბურე და სანერგე მეურნეობების განვითარებისათვის. ზუგდიდის, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში მოქმედი სასათბურე მეურნეობები წარმატებით იყენებენ თერმულ წყლებს, რაც პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ ხარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს. რეგიონში, ზუგდიდისა და ხობის მუნიციპალიტეტებში, ორგანიზებულია 12 სანერგე მეურნეობა, რომელთა საერთო ფართობი 44,8 ჰა-ს შეადგენს. მეურნეობებში იწარმოება ისეთი კულტურების ნერგები, როგორიცაა ხილი, ციტრუსი, პალმა, მოცვი, ბოსტნეული და ეთერზეთების შემცველი კულტურები.

რეგიონის სამრეწველო საწარმოების აბსოლუტურ უმეტესობას მცირე და საშუალო ზომის საწარმოები შეადგენს. დღეისათვის, რეგიონის ძირითადი სამრეწველო პროდუქტებია დამუშავებული თხილი და ხე-ტყე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მრეწველობის მაპროფილებელი სახეებია თხილისა და ჩაის გადამუშავება.

რეგიონის ტურისტული ობიექტების უმრავლესობას არ აქვს ერთიანი კონცეფცია ჩამოყალიბებული პროდუქტის განვითარებასთან და მარკეტინგთან მიმართებაში. არ იციან, რას ნიშნავს ტურიზმის მდგრადი განვითარების სარგებელი და როგორ გაზარდონ შემოსავალი ხარისხიანი და დივერსიფიცირებული პროდუქტის შეთავაზებით. შესაბამისად, კონკურენტული უპირატესობის მთავარ საშუალებად დაბალი ფასებით პოზიციონირებას ამჯობინებენ, რაც მაკრო გარემოს მცირედი ცვლილების შემთხვევაში მკვეთრად აისახება მათი მუშაობისა და დატვირთვის მაჩვენებელზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ტურისტული მომსახურების მომწოდებლები საჭიროებენ ტურიზმის, მასთან დაკავშირებული მომსახურებებისა და შემადგენელი კომპონენტების შესახებ ცოდნის გაღრმავებას პროდუქტის განვითარების, მომსახურების ხარისხის მართვისა და მარკეტინგის მიმართულებით. რაც შეეხება კვების ობიექტებს, საჭიროებენ ტრენინგებსა და ცოდნის გაღრმავებას შემდეგი მიმართულებებით: სურსათის უვნებლობა და ჰიგიენა, კვების ობიექტის ფინანსური მართვა, ადგილობრივი სამზარეულოს განვითარება და წარმოჩენა, პროდუქციის (კერძების) დივერსიფიცირება და მათი სწორად წარმოჩენა მენიუში, კვების ობიექტის ტიპოლოგია და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ატრიბუტიკა. დაბალია ასევე ტურისტულ ობიექტთა ინტერესი ტურიზმის სახელმწიფო სტრუქტურებთან მიმართებაში როგორიცაა ადგილობრივი ტურიზმის მართვის ორგანიზაცია, მერიის საინფორმაციო და ვიზიტორთა ცენტრი. ამჟამად კომუნიკაციის ერთადერთ ფორმას წარმოადგენს საინფორმაციო ბაზებში არსებობა.

უკანასკნელ წლებში რეგიონში აშენდა მაღალი დონის სასტუმროები ანაკლიასა და მესტიაში. ამჟამად, ანაკლიაში ფუნქციონირებს 3 თანამედროვე ტიპის სასტუმრო 250-მდე სასტუმრო ოთახით და დაწყებულია მეოთხე სასტუმროს მშენებლობა. გარდა მსხვილი სასტუმროებისა, ზუგდიდში ტურიზმის განვითარების ხედვის დოკუმენტის თანახმად, ფუნქციონირებს 14 სასტუმრო, 42 საოჯახო სასტუმრო, 3 ჰოსტელი, 5 რესტორანი, 5 კაფე და 1 სასადილო.

5.4. შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების მიმოხილვა

ფოტო: ირაკლი-სტუდიეში თიხისგან დეტალი ხელით მზადდება
ფოტოგრაფი: ნუკრი ბერულავა

დღევანდელ მსოფლიოში შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიები ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. თუ მეოცე საუკუნე ინდუსტრიალიზაციის პერიოდი იყო, თანამედროვე მსოფლიომ ახლებურად გაიაზრა და წინ წამოსწია ინდივიდის ცოდნის, შემოქმედებითი მიდგომის, როგორც ინოვაციის პირველწყაროს მნიშვნელობა და მცირე თუ საშუალო ბიზნესის როლი ეკონომიკის განვითარებაში.

საერთაშორისო გამოცდილებით, შემოქმედებითი ინდუსტრიების ქვე-სექტორების კლასიფიკაცია ხშირად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ქვეყნების სპეციფიკითაა გამოწვეული. თუმცა, მათ შორის, ძირითადად, მოიაზრება კინო, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა, ხელოვნება და ანტიკვარები, არქიტექტურა, მოდა, დიზაინი, რეწვა, კომპიუტერული თამაშები, რეკლამა, საგამომცემლო საქმიანობა, ტელევიზია და რადიო, გასტრონომია და კულინარია.

"შემოქმედებითი საწყისის, კულტურის, ეკონომიკის და ტექნოლოგიების სინთეზს ძალუძს შექმნას ინტელექტუალური კაპიტალი, რომელსაც, თავის მხრივ, დიდი პოტენციალი აქვს იქცეს სამუშაო ადგილების, ექსპორტის, კულტურული მრავალფეროვნებისა და სოციალური და ადამიანური განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად. სწორედ ეს არის ის, რასაც შემოქმედებითი ეკონომიკა უკვე ქმნის ბევრ წამყვან ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის, დასაქმების, ვაჭრობის, ინოვაციის წახალისების და სოციალური კავშირების გამყარების მიმართულებით." - აღნიშნულია გაეროს 2008 წლის ანგარიშში შემოქმედებითი ეკონომიკის შესახებ.

შემოქმედებითი და კულტურული ინდუსტრიების მზარდი ეკონომიკური პოტენციალი ბოლო წლებში ჩატარებულმა არაერთმა კვლევამ აჩვენა. სექტორის კვლევამ, ასევე, დაადასტურა, რომ შემოქმედებითი ინდუსტრიების უმეტესი ნაწილი, ევროპის მასშტაბით კი 80%, მიკრო და მცირე საწარმოების სახით ფუნქციონირებს. მცირე და საშუალო საწარმოები და სტარტაპ კომპანიები კი, თავის მხრივ, ევროზონის ქვეყნებში ინოვაციის ძირითად ლოკომოტივებს წარმოადგენს. ევროპაში საწარმოთა 98% მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის; ისინი ქმნიან სამუშაო ადგილების 2/3 და მთლიანი დამატებითი ღირებულების 60%-ს კერძო სექტორში. რეგიონები და ქალაქები, რომლებიც შემოქმედებითობის მაღალი დონით ხასიათდება, უფრო მაღალშემოსავლიანი და სტაბილურია, ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში.

ვერავინ უარყოფს, რომ კულტურა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა დიდწილად კავშირშია ადგილობრივ განვითარებასთან. კულტურული აქტივობები ხელს უწყობს ადგილის ან საზოგადოების მნიშვნელობის მინიჭებას, რესურსების მობილიზებას და სოციალური დინამიკის შექმნას. ისინი ავითარებენ იქ მცხოვრებთა კრეატიულობას და აქცევენ ტერიტორიას უფრო მიმზიდველს მაცხოვრებლებისთვის, ვიზიტორებისთვის თუ ინოვატორებისთვის. კულტურულ საქმიანობას მნიშვნელოვანი ეკონომიკური წონა აქვს. ევროკავშირში კულტურული ეკონომიკა შეადგენს მშპ-ს დაახლოებით 3%-ს და დასაქმების 5%-ს. კრეატიული საქონლის ექსპორტს მნიშვნელოვანი წილი შეაქვს საერთაშორისო ვაჭრობაში.

კულტურულ პროდუქციას შეუძლია ხელი შეუწყოს ტერიტორიის განვითარებას სამუშაო ადგილების, ეკონომიკური ღირებულების შექმნით და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებით. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორია ადგილის ან რეგიონის პოზიტიური იმიჯი, საკუთარი კულტურული ფასეულობების იდენტიფიცირებისა და დაფასების გზით. იქნება ეს ქალაქი თუ სოფელი, კულტურას შეუძლია, წვლილი შეიტანოს უკეთესი საცხოვრებელ გარემოს შექმნაში, შეუძლია, ხელახლა გააააქტიუროს ქალაქების მიტოვებული ინდუსტრიული ზონები, ახალი სიცოცხლე შთაბეროს ქარხნებისა და ელექტროსადგურების, ნავსადგურების და საწყობების თუ ანგარების უსიცოცხლო ინფრასტრუქტურას.

კულტურის ეკონომიკური წვლილის გააზრება, ხშირად, შემოიფარგლება მხოლოდ ფესტივალებით, თუმცა, მათი ეფექტი შეიძლება გაფართოვდეს ადგილობრივი კულტურული და შემოქმედებითი კომპონენტებით: ხალხური ხელობა, ავთენტური კულინარია, ცერემონიები, დეკორაციები, თეატრალური და მუსიკალური დადგმები. ასეთი ტიპის ფესტივალები ყველაზე დიდი მოვლენაა, ამა თუ იმ ადგილისათვის და ადგილობრივი, მონაწილეები წლიდან წლამდე ემზადებიან ამ დღისთვის, მაგალითად ქმნიან განსაკუთრებულ დეკორაციას, თეატრალურ დადგმას, მუსიკალურ პროდუქტს და ა.შ რაც გულისხმობს იმას რომ იზრდება მათი ცოდნის დონე და გამოცდილება. ამ ტენდენციას შეუძლია შეინარჩუნოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და შექმნას ახალი სამუშაო ადგილები ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

ბოლო წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი მიმართულებით გააქტიურდა კერძო სექტორიც, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდში ფუნქციონირებს 39 ორგანიზაცია, რომლებიც პირდაპირი თუ ირიბი შეხებით ჩართულია კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების საქმიანობაში, მათ შორის 9 ა.ა.ი.პ და ს.ს.ი.პ ორგანიზაციაც. ასევე, შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულება უფრო პოპულარული გახდა ზუგდიდის ხელოვანთათვის, აღნიშნული მიმართულებით ძირითადად დამოუკიდებელი არტისტები მოღვაწეობენ.

გამოირჩევა 2 ობიექტი, კერამიკის სახელოსნო 'ორკოლსტუდია" და ეთნოსოფელი 'სისა ტურა", რომელიც გასტრონომიული მიმართულებით მუშაობს. წლის მანძილზე ორივე ობიექტზე ტარდება მასტერკლასები როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვიზიტორებისათვის. ზემოაღნიშნული ობიექტები, 2019 წლის მონაცემებით, წელიწადში, საშუალოდ, მასპინძლობდნენ 2200 ადამიანს, თუმცა, აღნიშნული რიცხვი პანდემიის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების საქმიანობით დაკავებულ ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში შესაძლებელია ორი მიმართულების გამოყოფა: შედარებით პრიორიტეტულად გამოკვეთილი - გასტრონომია/კულინარია, ხალხური რეწვა და დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება - ხელნაკეთი ნივთები, მუზეუმები, გალერეები და ბიბლიოთეკები, მუსიკა, საშემსრულებლო და ვიზუალური ხელოვნება, რადიო და ფოტოგრაფია

და ნაკლებად წარმოდგენილი მიმართულებები: რეკლამა და მარკეტინგი, არქიტექტურა, დიზაინი: პროდუქტის, გრაფიკული და მოდის დიზაინი, ფილმი, ტელევიზია, ვიდეო, საინფორმაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერული მომსახურება, საგამომცემლო საქმე.

ხალხური რეწვისა და ხელობის თვალსაზრისით, ჩვენთვის საინტერესო აღმოჩნდა დოკუმენტი "სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელოსნობის სექტორი ყოვლისმომცველი შესწავლა და ძირითადი რეკომენდაციები მისი მდგრადი განვითარებისთვის", რომლის თანახმადაც ზუგდიდში, ხელნაკეთი ნივთების პოპულარულ და მოთხოვნად მიმართულებებად იდენტიფიცირდა - სუვენირები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხატები, აქსესუარები, მხატვრული კომპოზიციები, ქვევრების, ჭების, ტრადიციული თონეს, სამზარეულოს ჭურჭლის წარმოება, ხის კარები და კიბე; ავეჯი, სამკაული, სათამაშოები. მრავალფეროვნება ჭარბობს ტექნოლოგიებსა და გამოყენებულ მასალებშიც. ადგილობრივი არტისტები თავიანთ პროდუქციას ქმნიან: ტექსტილის, ხის, ქვის, კერამიკის, ლითონის, ტყავის, ქაღალდის, პოლიმერული თიხის გამოყენებით.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების საქმიანობით დაკავებული ფიზიკური პირებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გეოგრაფიული არეალი ფაქტიურად მოიცავს მთელ საქართველოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჩათვლით. ადგილობრივ დონეზე, სექტორის მუდმივ/ძირითად პარტნიორებად 6 ორგანიზაცია დასახელდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, ტრადიციული რეწვის ასოციაცია, GTIA საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის ალიანსი, ,,საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია", საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, DMO - ტურიზმის დანიშნულების მართვის ორგანიზაცია, დანიის ლტოლვილთა საბჭო, USAID ზრდა საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2014-2021 თანახმად, რეგიონში ფაქტობრივად არ არის (თუ არ ჩავთვლით მეტად შეზღუდული რესურსებისა და შესაძლებლობების მქონე ზუგდიდის სავაჭრო-სამრეწველო პალატას, და ახლად შექმნილ ა(ა)იპ-ს ფოთში, რომელიც საგრანტო პროექტის ფარგლებში უწევს კონსულტაციას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას) ბიზნესის მხარდამჭერი უმნიშვნელოვანესი ორგანიზაციები - ბიზნესცენტრი, ბიზნეს ინკუბატორი, გადამზადების ცენტრები, საინვესტიციო და ტექნოლოგიური ტრანსფერის ცენტრები, სალიზინგო კომპანიები, თუ სხვა. რეგიონში არსებული ცნობილი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი პროექტები მხოლოდ ფრაგმენტულად თუ უზრუნველყოფენ ბიზნესსექტორის სათანადო მხარდაჭერას.

სექტორის წარმომადგენლები, ასევე აქტიურად მუშაობენ შემეცნებით-საგანმანათლებლო მიმართულებითაც, ბოლო წლებში შემუშავდა და გამოიცა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულები 7 ნაშრომი: ზუგდიდის კულტურის რუკა (ასოციაცია ,,მერკური"); წიგნი "კოლხური ტაბლა", მომზადდა USAID ზრდა-ს დახმარებით, რომელზეც საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კულინარიის აკადემიამ იმუშავა, ის მოიცავს 50-ზე მეტ განსაკუთრებულ და ავთენტურ კერძის რეცეპტს; გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) კონკურსში სამეგრელოზე მომზადებული მოკლემეტრაჟიანი ფილმი "The Grand Tour of Samegrelo"; სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციამ (DMO), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში მოამზადა სარეკლამო რგოლი "მეგრული გასტრონომია", ზუგდიდის ტურისტული რუკა (ავტ. სალომე გარდავა); ,,არის ასეთი ქვეყანა" - ზუგდიდი (დოკუმენტური ფილმი ზუგდიდის კულტურულ მემკვიდრეობაზე; "ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები" (ავტორები: გ. ჩიქობავა, ლ. ჯიქია).

როგორც უკვე აღინიშნა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიის რესურსების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სექტორის საქმიანობის ყველაზე მეტად შემაფერხებელ პრობლემას არასაკმარისი ფინანსები, ინფრასტრუქტურის არქონა, დაუხვეწავი კანონმდებლობა წარმოადგენს. განვითარების ყველაზე მეტ პრობლემად კი დაფინანსების წყაროების სიმწირე, სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის პრობლემა დასახელდა.

ხელოსნობის სექტორის მუშახელის წინაშე კი სამი ძირითადი პრობლემა დგას: 1. ხელოსნობის მონაწილეთა გაყონვა სხვა რეგიონებში და პროფესიებში; 2. არსებული ხელოსნების კომპეტენციების ამაღლების საჭიროება; 3. ადგილზე, ხელოსნობისათვის სხვადასხვა ტიპის საჭირო ნედლეულისა და სხვა მასალების სიმცირე ან არარსებობა.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების მიერ, ზუგდიდში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის ყველაზე გამოკვეთილ საჭიროებად დასახელდა კულტურის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავება, დარგის საჭიროებების გამოვლენა და მათზე მორგებული სამოქმედო გეგმის შედგენა, ასევე, დარგის წარმომადგენლების ინტერესების ლობირება და ყველა ჩამოთვლილი საჭიროების დასაკმაყოფილებლად, მათი პროცესებში აქტიური ჩართვა.

5.5.
დაინტერესებული მხარეები

№	მიმართულება	ორგანიზაცია
1	ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი ხელისუფლება	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ▪ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ-ტურის სამინისტრო; ▪ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინ-ისტრო; ▪ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; ▪ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაცია; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
2	ქოლგა ორგანიზაციები	▪ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; ▪ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; ▪ სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანი-ზაცია DMO; ▪ საქართველოს კულინართა ფედერაცია; ▪ საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "მოსწავლე-ახალგაზრდო-ბის სასახლე"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი" ▪ შპს „Anaklia-Ganmukhuri Resorts".
3	უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები	▪ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ▪ სსიპ პროფესიული უნარების სააგენტო; ▪ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტი; ▪ შპს კოლეჯი "ცხუმ-ეგრისი"; ▪ შპს საზოგადოებრივი კოლეჯი "ზუგდიდის აკადემია"
4	სახელოვნებო განათლება	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "მოსწავლე-ახალგაზრდო-ბის სასახლე"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი".

5	საშემსრულებლო ხელოვნება	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი "ჩხორრიის სამოყვარულო თეატრი"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი - უხუცესთა ანსამბლი "ოდოია"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი - სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი "ჩელა"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ ▪ 'ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან" არსე-ბული ბენდი; ▪ მუსიკალურ-ქორეოგრაფიული სტუდია - "ელიტ არტ სტუ-დიო".
6	სახვითი ხელოვნება	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში მყოფი "მაცი ხორავას სახელობის სამხატვრო გალერეა" ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "სახელოვნებო სკოლების გაერთიანების" - "სამხატვრო გალერეა"; ▪ გიგის სახელოსნო.
7	თანამედროვე ხელოვნება	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ▪ საინიციატივო ჯგუფი - თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი "F5".
8	მუსიკა	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დაქვემდებარებაში მყოფი სამუსიკო სკოლები; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრი".
9	მოდა და დიზაინი	▪ ეკო მეგობრული საწარმო მდგრადი მოდა (მარი ბენდელიანი); ▪ ი.მ. სოფიო ხარჩილავა; ▪ მარიკა კორკელიას სამოსის სახლი-სალონი "მარკო"; ▪ შპს ,,დეტალი" (არქიტექტურა და დიზაინი).
10	ტრადიციული რეწვა და ხელობა	▪ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ▪ ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი; ▪ საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაცია; ▪ დანიის ლტოლვილთა საბჭო (Danish Refugee Council); ▪ კერამიკის სახელოსნო "ორკოლსტუდია".

11	არქიტექტურა	▪ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ-ტურის სამინისტრო; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
12	კულტურული მემკვიდრეობა	▪ სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ▪ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქ-ტურის სამინისტრო; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ▪ სსიპ ზუგდიდის ,,დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტე-ქტურული მუზეუმი"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ხელოვნებისა და კულ-ტურის განვითარების ცენტრის" დაქვემდებარებაში მყოფი ,,ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების გაერთიანება"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი".
13	ლიტერატურა და საგამომცებლო საქმიანობა	▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ საინიციატივო ჯგუფი - თანამედროვე ხელოვნების ფესტივალი "F5"; ▪ ლიტერატურული ჟურნალი "ებგური"; ▪ ჟურნალი "სამეგრელო"; ▪ ჟურნალი "დისკუსია"; ▪ ჟურნალი "ეგრისი"; ▪ ლიტერატურული კაფე "Art-Li"; ▪ საინიციატივო ჯგუფი ,,ებგური".
14	ციფრული ტექნოლოგიები	▪ სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენ-ტოს ზუგდიდის ტექნოლოგიური პარკი.
15	კინო და ვიდეო ხელოვნება/ კინემატოგრაფია	▪ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
16	მაუწყებლობა და მედია	▪ ტელე-რადიო კომპანია "ოდიში"; ▪ რადიო "ოდიში +"; ▪ რადიო "ათინათი"; ▪ გაზეთი "ზუგდიდი"; ▪ სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საზოგადოებრივ-პოლიტი-კური გაზეთი - "ეგრისის მაცნე"; ▪ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერ-სიტეტის ბაზაზე არსებული Zssu Tv - ზსსუ ტვ.
17	რეკლამა	▪ რადიო "ათინათი"; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სატრანსპორტო სამსახ-ური; ▪ შპს ,,მარგი დიზაინი".
18	გასტრონომია	▪ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ▪ სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანი-ზაცია DMO; ▪ საქართველოს კულინართა ფედერაცია; ▪ საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ▪ ეთნოსოფელი "სისა ტურა"; ▪ ფოლკლორის სახლი (ბესო ჭითანავა); ▪ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "თაფლი კოლხური"; ▪ "ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის" - სოციალუ-რი კაფე "მეგო-ბარი"; ▪ საოჯახო სასტუმრო "კასა დე ხასია"; ▪ რესტორანი "დიაროონი"; ▪ რესტორანი "აქ დადიან";

		▪ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "თაფლი კოლხური"; ▪ ბოსტნეულის ცუკატები ,,კოპეშონი"; ▪ მეწარმე-ჩირი ,,სჭირი"; ▪ რესტორანი ,,სამეფო"; ▪ სასტუმრო ,,იბერია პალასი"; ▪ საოჯახო სასტუმრო ,,თბილი სახლი"; ▪ საოჯახო სასტუმრო ,,მწვანე სახლი"; ▪ კაფე ,,ლეო დორო"; ▪ რესტორანი ,,ბერმუხა"; ▪ სასტუმრო ,,გრანდ ჰოტელი"; ▪ სასტუმრო ,,ლოტოსი"; ▪ სასტუმრო LETO.
19	კულტურული ტურიზმი	▪ სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; ▪ სამეგრელოში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია DMO; ▪ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო; ▪ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; ▪ ახალგაზრდა სკაუტები; ▪ ეთნოსოფელი "სისა ტურა"; ▪ ფოლკლორის სახლი (ბესო ჭითანავა); ▪ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი "თაფლი კოლხური"; ▪ "ახალგაზრდები სამეგრელოს განვითარებისთვის" - სოციალური კაფე "მეგო-ბარი"; ▪ საოჯახო სასტუმრო "კასა დე ხასია".
20	პარკები და ბაღები	▪ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო; ▪ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ "ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი"; ▪ ზუგდიდის ცენტრალური პარკი (ე. წ. "სკეიტ პარკი"); ▪ ზუგდიდის ევროპული პარკი (ე.წ. "ფრანგული"); ▪ ზუგდიდის XIX საუკუნის ცენტრალური ბულვარი; ▪ 9 აპრილის სკვერი; ▪ იონა მეუნარგიას სახელობის სკვერი; ▪ განმუხურის ბულვარი და აკვა- პარკი; ▪ ანაკლიის დასვენების პარკი; ▪ ზუგდიდის ვეტერანთა ხეივანი და სკვერი; ▪ ემიგრანტთა ბაღი "ფესვები"; ▪ სამაიას ბაღი.
21	არასამთავრობო ორგანიზაციები	▪ Creative Spark; ▪ Creative Strategies Lab ▪ საქართველოს გასტრონომიის ასოციაცია; ▪ კერამიკის სახელოსნო "ორკოლსტუდია"; ▪ ეთნოსოფელი "სისა ტურა"; ▪ ფოლკლორის სახლი (ბესო ჭითანავა); ▪ რადიო "ათინათი"; ▪ ასოციაცია "მერკური"; ▪ სოციალური კაფე "მეგო-ბარი"; ▪ B612 წიგნის მოყვარულთა კლუბი; ▪ ამერიკული კუთხე; ▪ მშვიდობის ინსტიტუტი პროგრესისთვის PIP.

SWOT ანალიზი

თავი 6

ფიმი: კულტურული პანელ ორკოლეჯიანობის სებამეოფანი სპეციალისტის კვალიფიკაციის მეგანიზ "კულტურული თეატრი". ფეხალლი. 2019 წელი.კონტაქტიანი როგორგ ფასანაძე
ფიმოგრაფიმ: ნიკანი გაბრიელაძე

SWOT ანალიზი ეყრდნობა, კულტურის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩატარებული სექტორული და თემატური შეხვედრების, კვლევების, საჯარო კითხვარების, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი თუ სტრატეგიული დოკუმენტების გაანალიზების საშუალებით იდენტიფიცირებული საკითხების სიღრმისეულ ანალიზს. ჩვენი SWOT ანალიზისთვის აუცილებელია სამი ურთიერთდაკავშირებული რეალობის ჩართვა: ზუგდიდი, ზუგდიდი, როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის ცენტრალური ქალაქი და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი.

SWOT ანალიზი ფაქტორი

შიდა

S ძლიერი მხარეები

- უაღრესად მდიდარი კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობა;
- ზუგდიდისა და რეგიონის კულტურული და ეკო აქტივები, კულტურული და გუნებრივი მემკვიდრეობა;
- ხელსაყრელი გუნებრივ-კლიმატური პირობები და რესურსები;
- კულტურული ტურიზმის განვითარების მრავალფეროვანი პოტენციალი;
- რიტუალებისა და საწეს-ჩვეულებო ადათების სიუხვე;
- მრავალფეროვანი ტრადიციული შემოქმედება;
- კულტურის სექტორის წარმომადგენლების მზაობა და დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის მზაობა;
- ზუგდიდის სტრატეგიული მდებარეობა, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე;
- მრავალფეროვანი კულტურული რესურსი.

O შესაძლებლობები

- მზარდი ტურისტული ნაკადები;
- შემოქმედებითი მიდგომებითა და გადაწყვეტილებების გზით, სექტორს შიგნით და სხვა სექტორებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობა;
- ახალი პროდუქციის შექმნა და წარმოჩენა ცნობიერების გაზრდის და ადგილობრივი კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით;
- არსებული, ტურისტულად მიმზიდველი ადგილების, ადგილობრივი სამზარეულოს, კულტურული, შემოქმედებითი და გუნებრივი რესურსის ბრენდირება და პოპულარიზაცია;
- ტურისტულად მიმზიდველ ობიექტებზე, ან მათ მიმდებარედ, ახალი შემეცნებით-საგანმანათლებლო და კულტურული პროდუქტის სარეალიზაციო ზონების მოწყობა;
- სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების მიერ სპეციალური პროგრამების ინიციირებაში ჩართვა;
- უნარების ამაღლების ღონისძიებები კულტურისა და შემოქმედებით საქმიანობაში ჩართულ პირთათვის;
- ტრადიციული რეწვისა და ხელსაქმის მცირე და საშუალო ბიზნესად ქცევა;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება;
- ადგილობრივი კულტურული და შემოქმედებითი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გასვლა;
- გრძელვადიანი, ურთიერთსასარგებლო პარტნიორობის დამყარება მეწარმეებს, დამსაქმებლებს, ბიზნეს ასოციაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის;
- ზუგდიდის საერთაშორისო კულტურულ რუკაზე ინტეგრაცია.

გარე

ფაქტორი

W სუსტი მხარეები

- ადამიანური რესურსის, ხელოვანების, ახალგაზრდების გადინება;
- ხელოვანთა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი რესურსების ნაკლებობა;
- მოძველებული კულტურული ინფრასტრუქტურა;
- შემოქმედებითი სივრცეების არარსებობა;
- კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების პოტენციალის შესახებ ცნობიერების და ინფორმირებულობის ნაკლებობა;
- კულტურისა და შემოქმედებით ინდუსტრიების სფეროში მოკლე და გრძელვადიანი ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არარსებობა;
- შემოქმედებითი ინდუსტრიების განუვითარებლობა;
- სექტორს შიგნით და სხვა სექტორებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა;
- პროფესიული ასოციაციების, კავშირებისა და დაინტერესებულ მხარეთა პლატფორმების არარსებობა;
- კულტურის და შემოქმედებით სფეროში ჩართული კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- ადგილობრივი ბაზრის დაბალი მსყიდველუნარიანობა;
- არაადაპტირებული გარემო შშმ პირებისათვის;
- საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და განვითარების პროცესში;
- ფინანსების ნაკლებობა.

T საფრთხეები

- გლობალური პანდემია;
- პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე ;
- საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი;
- დაფინანსების ალტერნატიული წყაროების სიმცირე;
- ინვესტიციის ოდენობის ზედმეტად ოპტიმისტური შეფასება, რომელიც კულტურის განვითარების სტრატეგიამ შეიძლება მოიზიდოს,
- სახელმწიფოსა და დონორი ორგანიზაციების ნაკლები ჩართულობა.

ფაქტორი

ფონდი: "ფაბრიკა ალბანი" დედოფლისეული სასახლის უნიკალური ლაჯვარი ჭრის ფრაგმენტი XIX ს
ფოტოგრაფი: ნუსრი ბერულავა

საყრდენი პრინციპების შეჯამება

თავი 7

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან მიზანს, კულტურის, ხელოვნებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების, როგორც ძალაძის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეფექტური მექანიზმის შესახებ, საზოგადოების ცნობიერებისა და ინფორმირებულობის გაზრდა წარმოადგენს. ეს კი საზოგადოების მონაწილეობისა და ინფორმირებულობის ყველა ხელშემწყობი პირობის შექმნითა და ეფექტური ინსტრუმენტების გამოყენებით გახდება შესაძლებელი.

კულტურული ღირებულების თვალსაზრისით, კულტურის განვითარების სტრატეგია ხელს შეუწყობს ქალაქის შემოქმედებითი და კულტურული პოტენციალის სიღრმისეულ შესწავლასა და გაანალიზებას, შემდგომი ეტაპობრივი განვითარებისათვის მიზნობრივი, წერტილოვანი და თანმიმდევრული განვითარების ხედვისა და მათი გადაჭრის კონკრეტული გზების განსაზღვრისათვის. გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ ხელოვნებისა და კულტურის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო, რომელიც თავის მხრივ, ქალაქის სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით არსებული გამოწვევების კრეატიული მიდგომებით მოგვარების საშუალებას მოგვცემს.

კულტურის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა ზუგდიდის, როგორც კულტურულ ჰაბად ჩამოყალიბება და ქალაქის გამორჩეული როლის წარმოჩენა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მთავარი კულტურული მოვლენების ეპიცენტრი დედაქალაქია, რაც გარკვეულწილად ჩრდილავს რეგიონების სრულფასოვან განვითარებას.

კულტურის განვითარების სტრატეგიის მთავარი ხედვა ადამიანზე, მისი უნარებისა და ნიჭის გამოვლენაზე, განვითარებასა და მის პიროვნულ გაძლიერებაზეა ორიენტირებული. დღეს ქალაქის კულტურის პოლიტიკის ძირითადი გამოწვევა სწორედ კულტურის გრძელვადიანი ხედვის არარსებობა და კულტურის ვიწრო, სწორხაზოვან ხედვაში მდგომარეობს.

სტრატეგია წარმოაჩენს და განსაზღვრავს ხელოვნებისა და კულტურის ჭეშმარიტ პოტენციალსა და როლს, ქალაქისა და ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების საქმეში. ამის წინაპირობა კი თავად სტრატეგიის შემუშავების პროცესი გახდა, რომელიც ინკლუზიური, გამჭვირვალე და მონაწილეობითი იყო. განსაკუთრებული აქცენტები მრავალეთნიკური, გენდერული, მულტიკულტურული, და ინკლუზიური თანამონაწილეობის საკითხებზე კეთდება.

ეკონომიკური ღირებულების თვალსაზრისით, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია კონცენტრირებულია კულტურის ეკონომიკური განვითარების პოტენციალისა და შესაძლებლობების წარმოჩენასა და ეფექტურად გამოყენებაზე. დღეს უკვე არაერთი საერთაშორისო კვლევით დასტურდება, რომ კულტურას და შემოქმედებას მრავალწახნაგოვანი ეფექტი აქვს და ის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების კატალიზატორი და მნიშვნელოვანი ხელშემწყობი რესურსია.

კულტურის განვითარების სტრატეგია ორიენტირებულია ხელოვანების მიერ შექმნილი კულტურული პროდუქტის სათანადოდ წარმოჩენასა და მის მომგებიან და ეკონომიკურად სასარგებლო რესურსად გარდაქმნაზე; მისი მიმზიდველობის და მასზე მოთხოვნის გაზრდაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება კულტურული პროდუქტის მომგებიანობის გაზრდა. ავთენტური ადგილობრივი კულტურული პროდუქტი გაზრდის ქალაქის ცნობადობას ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე და შექმნის ქალაქის სტაბილური ეკონომიკური განვითარების წინაპირობას. კულტურული პროდუქტის შექმნა ბევრად უფრო პოპულარული გახდება, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა დაინახავს მის რეალურ სარგებელს და ამ მიმართულებით ნებისმიერი მხარდაჭერა აღქმული იქნება, როგორც ინვესტიცია.

სტრატეგიის ეკონომიკური ეფექტი იქნება ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის უფრო ეფექტური და მიზანმიმართული დაგეგმარება და განკარგვა, რაც გამოიწვევს სახელმწიფო რესურსების მიზნობრივ და რაციონალურ განაწილებას; უზრუნველყოფს კულტურის სფეროს კომერციალიზაციას, რაც სტიმულირებას გაუწევს ბიზნესის განვითარებას, ასევე ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების აკუმულირებას.

გარემოსდაცვითი ღირებულების თვალსაზრისით, კულტურის განვითარების სტრატეგია საშუალებას მოგვცემს მკაფიოდ წარმოვაჩინოთ ადგილობრივი გარემოს, ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების წინაშე არსებული გამოწვევები და მათი გავლენა ქალაქის კულტურულ, განსაკუთრებით კი, ურბანული, ისევე როგორც კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ლანდშაფტსა და მდგომარეობაზე. გლობალური კლიმატური ცვლილებისა და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმების პირობებში, განსაკუთრებით აქტუალური ხდება ბუნებრივი და კულტურული (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) მემკვიდრეობის დაცვა, კონსერვაცია და მოვლა.

კულტურის განვითარების სტრატეგია დაგვეხმარება ქალაქის სწორი ურბანული განვითარების მიმართულებითაც. ისეთი თანამედროვე მიდგომების გააზრებითა და ინტეგრირებით, როგორიცაა მაგალითად "ბაუ კულტურ", საშუალება მოგვეცემა ქალაქის განვითარება საერთო კულტურული ლანდშაფტისა და ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ჭრილში წარმოვაჩინოთ.

ფოტო: "დადიანების სასახლე და გალავანი. ევროპული და აღმოსავლური სტილის სინთეზი. ხედი "ფრანგული პარკიდან"
ფოტოგრაფი: ელგუჯა ხუბუტია

სოციალური ღირებულების თვალსაზრისით, ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია კონცენტრირებული იქნება ზუგდიდის მოსახლეობის წინაშე არსებული სოციალური პრობლემების გააზრებაზე, გამოვლენასა და მოგვარებაზე; ამ გზით, კულტურის სოციალური განვითარების პოტენციალისა და შესაძლებლობების წარმოჩენასა და ეფექტურად გამოყენებაზე. სტრატეგიის განხორციელების პროცესი დაფუძნებული იქნება გამჭვირვალეობასა და ინკლუზიურობაზე, რაც ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის წარმართვას, საზოგადოების კონსოლიდირებას, მონაწილეობითი სულისკვეთების გამყარებასა და გამოწვევებთან გამკლავების ერთობლივი გზების გამოვლენას. კრეატიული მიდგომების იდენტიფიცირებით, შესაძლებელი იქნება, სოციალური თვალსაზრისით, საზოგადოების დღის წესრიგის წინაშე არსებული საკითხების, კულტურისა და შემოქმედების გამოყენებით მოგვარება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ეთნიკური, რელიგიური, ინკლუზიური მრავალფეროვნების ხელშეწყობასა და შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ ზუგდიდის კულტურულ-ისტორიულ რეალობას წარმოადგენს.

პოლიტიკური ღირებულების თვალსაზრისით, ჩვენი ამოცანაა კულტურისა და ხელოვნების სექტორის დეპოლიტიზება და დეცენტრალიზაცია. ამ მიმართულებით კი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდაზე ორიენტირებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემუშავება/დანერგვა. დარწმუნებულები ვართ, რომ კულტურის განვითარების სტრატეგიის განხორციელების მაქსიმალურად ინკლუზიური, გამჭვირვალე და მონაწილეობითი გარემოს შექმნით, მივიღებთ ისეთ გარემოს, რომელიც გასაგები და მისაღები იქნება განსხვავებული პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მქონე ადამიანებისთვის, რაც, თავის მხრივ, სტრატეგიის განხორციელებისა და მისი მდგრადობის გარანტი იქნება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კულტურის და ხელოვნების პოტენციალისა და როლის წარმოჩენაზე ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ დონეზე არსებულ სხვა სახელმწიფო/საჯარო დაწესებულებების თემატურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში.

ქსელისა და კავშირების გაძლიერების თვალსაზრისით, სტრატეგია ორიენტირებულია ადამიანური კაპიტალის და აუდიტორიის განვითარებაზე, ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ პროცესებში ჩართულობაზე, თანამშრომლობისა და პარტნიორობის წახალისებაზე, კულტურის მართვასა და ხელშეწყობაზე, შემოქმედებითი სივრცეების შექმნასა და განვითარებაზე, და, ზოგადად, ზუგდიდის კულტურის პოპულარიზაცია და ინტერნაციონალიზაცია.

ზემოაღნიშნულის მიღწევის მიზნით გათვალისწინებულია, სხვა სექტორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, ურთიერთმკვეთი პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთიანი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობისა და დიალოგის ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს, სხვა, ადგილობრივი თუ საერთაშორისო გამოცდილება, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განვითარების თვალსაზრისით, კარგი მაგალითების ადგილზე დამკვიდრების გზით.

ზუგდიდის კულტურის პოლიტიკის გატარების საკვანძო მიმართულებას, დოკუმენტის აღსრულებისა და იმპლემენტაციის პროცესში, კერძო სექტორის, პროფესიული უწყებების/ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა წარმოადგენს. აღნიშნულის მისაღწევად, გათვალისწინებულია, როგორც რეგიონალურ სხვადასხვა სახის პლატფორმებთან ურთიერთთანამშრომლობა, ასვე ადგილობრივ დონეზე, სექტორული/პროფესიული პლატფორმების შექმნა და ხელშეწყობა.

შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით, ხელმისაწვდომობა და გამჭირვალობა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, სტრატეგიის ფარგლებში, აღნიშნული მიდგომა სრულად იქნება გათვალისწინებული, როგორც არსებული რესურსების წვდომის, ასევე სტრატეგიით გათვალისწინებული, ახალი შესაძლებლობების კონტექსტში.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მიზნების ფარგლებში გათვალისწინებულია, პროფესიული ცოდნისა და უნარების გაზრდის ხელშეწყობა, დარგობრივი კვლევების განხორციელება, ეფექტური მართვის მოდელების დანერგვა, მულტიფუნქციური სერვისებისა და სივრცეების შექმნა და ხელშეწყობა, მეწარმეობისა და ხელოვნების წარმოჩენა, პოპულარიზაცია და ხელშეწყობა, სახელოსნოებისა და მცირე საწარმოების განვითარების ხელშეწყობა და წახალისება, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ინდივიდუალურ დონეზე. აღნიშნულის მიღწევა განსაზღვრულია სხვადასხვა აქტივობის განხორციელების გზით, მაგ. სხვადასხვა თემატური ფესტივალების ჩატარება და ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს, არა მხოლოდ ერთი სექტორის წარმოჩენას, არამედ გაახალისებს ზუგდიდის კულტურულ ცხოვრებას, მოახდენს მის პოპულარიზაციასა და მიმზიდველობას, როგორც ადგილობრივ, რეგიონალურ, ასევე, საერთაშორისო დონეზე, შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა მიმართულების ხელოვანებს, წარმოაჩინონ და მოახდინონ საკუთარი კულტურული პროდუქტის პოპულარიზაცია და რეალიზაცია და სხვა. ასევე, მულტიფუნქციური ობიექტების შექმნის ხელშეწყობით, შესაძლოა გაჩნდეს ახალი სამუშაო ადგილები და გარკვეული, ალტერნატიული სივრცეები, სადაც, ასევე ხელოვანებს მიეცემათ შესაძლებლობა წარმოაჩინონ საკუთარი თავი და პროდუქტი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციის კონტექსტში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ციფრული ტექნოლოგიები, რომელთა გამოყენებითაც, შეიქმნება ახალი ციფრული სერვისები, რომელიც, ასევე, დაკავშირებულია სამუშაო ადგილების შექმნასთან. ყოველივე, ზემოხსენებული ერთიანი მიდგომის ფარგლებში, ქმნის კულტურის მდგრადობის უწყვეტ ჯაჭვს, რომელის ორიენტირებულია, როგორც კულტურის სექტორის განვითარებაზე, ასევე, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასა და წარმატებაზე.

კომუნიკაციისა და გავრცელების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი კულტურა ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოების ყველა წევრისათვის და არსებითად გარდაიქმნას მოსახლეობის საერთო დამოკიდებულება კულტურისა და შემოქმედების მიმართ. კულტურული ღონისძიებებისა და აქტივობების მხარდაჭერის, დაგეგმვისა და ორგანიზების ყველა ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალგაზრდების, ზუგდიდში მცხოვრები დევნილი მოსახლეობის, სპეციალური საჭიროების მქონე პირთა და უმცირესობათა ინფორმირებულობასა და ჩართულობას.

სხვადასხვა სექტორებსა და აქტორებს შორის აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა განვითარების წინაპირობაა. თანამშრომლობითი ქსელები ფართომასშტაბიანი პროექტების განხორციელებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმართვის შესაძლებლობას იძლევა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსახლეობის ჩართულობას და სექტორის ინტერესების ლობირებას.

სტრატეგიის მონიტორინგი და შეფასება

თავი 8

ფოტო: კოლხიშ ნანა. დეტალი
ფოტოგრაფი: ელგუჯა ხუბუტია

კარგი სტრატეგია არის ის, რომლის ადაპტირება და განხორციელების პროგრესის შეფასებაა შესაძლებელი.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგია 5 წლიანია და საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვასა და განახლებას დასახული მიზნების ეფექტურად განსახორციელებლად. სტრატეგიის განახლების საფუძველი იქნება კულტურის სექტორის ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შედეგად გამოკვეთილი ალტერნატიული ხედვა და მიღებული გადაწყვეტილებები.

კულტურის სტრატეგიის განხორციელების კოორდინაციაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია სტრატეგიის საკოორდინაციო ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად აწარმოებს აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვებასა და შედეგების შეფასებას.

საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მუნიციპალიტეტის ინიციირებით შეიქმნება "სტრატეგიის მონიტორინგის ჯგუფი", რომელიც მუნიციპალიტეტთან ერთად აწარმოებს მონიტორინგს სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებაზე და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს. ჯგუფის წევრები შეირჩევა როტაციული პრინციპით.

სტრატეგიის განხორციელების პროცესის შუალედურ (2023 წლისათვის) და დასკვნით ფაზებში (2026 წლისთვის) მიღწეული შედეგების შესაფასებლად, მომზადდება სტრატეგიის განხორციელების შუალედური და საბოლოო ანგარიშები.

ამასთან, სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულებისა და დასახული მიზნების მიღწევის პროგრესის განსასაზღვრად შემუშავებულია კონკრეტული ინდიკატორები, რომელიც ეფექტური ინსტრუმენტია მონიტორინგის პროცესში.

სტრატეგიის საფუძველზე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი რეგულარულად იმუშავებს საჯარო, კერძო და საზოგადოებრივ სექტორებთან პოლიტიკის სხვადასხვა დოკუმენტის კულტურის სტრატეგიასთან ჰარმონიზაციისა და სინერგიის მიზნით.

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ფოტო: ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი "ორანჟერეა"

არაფორმალური განათლება - ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი დაგეგმილი, ნებაყოფლობითი პროგრამა, რომელიც არ არის ფორმალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და მიზნად ისახავს კომპეტენციების (ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების) განვითარებას.

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა - იუნესკოს მიხედვით, საზოგადოების, ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები, ასევე, მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სფეროებია: ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები (ლეგენდა, იგავი, ზეპირი გადმოცემა, თქმულება და ა.შ.), საშემსრულებლო ხელოვნება (სიმღერა, ცეკვა, სახიობა და ა.შ.), საზოგადოებრივი პრაქტიკები (თამაშობა, დღეობა, დღესასწაული, კულინარია და ა.შ.), გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება (ხალხური მედიცინა, ბუნების მოვლენებთან დაკავშირებული ადათ-წესები და ა.შ.), ხელოსნობის დარგები და ტექნიკები (ხალხური რეწვა: თექა, მეტალი, თიხა, ფარდაგი და ა.შ).

აქსელერატორი - სპეციალური პროგრამა/პროცესი, რომლის მიზანს წარმოადგენს დაეხმაროს სტარტაპებს, დამწყებ და მცირე მეწარმეებს წარმატებული ბიზნეს გეგმის შემუშავებაში, ხარისხიანი და მოთხოვნადი პროდუქციის და/ან სერვისის შექმნაში, ადგილობრივ და გლობალურ ბაზრებზე წვდომაში, პოტენციურ მომხმარებელთა იდენტიფიცირებასა და ინვესტიციების მოზიდვაში.

კარგი მმართველობა - საჯარო მმართველობის კონცეფცია, რომლის ძირითადი მახასიათებლებია: სამოქალაქო ჩართულობა, კონსენსუსზე ორიენტაცია, კანონის უზენაესობის დაცვა, ეფექტურობა და ეფექტიანობა, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, სწრაფი რეაგირება, მიუკერძოებლობა და ინკლუზიურობა (გაეროს განმარტება).

კულტურული აქტივი - კონკრეტული მოსახლეობის, საზოგადოების ან ჯგუფისთვის ღირებული რაღაც, მისი უნიკალური წვლილის გამო, ამ საზოგადოების კულტურულ, მხატვრულ, შემოქმედებით, ეკონომიკურ, ისტორიულ და/ან სოციალურ გამოვლინებებსა და სტრუქტურაში. კულტურული აქტივები შეიძლება იყოს მატერიალური, როგორიცაა მემკვიდრეობა ან კულტურული პროდუქტები ან ობიექტები. არამატერიალური კულტურული აქტივები შეიძლება მოიცავდეს მოვლენებს, აქტივობებს, გამოცდილებას, საზოგადოებისა და კულტურულ ცოდნას და მემკვიდრეობას, ენას.

კულტურული ლანდშაფტი - ადამიანის ან ადამიანისა და ბუნების ერთობლივი ქმნილება, აგრეთვე, არქეოლოგიური ღირშესანიშნაობის შემცველი არეალი, რომელიც წარმოადგენს გამორჩეულ უნივერსალურ ფასეულობას, ისტორიის, ესთეტიკის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის თვალსაზრისით და კონკრეტული დამცავი რეჟიმის დასადგენად საჭიროებს ქვეყნის სივრცითი მოწყობის, ქალაქთმშენებლობის, გარემოსდაცვითი, ძეგლთა დაცვისა და კულტურის სტრატეგიების სინერგიას. ტერმინი დღეისთვის აერთიანებს ასევე ქალაქის ლანდშაფტს, ინდუსტრიულ და სხვა სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებულ ლანდშაფტებს, თეატრალურ და სამუზეუმო ლანდშაფტებს და სხვ. (იუნესკოს კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. პარიზი, 1972 წ.; ევროსაბჭოს ე.წ. ლანდშაფტების ევროპული კონვენცია. ფლორენცია, 2000 წ.).

კულტურული მრავალფეროვნება - იუნესკოს განსაზღვრების თანახმად, კულტურული მრავალფეროვნება არის საზოგადოების სხვადასხვა ნაწილისა თუ სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი განსხვავებული სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური ნიშან-თვისებების ერთობლიობა. ტერმინი მოიცავს, აგრეთვე, ცხოვრების განსხვავებული სტილის, ფასეულობათა სისტემების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და რწმენის მაღიარებელ ადამიანთა ერთად ცხოვრების უნარს.

კულტურული რესურსი - სხვადასხვა ელემენტი, რომლებიც ადგილის უნიკალური კულტურის და შემოქმედებითობის შექმნას ემსახურებიან. რესურსები შეიძლება იყოს ადამიანური, ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური ან აგებული. კულტურული რესურსების მაგალითებია: სახელოვნებო და მედია საქმიანობა და ინსტიტუციები; ადგილობრივი ადამიანური, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა; შემოქმედებითი და კულტურული საწარმოები; ფესტივალები და ღონისძიებები; ახალგაზრდული კულტურა და ცხოვრების ნირი; ადგილობრივი თემის განსხვავებულობა; უნივერსიტეტები და კერძო სექტორის კვლევითი ცენტრები; ადგილობრივი საქონლის და უნარების რეპერტუარი რეწვაში, მანუფაქტურასა და მომსახურებაში; ბუნებრივი და ხელოვნური გარემო.

მდგრადი განვითარების მიზნები - მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს, რომლებმაც უნდა განსაზღვრონ მსოფლიოს განვითარების პრიორიტეტები 15 წლის მანძილზე, 2016 წლიდან 2030 წლამდე. მდგრადი განვითარების მიზნების მსოფლიოს სთავაზობს უნივერსალურ დღის წესრიგს, რომელიც წონასწორობაში მოიყვანს განვითრების სამ განზომილებას - გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებს.

ფაბლაბი (FabLab) - სამრეწველო ლაბორატორია Fabrication Laboratory - სპეციალური, მოქნილი, კომპიუტერით პროგრამირებადი დანადგარებით აღჭურვილი სივრცე, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა მასალებისა და აპარატურული კომპლექსის გამოყენებით შეიქმნას "თითქმის ყველაფერი". ფაბლაბი ასევე არის პლატფორმა სწავლებისა და ინოვაციებისთვის: ადგილი თამაშისთვის, შექმნისთვის, სწავლისთვის, მენტორობისა და გამოგონებებისთვის. გქონდეს ფაბლაბი, სკოლისთვის ნიშნავს დაკავშირებას გლობალურ სწავლულთა, განმანათლებელთა, ტექნოლოგიების სპეციალისტთა, მკვლევართა, შემოქმედთა და ინოვატორთა საზოგადოებაში გაწევრიანებას, რომლებიც ერთმანეთს უზიარებენ ცოდნას მსოფლიოს 30 ქვეყნიდან.

ქოლგა ორგანიზაცია - ინსტიტუცია ან ინსტიტუციათა გაერთიანება, რომელიც კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს კონკრეტული სფეროს საქმიანობასა და რესურსებს.

შემოქმედებითი ინდუსტრიები - სექტორი, რომელიც ახორციელებს მხატვრული და შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტისა და მომსახურების წარმოებასა და გავრცელებას, განურჩევლად მათი კომერციული ღირებულებისა, და სხვადასხვა ინდუსტრიულ საქმიანობას, რომელიც შემოქმედებით და მხატვრულ ძალისხმევას ემყარება, ან/და იყენებს კულტურას, როგორც რესურსს ინდუსტრიული პროდუქტის შექმნაში. სექტორი ხელოვნების ტრადიციულ დარგებსა და კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად მოიცავს აუდიოვიზუალურ და საგამომცემლო სექტორს, დიზაინს, რეკლამას, მედიასა და მაუწყებლობას და სხვ. (სექტორი, ასევე, ცნობილია კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიების სახელით).

შემოქმედებითი ინკუბატორი - დაწესებულება, რომელშიც ერთიანდება ბიზნესინკუბატორისა და შემოქმედებითი სახელოსნოების ფუნქციები და რომლის ძირითადი მიზანი ბიზნეს და კულტურის სექტორის თანამშრომლობის შედეგად ინოვაციური პროდუქტის/მომსახურების წარმოება და მისი კომერციული შესაძლებლობის განვითარებაა. შემოქმედებითი ინკუბატორის მომსახურება არსებითად იგივეა, რაც ბიზნესინკუბატორის. ისინი შემოქმედებით ინდუსტრიებს, ხელოვანებს სთავაზობენ სივრცეებს და საოფისე აღჭურვილობას შეღავათიან ფასად; უზრუნველყოფენ კონსულტაციებსა და გადამზადების პროგრამებს პროექტების განვითარებისათვის.

შემოქმედებითი კლასტერი - შემოქმედებითი კლასტერი არის გეოგრაფიულად ერთ სივრცეში თავმოყრილ სხვადასხვა ორგანიზაციის ერთობლიობა, რომლებიც თავიანთ აქტივებსა და კომპეტენციებს ერთმანეთს უთავსებენ და აერთიანებენ ადგილობრივი რესურსების მოძიებისა და გამოყენების მიზნით.

შემოქმედებითი ჰაბი - ფიზიკური ან ვირტუალური ადგილი, რომელიც მხარს უჭერს პრაქტიკოსთა თემებს, შემოქმედებით, კულტურულ და ტექნიკურ სექტორებში - სულერთია, იქნება მათი საქმიანობა არაკომერციული თუ კომერციული, დიდი თუ მცირე, გულისხმობს სრულ თუ ნაწილობრივ განაკვეთზე მუშაობას. ჰაბების სავალდებულო წესებს უფრო ფართო ფარგლები აქვს, ვიდრე ინკუბატორებისას.

ფოტო: ბოტანიკური ბაღი
ფოტოგრაფი: ბადრი ვადაჭკორია

გამოყენებული წყაროები / ბიბლიოგრაფია

- კულტურის სტრატეგია 2025;
- ზუგდიდის მერიის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია (2020-2023);
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2019-2022;
- ზუგდიდის 2022-2025 წწ. საშუალო ვადიანი პრიორიტეტები;
- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები;
- საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025;
- სამეგრელოს ტურიზმის განვითარების სამოქმედო გეგმა;
- ზუგდიდის კულტურული რუკა;
- დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია 2014-2021
- სამეგრელოს ტურიზმის განვითარების 2019 წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეგრელოს რეგიონის გასტრონომიული ტურიზმის 2021 წლის სტრატეგია;
- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027;
- გზამკვლევი შემოქმედებითი სივრცეების ინიცირების, მართვისა და განვითარების გზების შესახებ - სსიპ შემოქმედებითი სქართველო;
- ხელოსნობის სექტორის კვლევა დასავლეთ საქართველოში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის ხელოსნობის სექტორი ყოვლისმომცველი შესწავლა და ძირითადი რეკომენდაციები მისი მდგრადი განვითარებისთვის 2021;
- სამეგრელოს რეგიონის გასტრონომიული ტურიზმის სტრატეგია.

ყდაზე გამოყენებული ფოტოები:

ფოტო: "კოლხიშ ნანა"
ფოტოგრაფი: ელგუჯა ხუბუტია

ფოტო: ბრინჯაოს ბალთები, კოლხური კულტურა, ძვ. წ. VIII-VII სს

ფოტო: "ტრადიციის გამგრძელებელი" პატარა მეგრელი გოგონა მეგრული სუნელების მასტერკლასზე
ფოტოგრაფი: ირაკლი გამსახურდია

ფოტო: კოლხური დოქი. ერგეტა. გვიანბრინჯაო -ადრერკინის ხანა
ფოტოგრაფი: ლევან გაბეჩავა

ფოტო: დადიანების სასახლის ჭიშკარი. დეტალი.
ფოტოგრაფი: ლევან გაბეჩავა

დიზაინი:
ირინა ბალდადიშვილი